

Recommendation of the Committee of Ministers to member States on combating hate speech

Unofficial translation into Georgian

Recommandation du Comité des Ministres aux États membres sur la lutte contre le discours de haine

Traduction non officielle en géorgien

სიძულვილის ენასთან ბრძოლა

Source - Council of Europe [May 2022], original English and French versions

Text originated by, and used with the permission of, the Council of Europe. This unofficial translation is published by arrangement with the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator.

* * * * *

Source - Conseil de l'Europe [mai 2022], versions originales en anglais et français

Le texte original provient du Conseil de l'Europe et est utilisé avec l'accord de celui-ci. Cette traduction est réalisée avec l'autorisation du Conseil de l'Europe mais sous l'unique responsabilité du traducteur.

სიძულვილის ენასთან ბრძოლა



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

სიძულვილის ენასთან ბრძოლა

ინგლისური გამოცემა: Combating hate speech - Recommendation CM/Rec(2022)16 and explanatory memorandum (2022)

ტექსტი შექმნილია და გამოიყენება ევროპის საბჭოს ნებართვით. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით, მაგრამ მთარგმნელის მთლიანი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ნებადართულია ამონარიდის (500 სიტყვამდე) რეპროდუცირება არაკომერციული მიზნისთვის, თუკი დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ იქნება კონტექსტიდან ამოღებული, არ გადმოსცემს არასრულ ინფორმაციას ან სხვაგვარად არ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში ტექსტის არსთან, ფარგლებთან ან შინაარსთან დაკავშირებით. ტექსტის წყარო ყოველთვის მითითებული უნდა იყოს შემდეგნაირად „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირების შესახებ ყველა სხვა თხოვნით მიმართეთ ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (DPDP), ევროპის საბჭო

ფოტო: Shutterstock

წინამდებარე პუბლიკაცია არ არის რედაქტირებული DPDP-ის სარედაქციო განყოფილების მიერ, ორთოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების შესასწორებლად.

© Council of Europe, 2022 წლის დეკემბერი,
დაბეჭდილია საქართველოში

სარჩევი

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2022)16	5
პრეამბულა	5
CM/REC(2022)16 რეკომენდაციის დანართი	8
პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სიძულვილის ენასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ	8
განმარტებითი მეთოდური	19
შესავალი	19
1. მოქმედების სფერო, განმარტება და მიდგომა	22
2. სამართლებრივი ჩარჩო	29
სისხლის სამართალი	32
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი	35
კანონმდებლობა ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ	38
3. ძირითადი აქტორებისკენ მიმართული რეკომენდაციები	46
საჯარო მოხელეები, არჩევითი ორგანოები და პოლიტიკური პარტიები	46
ინტერნეტ შუამავლები	47
მედია	53
სამოქალაქო ორგანიზაციები	55
4. ცნობიერების ამაღლება, განათლება, გადამზადება და საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენება	56
5. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მხარდაჭერა	62
6. სიძულვილის ენის მონიტორინგი და ანალიზი	65
7. ეროვნული კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა	67

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2022)16¹

წევრი სახელმწიფოების მიმართ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2022 წლის 20 მაისს მინისტრთა
კომიტეტის 132-ე სესიაზე)

პრეამბულა

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.b მუხლით გათვალისწინებული პირობების თანახმად,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ETS No. 5, „კონვენცია“) დაცული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება ყველასათვის, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ამასთან, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული, და ვრცელდება როგორც ონლაინ სივრცეში, ისე მის გარეთ;

ხაზს უსვამს რა, რომ სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესაბამისი კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება და იმპლემენტაცია საჭიროებს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი), გამოხატვის თავისუფლების (კონვენციის მე-10 მუხლი) და კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მიმართ დისკრიმინაციისგან თავისუფლების (კონვენციის მე-14 მუხლი) სიფრთხილით დაბალანსებას;

ხაზს უსვამს რა, რომ სიძულვილის ენასთან ეფექტური ბრძოლისა და პრევენციისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი გამომწვევი მიზეზებისა და ფართო საზოგადოებრივი კონტექსტის, ისევე, როგორც მისი სხვადასხვა გამოხატულებებისა და სამიზნე სუბიექტებზე მისი განსხვავებული გავლენების იდენტიფიცირება და გააზრება;

აღნიშნავს რა, რომ სიძულვილის ენა ღრმად ფესვგადგმული, კომპლექსური და მრავალი განზომილების მქონე ფენომენია, რომელსაც არაერთი სახიფათო ფორმა შეიძლება ჰქონდეს და ინტერნეტის საშუალებით შესაძლოა ძალიან სწრაფად და ფართოდ გავრცელდეს, ამასთან, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის მუდმივი არსებობა ამწვავებს მის გავლენას, მათ შორის, ონლაინ სივრცის გარეთ;

აცნობიერებს რა, რომ სიძულვილის ენა უარყოფით გავლენას ახდენს ინდივიდებზე, ჯგუფებზე და საზოგადოებებზე, სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა სიმწვავეთ, მათ შორის, ნერგავს შიშს მის სამიზნე სუბიექტებში და იწვევს მათ დამცირებას და ასევე აქვს მსუსხავი ეფექტი საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობაზე, რაც დემოკრატიის განმსაზღვრელია;

1. მინისტრთა მოადგილეების შეხვედრების რეგლამენტის 10.2c მუხლის შესაბამისად, ბულგარეთის რესპუბლიკა იტოვებს უფლებას მისი მთავრობისთვის, შეასრულოს ან არ შეასრულოს რეკომენდაციის I თავი „მოქმედების სფერო, განმარტება და მიდგომა“. საკონსტიტუციო სასამართლოს No. 13/2018 გადაწყვეტილების შედეგად, ტერმინი „გენდერული იდენტობა“ შეუთავსებელია ბულგარეთის რესპუბლიკის სამართლებრივ მოწყობასთან.

ითვალისწინებს რა, რომ ადამიანებისა და ჯგუფების წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენება ხდება სხვადასხვა ნიშნით ან ნიშნების ერთობლიობით და აცნობიერებს, რომ ამ ადამიანებს და ჯგუფებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ, ისე, რომ არ მიადგეს ზიანი სხვა ადამიანების ან ჯგუფების უფლებებს;

ითვალისწინებს რა, რომ სიძულვილის ენა ერევა პირადი ცხოვრების პატივისცემისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებაში და არღვევს მათ, ხოლო აღნიშნული უფლებები აუცილებელია სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების ადამიანური ღირსების დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს მათი გამორიცხვა საჯარო დებატებიდან;

ადასტურებს რა მის ღრმა ერთგულებას გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიმართ, რომელიც დემოკრატიული და პლურალისტული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია და გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც იცავს აზრის ქონისა და ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და საზღვრების მიუხედავად;

ხაზს უსვამს რა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციაზე და იდეებზე, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხყოფელი, ან მისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ, ასევე ისეთზე, რომელიც შეურაცხყოფს, შოკისმომგვრელია და შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისთვის;

მიუთითებს რა, რომ გამოხატვის თავისუფლების განხორციელება უკავშირდება გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ხოლო ამ უფლების შეზღუდვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს და, ამრიგად, ვიწროდ უნდა იყოს გაგებული და უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და ლეგიტიმური მიზნების მიმართ პროპორციულობის მოთხოვნებს;

ითვალისწინებს რა, რომ გამოხატვა, რომელიც მიმართულია კონვენციით დაცული რომელიმე უფლების ან თავისუფლების განადგურებისკენ, არ სარგებლობს კონვენციის დაცვით, კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, რომელიც შეეხება უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვას;

აცნობიერებს რა, რომ სიძულვილის ენის განმარტება და გაგება განსხვავდება ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე და უაღრესად მნიშვნელოვანია, არსებობდეს ამ ფენომენის კონცეფციის, ბუნებისა და შედეგების ერთიანი გაგება და მოხდეს უფრო ეფექტური პოლიტიკის და სტრატეგიების დასახვა მასთან საბრძოლველად;

ითვალისწინებს რა, რომ სიძულვილის ენასთან ბრძოლის ზომები უნდა იყოს სათანადო და პროპორციული, სიძულვილის ენის გამოყენების სიმწვავის დონესთან მიმართებით; სიძულვილის ენის გამოყენების ზოგიერთი შემთხვევა საჭიროებს სისხლისსამართლებრივ რეაგირებას, ხოლო სხვა შემთხვევები კი მოითხოვს რეაგირებას სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საფუძველზე, ან არასამართლებრივი ზომების გამოყენებით რეაგირებას, როგორცაა, განათლება და ცნობიერების ამაღლება ან სხვადასხვა მიდგომებისა და ზომების კომბინაცია;

ხაზს უსვამს რა, რომ წევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებების გათვალისწინებით, უზრუნველყონ ფუნდამენტური თავისუფლებების ეფექტური განხორციელება და ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენცია, ისინი ვალდებულები არიან, რეაგირება მოახდინონ სიძულვილის ენაზე და უზრუნველყონ უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო საჯარო დებატებისა და კომუნიკაციისთვის, მათ შორის მაშინ, როდესაც აღნიშნულს ადგილი აქვს კერძო აქტორების მიერ მართული პლატფორმების ან სხვა სერვისების საშუალებით;

აცნობიერებს რა, რომ შეურაცხყოფელი ან საზიანო გამოხატვა, რომელიც არ არის საკმარისად მწვავე, რათა კონვენციის შესაბამისი ლეგიტიმურობის ფარგლებში შეიზღუდოს, საჭიროებს რეაგირებას არასამართლებრივი ზომების გამოყენებით;

ხაზს უსვამს რა მედიის, ჟურნალისტების და სხვა ტიპის საზოგადოებრივი მეტავალყურების

როლს დემოკრატიულ საზოგადოებებში და იმ ფაქტს, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების გამოაშკარავების, გაშუქების, გაკრიტიკებისა და დაგმობის გზით, და, ასევე, სიძულვილის ენის საპირისპირო ენისათვის არხების და ფორუმების უზრუნველყოფითა და პლურალიზმისა და საზოგადოებრივი ერთიანობის ფართოდ ხელშეწყობით;

ითვალისწინებს რა, რომ ინტერნეტ-შუამავლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ საჯარო დებატებს, კერძოდ, იმ ციფრული ინსტრუმენტებისა და სერვისების გამოყენებით, რომელთაც ისინი ხდიან ხელმისაწვდომს და, ამავდროულად, ხაზს უსვამს რა, რომ ეს ინსტრუმენტები და სერვისები, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს სიძულვილის ენის შემაშფოთებელი მოცულობით, სწრაფად და ფართოდ გასავრცელებლად, და ხაზს უსვამს რა, რომ ინტერნეტ-შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ საქმიანობას არ ჰქონდეს ან არ უწყობდეს ხელს ადამიანის უფლებებზე ნეგატიურ გავლენას ონლაინ სივრცეში, და მოახდინონ ასეთ გავლენებზე რეაგირება;

აცნობიერებს, რა რომ საკანონმდებლო და პოლიტიკის ზომები, რომლებიც მიმართულია სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციისკენ, რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა გათვალისწინებული იქნეს ტექნოლოგიებისა და ონლაინ სერვისების სწრაფი ევოლუცია და, უფრო ფართო თვალსაზრისით, ციფრული ტექნოლოგიები და მათი გავლენა თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში ინფორმაციის და კომუნიკაციის მიმოცვლაზე; და აღიარებს რა, რომ გადახედვისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული ინტერნეტ-შუამავლების დომინანტური პოზიცია, ციფრულ პლატფორმებსა და მათ მომხმარებლებს შორის ძალაუფლების ასიმეტრია და ამ დინამიკის გავლენა დემოკრატიებზე;

ასკვნის რა, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ინტერნეტ სივრცეში და მის გარეთ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად და მისი პრევენციისთვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს თანმიმდევრულ სტრატეგიას და სამართლებრივი და არასამართლებრივი ზომების ფართო სპექტრს, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს სპეციფიკურ სიტუაციებსა და ფართო კონტექსტებს;

აცნობიერებს რა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის მნიშვნელობას და ძირითად როლებს, რომელსაც ასრულებენ საჯარო დაწესებულებები და კერძო და არასამთავრობო დაინტერესებული მხარეები სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ზომების იდენტიფიცირებისა და განხორციელების კუთხით, კულტურული ინკლუზიურობისთვის და სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების დასახმარებლად, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა;

ევროპის საბჭოს არსებულ ხელშეკრულებებზე და სხვა რელევანტური სტანდარტის მდგენელ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლისა და ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოების მიგნებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(97)20 წევრი სახელმწიფოების მიმართ „სიძულვილის ენის შესახებ“ და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(97)21 წევრი სახელმწიფოების მიმართ, მედიის და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ და რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, და ადამიანის უფლებათა ფართო საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით;

მიზნად ისახავს რა, უხელმძღვანელოს ყველა იმ სუბიექტს, რომლის წინაშეც დგას სიძულვილის ენის პრევენციისა და მასთან ბრძოლის კომპლექსური ამოცანა, მათ შორის, ონლაინ გარემოში,

წევრი სახელმწიფოების მთავრობებს მიმართავს რეკომენდაციით:

1. მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა წინამდებარე რეკომენდაციაზე დართული პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების სწრაფად და სრულად იმპლემენტაციისთვის;
2. მიიღონ სათანადო ზომები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების,

თანასწორობის ორგანოების, სამოქალაქო ორგანიზაციების, მედიის, ინტერნეტ-შუამავლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნასახალისებლად და მხარდასაჭერად, რათა მათ მიიღონ ზომები წინამდებარე რეკომენდაციაზე დართული, მათთვის გათვალისწინებული პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად;

3. დაიცვან ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები ციფრულ გარემოში, მათ შორის, ინტერნეტ-შუამავლებთან თანამშრომლობის გზით, „ინტერნეტ-შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ“ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის და ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი სტანდარტების თანახმად;

4. ხელი შეუწყონ წინამდებარე რეკომენდაციის ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებას და ამ მიზნების მისაღწევად აწარმოონ დიალოგი და თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან;

5. უზრუნველყონ წინამდებარე რეკომენდაციის თარგმნა ეროვნულ, რეგიონულ და უმცირესობის ენებზე და მაქსიმალურად ფართოდ გავრცელება ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, კომპეტენტურ ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის;

6. უზრუნველყონ წინამდებარე რეკომენდაციის იმპლემენტაციის კუთხით არსებული მდგომარეობის გადახედვა რეგულარულად, რეკომენდაციის გავლენის გასაუმჯობესებლად, და მინისტრთა კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა წევრი სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, მიღწეული პროგრესისა და დარჩენილი ნაკლოვანებების შესახებ.

CM/REC(2022)16 რეკომენდაციის დანართი

პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სიძულვილის ენასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ

1. მოქმედების სფერო, განმარტება და მიდგომა

1. ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების მიზანია, დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, სიძულვილის ენის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებით, მათ შორის, ონლაინ გარემოში, რათა სიძულვილის ენისგან ეფექტური დაცვა იქნეს უზრუნველყოფილი, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ფარგლებში.

2. წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის, სიძულვილის ენა გულისხმობს ყველა ტიპის გამოხატვას, რომელიც ახალისებს, ხელს უწყობს, ავრცელებს ან ამართლებს ძალადობას, სიძულვილს და დისკრიმინაციას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, ან რომელიც ამცირებს მათ, მათი რეალური ან მიწერილი პიროვნული ნიშან-თვისებების ან სტატუსის გამო, როგორცაა, „რასა“², კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, სქესი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია.

3. ვინაიდან სიძულვილის ენა მოიცავს რიგ სიძულვილის შემცველ გამოხატვას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიმწვავის, გამოწვეული ზიანის და სხვადასხვა კონტექსტებში კონკრეტულ ჯგუფებზე გავლენის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადოდ მორგებული ზომების დანერგვა, სიძულვილის ენასთან ეფექტურად ბრძოლისა და პრევენციის მიზნით. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ადამიანის

2. ვინაიდან ყველა ადამიანი განეკუთვნება ერთსა და იმავე სახეობას, მინისტრთა კომიტეტი, ისევე, როგორც რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ევროპული კომისია (ECRI) არ ეთანხმება თეორიებს, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა „რასების“ არსებობას. თუმცა, წინამდებარე დოკუმენტში ტერმინი „რასა“ გამოყენებულია იმისათვის, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული და სიძულვილის ენასთან ბრძოლის და პრევენციის პოლიტიკის იმპლემენტაციის შედეგად უზრუნველყოფილი დაცვიდან არ გამოირიცხონ ის ადამიანები, რომლებიც ზოგადად და შეცდომით აღიქმებიან, როგორც „სხვა რასას“ მიკუთვნებული.

უფლებათა ევროპულ სასამართლოს (სასამართლო) შესაბამის პრეცედენტულ სამართალს და ერთმანეთისაგან უნდა განასხვავებდეს:

- a. i. სიძულვილის ენას, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე; და
ii. სიძულვილის ენას, რომელიც არ აღწევს სიმძიმის იმ ზღვარს, რომელიც საჭიროა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის, თუმცა, ექვემდებარება სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას; და
 - b. შეურაცხყოფილი ან საზიანო გამოხატვის ტიპები, რომლებიც არ არის საკმარისად მძიმე იმისათვის, რომ ლეგიტიმურად შეიზღუდოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, თუმცა, საჭიროებს ალტერნატიულ რეაგირებას, რაც განმარტებულია ქვემოთ და მოიცავს: საპირისპირო ენას და სხვა საწინააღმდეგო ზომებს; ზომებს, რომლებიც ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს და გაგებას, მათ შორის, მედიის და სოციალური მედიის საშუალებით; და ყველა შესაბამის საგანმანათლებლო, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს.
4. სიძულვილის ენის სიმძიმის შეფასებისას და პასუხისმგებლობის ტიპის განსაზღვრისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში წარმოდგენილი მითითებების შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტორები და მათი ურთიერთმიმართება: გამოხატვის შინაარსი; გამოხატვის მომენტში არსებული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი; ავტორის განზრახვა; ავტორის როლი და სტატუსი საზოგადოებაში; როგორ ხდება გამოხატვის გავრცელება და გაძლიერება; გამოხატვის პოტენციური, გამოიწვიოს საზიანო შედეგები, მათ შორის, ასეთი შედეგების გარდაუვალობა; აუდიტორიის ტიპი და ზომა და სამიზნე ჯგუფის მახასიათებლები.
5. სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ ყოვლისმომცველი მიდგომის შესაბამისად, მოამზადონ და განახორციელონ ფართო პოლიტიკა, კანონმდებლობა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, გამოყონ სათანადო რესურსები მათი იმპლემენტაციისთვის და ჩართონ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც მიუთითებს წინამდებარე დანართის მე-3 სექცია.
6. სიძულვილის ენის წინააღმდეგ ასეთი პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიებისა თუ სამოქმედო გეგმების მომზადებისა და იმპლემენტაციის დროს, წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ შემდეგი კომპონენტების მნიშვნელობას:
- a. განმარტებას, თუ რა ტიპის გამოხატვა ხდება გამოხატვის თავისუფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ფარგლებს გარეთ;
 - b. პრინციპული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მედია და ციფრული ტექნოლოგიების სპეციფიკურ მახასიათებლებსა და მათი საშუალებით გავრცელებული სიძულვილის ენის პოტენციურ გავლენას სამიზნე ადამიანებსა და ჯგუფებზე;
 - c. კონცენტრირებული და კოლაბორაციული მრავალმხრივი მიდგომის გამოყენებას, სიძულვილის ენის მრავალგანზომილებიანი ბუნების გათვალისწინებით;
 - d. იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა შესაბამისი მხარე ინფორმირებულია და ითვალისწინებს სიძულვილის ენის სხვადასხვა ნიშნების საფუძველზე გამოყენების კუმულაციურ შედეგებს, მათ შორის, ასაკის და გენდერისადმი მგრძნობიარე მიდგომის საჭიროებას; და
 - e. აქტიურ კომუნიკაციას სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებთან და მათი შეხედულებების გათვალისწინებას კანონებში, პოლიტიკასა და სიძულვილის ენის მიმართ განხორციელებულ სხვა სახის რეაგირებაში.

2. სამართლებრივი ჩარჩო

7. ფიზიკურ და ონლაინ გარემოში სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი და ეფექტური

სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, რომელიც უნდა შედგებოდეს სათანადოდ ფორმულირებული სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დებულებებისგან. სისხლის სამართლის გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში და სიძულვილის ენის გამოყენების ყველაზე მძიმე შემთხვევების მიმართ.

8. იმდენად, რამდენადაც ეს სამართლებრივი ჩარჩო იძლევა გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა სრულად აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს და სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს და სასამართლო და ხელისუფლების სხვა ორგანოებს საშუალებას აძლევდეს, გამოიყენონ ისეთი მოთხოვნების შესაბამისად, როგორიცაა კანონის მისაწვდომობა, განჭვრეტადობა და სიზუსტე, და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევის სიმძიმის შეფასებისას გაითვალისწინონ მე-4 პარაგრაფში (იხ. ზემოთ) წარმოდგენილი ფაქტორები.

9. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონმდებლობის ბოროტად ან არასათანადოდ გამოყენების წინააღმდეგ სამართლებრივი და პრაქტიკული დაცვის ეფექტური მექანიზმები შექმნან, განსაკუთრებით, როცა ეს ხორციელდება საჯარო დებატების ჩახშობისა და კრიტიკის, პოლიტიკური ოპონენტების ან უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანების გაჩუმების მიზნით.

10. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ თანასწორობის ორგანოები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და სამოქალაქო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ სიძულვილის ენასთან ბრძოლის ლეგიტიმური ინტერესი, რათა დაეხმარონ და უზრუნველყონ სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს წარმომადგენლობა სამართალწარმოების პროცესში და აღძრან სარჩელები სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მათი სახელით.

სისხლის სამართალი

11. წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უნდა დააკონკრეტონ და მკაფიოდ განსაზღვრონ, სიძულვილის ენის როგორი გამოხატვა ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ასეთებია:

- a. გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ან ომის დანაშაულების ჩადენისკენ საჯარო წაქეზება;
- b. სიძულვილის, ძალადობის ან დისკრიმინაციის საჯარო წაქეზება;
- c. რასისტული, ქსენოფობიური, სექსისტური და ლგბტი-ფობიური მუქარები;
- d. რასისტული, ქსენოფობიური, სექსისტური და ლგბტი-ფობიური საჯარო შეურაცხყოფები ისეთ პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია კონკრეტულად ონლაინ შეურაცხყოფების შემთხვევებისთვის, კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებით ოქმში (ETS No. 189), კომპიუტერული სისტემების საშუალებით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით;
- e. გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ან ომის დანაშაულების საჯარო უარყოფა, მნიშვნელობის დაკნინება და გამართლება; და
- f. სიძულვილის ენის ამგვარი (პუნქტები a-e ზემოთ) გამოხატვების შემცველი მასალების განზრახ გავრცელება, იმ იდეების ჩათვლით, რომელიც ეფუძნება რასობრივ უზენაესობას ან სიძულვილს.

12. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური გამოძიების ჩატარება ისეთ საქმეებში, სადაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა სიძულვილის ენის ისეთ გამოყენებას, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად დასჯადია.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სიძულვილის ენისგან სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობა სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში,

კერძოდ, ზოგად დელიქტურ სამართალში, ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონში.

14. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის გავრცელება სიძულვილის ენის ყველა გამოხატვაზე, რომელიც აკრძალულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში.

15. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო ორგანოებს ან დაწესებულებებს კანონით მოეთხოვებოდათ სიძულვილის ენასთან და მის გავრცელებასთან ბრძოლა და მისი პრევენცია და ტოლერანტული და ინკლუზიური ენის ხელშეწყობა.

კანონმდებლობა ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ

16. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონმდებლობა მოიცავდეს სიძულვილის ენას ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში, შეიცავდეს მკაფიო და განჭვრეტად დებულებებს ონლაინ სივრცეში სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით აკრძალული სიძულვილის ენის სწრაფად და ეფექტურად აღმოსაფხვრელად.

17. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენაზე რეაგირების კუთხით ინტერნეტ შუამავლების როლი და პასუხისმგებლები, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მოვალეობები და პასუხისმგებლობები ნევრმა სახელმწიფოებმა მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის შესაბამისად უნდა განსაზღვრონ და მკაფიოდ დაადგინონ. ამასთან, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან მკაფიო წესები და პროცედურები ამ აქტორებთან და აქტორებს შორის ეფექტური თანამშრომლობისთვის, ონლაინ სივრცეში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად აკრძალული სიძულვილის ენის შეფასებასა და გამოძიებასთან დაკავშირებით.

18. ნევრმა სახელმწიფოებმა მათ იურისდიქციებში მომუშავე ინტერნეტ შუამავლებს უნდა მოსთხოვონ ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის, სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობის პატივისცემა და ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების (due diligence) პრინციპების გამოყენება თავიანთ საქმიანობასა და პოლიტიკაში, და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით არსებული ჩარჩოებისა და პროცედურების შესაბამისი ზომების მიღება.

19. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის შემთხვევების შესახებ საჯარო ორგანოებისა და კერძო აქტორებისათვის, მათ შორის, ინტერნეტ შუამავლებისათვის შეტყობინების მექანიზმების დანერგვა და დაადგინონ მკაფიო წესები ასეთი შეტყობინებების დამუშავებასთან დაკავშირებით.

20. აღმოფხვრის პროცედურები და პირობები და შესაბამისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრებათ ინტერნეტ შუამავლებს, უნდა იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და განჭვრეტადი, ხოლო ეს პროცედურები უნდა ექვემდებარებოდეს სათანადო სამართლებრივი განხილვის პროცედურას. მათ მომხმარებლები უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებებით, რომელიც ხორციელდება გამჭვირვალე ზედამხედველობისა და დროული, ხელმისაწვდომი და სამართლიანი გასაჩივრების მექანიზმების საშუალებით, რაც, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებელ სასამართლო კონტროლს დაექვემდებარება.

21. ნევრი სახელმწიფოები ინტერნეტ შუამავლების პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების დროს, ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის შესაბამისად, ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც არსებობს ინტერნეტ შუამავლების მოცულობის, სახეობის, ფუნქციისა და ორგანიზაციული სტრუქტურის კუთხით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო არაპროპორციული გავლენა შედარებით მცირე ზომის ინტერნეტ შუამავლებზე.

22. ნევრმა სახელმწიფოებმა კანონით უნდა დაადგინონ, რომ ინტერნეტ შუამავლები ვალდებული არიან, მიიღონ ეფექტური ზომები მათი მოვალეობებისა

და პასუხისმგებლობების შესასრულებლად, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ უნდა გაავრცელონ და არ უნდა გახადონ ხელმისაწვდომი სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად აკრძალული სიძულვილის ენა. ამ მოვალეობის შესრულების მნიშვნელოვანი ელემენტებია: სიძულვილის ენის შესახებ შეტყობინებების სწრაფად დამუშავება; ასეთი სიძულვილის ენის დაუყოვნებელი ამოღება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების პატივისცემა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად აკრძალულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებული მტკიცებულებების დაცვა; სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინება შესაბამისი ორგანოებისათვის; კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული ორდერის საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად აკრძალული სიძულვილის ენის შესახებ მტკიცებულების გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის; ბუნდოვანი და კომპლექსური საქმეების, რომლებიც შემდგომ შეფასებას საჭიროებს, კომპეტენტური მარეგულირებელი ან თანა-მარეგულირებელი ინსტიტუტებისთვის ან ორგანოებისთვის გადაცემა; და ბუნდოვან და კომპლექსურ შემთხვევებში ისეთი დროებითი ზომების განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინება, როგორიცაა დეპრიორიტიზაცია და კონტექსტუალიზაცია.

23. წევრმა სახელმწიფოებმა კანონით უნდა დაადგინონ, რომ ინტერნეტ შუამავლები და შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, დაინტერესებულ ინდივიდებსა და დაწესებულებებს მოკლედ და ზედმინევით განუმარტონ მათ მიერ მიღებული სიძულვილის ენის დაბლოკვის, წაშლის ან დეპრიორიტიზაციის გადანყვეტილების, ან შეტყობინებული შინაარსის დაბლოკვაზე, წაშლაზე ან დეპრიორიტიზაციაზე უარის თქმის საფუძველები.

24. წევრ სახელმწიფოებში უნდა მოქმედებდეს გამომწერების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სისტემა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ორგანოები დაადგენენ, რომ ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენა არღვევს კანონს და მისი ავტორების და გამავრცელებლების ვინაობა კომპეტენტური ორგანოებისათვის უცნობია. წევრმა სახელმწიფოებმა მათი ვინაობის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამჟღავნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპის სამართლის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ.

25. წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას და სტატისტიკას ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის შესახებ, მათ შორის, შინაარსობრივ შეზღუდვებს და სახელმწიფო ორგანოების მიერ პლატფორმებისათვის წარდგენილ მოთხოვნებს, სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის წაშლის შესახებ, ხოლო აღნიშნული უნდა ექვემდებარებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვას, ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, მათ კანონით უნდა დაადგინონ, რომ შესაბამის ინტერნეტ შუამავლებს ეკისრებათ ვალდებულება, რეგულარულად მოამზადონ და გამოაქვეყნონ ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება დისაგრეგირებული და ყოვლისმომცველი მონაცემები სიძულვილის ენის შემთხვევებსა და შინაარსზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ.

26. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ არსებული შინაარსის მოდერაციის სისტემების რეგულარული შეფასება და გაუმჯობესება დამოუკიდებელი ორგანოების მიერ, ინტერნეტშუამავლებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით,, რათა გაუმჯობესდეს ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოვლენა, შეტყობინება და დამუშავება და, ამავდროულად, აღმოიფხვრას შინაარსის უსამართლო შეზღუდვებისა და გადაჭარბებული შესაბამისობის გამომწვევი მიზეზები.

27. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თავიანთმა საკანონმდებლო ჩარჩომ გაითვალისწინოს ონლაინ სივრცეში მომუშავე მედია საშუალების სამართლებრივი მოვალეობა, არ გაავრცელოს სიძულვილის ენა, რომელიც აკრძალულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, და შეიცავდეს სათანადო დებულებას, რომელიც შეეხება მესამე მხარეების მიერ მედია საშუალებების კომენტარების სექციებში ან მათ პლატფორმებზე განთავსებულ კოლაბორაციულ სივრცეებში გამოქვეყნებულ სიძულვილის ენაზე წვდომის შეზღუდვას ან გაუქმებას, ხოლო საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, ასეთი შეზღუდვები საბოლოოდ უნდა

ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ სასამართლო ზედამხედველობას.

3. რეკომენდაციები ძირითადი აქტორებისთვის

საჯარო მოხელეები, არჩევითი ორგანოები და პოლიტიკური პარტიები

28. საჯარო მოხელეებმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ, თავიანთი გავლენიანი პოზიციის გათვალისწინებით, თავი უნდა შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენების, მხარდაჭერის ან გავრცელებისგან. საჭიროა მათი წახალისება, რათა საჯაროდ შეუწყონ ხელი ადამიანის უფლებების კულტურას და მტკიცედ და სწრაფად დაგმონ სიძულვილის ენა და, ამავდროულად, პატივი სცენ გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლებას, კრიტიკის და იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და შემანუხეხელია სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისთვის.

29. საჭიროა პარლამენტის, სხვა არჩევითი ორგანოების და პოლიტიკური პარტიების წახალისება, რათა მათ დაწერდნენ სიძულვილის ენასთან ბრძოლის და მასზე რეაგირების კონკრეტული პოლიტიკა, განსაკუთრებით, საარჩევნო კამპანიების და წარმომადგენლობით ორგანოებში დებატების კონტექსტში. ამ მიზნით, მათ უნდა დაამტკიცონ ქცევის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს შიდა საჩივრებისა და სანქციების პროცედურას. მათ, ასევე, თავი უნდა შეიკავონ ისეთი გამოხატვისგან, რომელიც, სავარაუდოდ, წახალისებს შეუწყნარებლობას და ღიად უნდა დაგმონ სიძულვილის ენა.

ინტერნეტ შუამავლები

30. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის მოვალეობის ფარგლებში, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა მოახდინონ სიძულვილის ენის გამოყენების ისეთი შემთხვევების იდენტიფიცირება, რომლებიც მათი სისტემების საშუალებით ვრცელდება და მოახდინონ რეაგირება მათზე, კორპორატიული პასუხისმგებლობის ფარგლებში, ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის შესახებ CM/Rec(2016)3 რეკომენდაციის და ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის შესაბამისად.

31. ინტერნეტ-შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი შინაარსის მოდერაციის პოლიტიკა და პრაქტიკა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით დაეყრდნოს ადამიანის უფლებათა სამართალსა და სტანდარტებს, აღნიშნულზე ცალსახად მიუთითონ მათი მომსახურების პირობებში და უზრუნველყონ მაქსიმალური გამჭვირვალობა ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით, შინაარსის მოდერაციის მექანიზმებისა და კრიტერიუმების ჩათვლით.

32. ინტერნეტ შუამავლებმა სიფრთხილით უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენებად იდენტიფიცირებულ შემთხვევაზე რეაგირება შეესაბამებოდეს შემთხვევის სიმძიმეს, როგორც ეს მე-4 პუნქტში არის მითითებული (იხ. ზემოთ) და სიძულვილის ენის გამოყენების ნაკლებად მძიმე შემთხვევებში შინაარსის წაშლის ალტერნატიული საშუალებები განსაზღვრონ და გამოიყენონ .

33. ინტერნეტ შუამავლები ყველა საჭირო ძალისხმევას უნდა მიმართონ, რათა ავტომატური ან ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ზედამხედველობა ხდებოდეს ადამიანური მოდერაციით, ხოლო შინაარსის მოდერაცია ხორციელდებოდეს შესაბამისი სამართლებრივი, ადგილობრივი, კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტების თავისებურებების გათვალისწინებით. თავისებურებების გათვალისწინების ფარგლებში მათ, ასევე, უნდა განიხილონ შინაარსის მოდერაციის დეცენტრალიზების შესაძლებლობა.

34. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა დანიშნონ საკმარისი რაოდენობის შინაარსის მოდერატორები, და უზრუნველყონ, რომ ისინი იყვნენ მიუკერძოებლები, ჰქონდეთ სათანადო ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება, გადიოდნენ რეგულარულ მომზადებას და იღებდნენ სათანადო ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ინტერნეტ შუამავლებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ სანდო გამომვლენებისა და ფაქტების შემოწმებლების, გადამზადება

ადამიანის უფლებათა სტანდარტებში, რომლებიც სიძულვილის ენას მიემართება.

35. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა დაამყარონ ეფექტური თანამშრომლობა სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ სიძულვილის ენის საკითხებზე, მათ შორის, მონაცემების შეგროვების და ანალიზის კუთხით, და მხარი დაუჭირონ მათ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია სიძულვილის ენაზე რეაგირების პოლიტიკის, პრაქტიკისა და კამპანიების გაუმჯობესებისკენ.

36. ინტერნეტ შუამავლებმა, მათ შორის, სოციალური მედიის პლატფორმებმა, უნდა გადახედონ თავიანთ ონლაინ სარეკლამო სისტემებს და მიკრო-თარგეთინგის, კონტენტის ამპლიფიკაციისა და რეკომენდაციის სისტემების გამოყენებას და მათ საფუძველზე მონაცემთა შეგროვების სტრატეგიებს, რათა ისინი პირდაპირ ან ირიბად არ ახალისებდეს ან ასტიმულირებდეს სიძულვილის ენის გავრცელებას.

37. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა შეიმუშაონ შიდა პროცესები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გამოავლინონ და თავიდან აიცილონ ადამიანის უფლებათა რისკები, სიძულვილის ენის შეფასებასთან და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებით, და უნდა დაექვემდებარონ ადამიანის უფლებებზე გავლენის რეგულარულ დამოუკიდებელ, ყოვლისმომცველ და ეფექტურ შეფასებებს და აუდიტებს.

მედია

38. მედიამ, ჟურნალისტებმა და სხვა აქტორებმა უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი მეთვალყურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ საჯარო დებატებს; ისინი უნდა სარგებლობდნენ თავისუფლებით, გააშუქონ სიძულვილის ან შეუწყნარებლობის შემთხვევები და თავად აირჩიონ გაშუქების ტექნიკა, სტილი და საშუალებები, იმ პირობით, რომ ისინი ესწრაფვიან საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია.

39. საჭიროა მედიის და ჟურნალისტების წახალისება, რათა მათ ხელი შეუწყონ ტოლერანტობის და გაგების კულტურას, მედიისა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ Rec(97)21 რეკომენდაციის შესაბამისად.

40. ამ მხრივ, საზოგადოებრივმა მედია საშუალებებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ, ვინაიდან თავიანთი მანდატის თანახმად, ისინი ემსახურებიან საზოგადოების ყველა ჯგუფს და აუმჯობესებენ სოციალურ ერთიანობას. მათ არ უნდა გამოიყენონ ან გაავრცელონ სიძულვილის ენა, ხოლო, თავიანთი საზოგადოებრივი მისიის ფარგლებში, მათ აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი ჯგუფებს შორის დიალოგს და გაგებას, ისევე, როგორც ისეთი შინაარსის გადაცემას ეთერში, რომელიც პოზიტიური და მხარდამჭერი ფორმით აღწერს ხმების და წყაროების მრავალფეროვნებას იმ თემში, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

41. მედიამ და ჟურნალისტებმა, ზუსტი და სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფის კუთხით გაწეული ძალისხმევის ფარგლებში, თავი უნდა შეიკავონ ინდივიდების, ჯგუფების და თემების დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი აღწერისგან და საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვან ჯგუფებს და თემებს მისცენ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდებში და განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის გაშუქებისას. მათ თავი უნდა შეიკავონ წინასწარ განწყობების პროვოცირებისგან და პიროვნულ მახასიათებლებზე ან სტატუსზე არასაჭირო მითითებებისგან.

42. დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანოებმა და მედიის თანა-რეგულირების და/ან თვით-რეგულირების ორგანოებმა პოზიტიური როლი უნდა შეასრულონ სიძულვილის ენაზე რეაგირების კუთხით. ისინი უნდა იყვნენ მთავრობისგან დამოუკიდებელი, საჯაროდ ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თავიანთ საქმიანობაში.

სამოქალაქო ორგანიზაციები

43. საჭიროა სამოქალაქო ორგანიზაციების წახალისება, რათა მათ დანერგონ სპეციფიკური პოლიტიკა, სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციისთვის და, საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში, თავიანთი თანამშრომლების, წევრების

და მოხალისეებისათვის უზრუნველყონ გადამზადება. ასევე, საჭიროა სამოქალაქო ორგანიზაციების წახალისება, რათა მათ სიძულვილის ენის საკითხებზე ითანამშრომლონ და გასწიონ კოორდინაცია ერთმანეთში და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

4. ცნობიერების ამაღლება, განათლება, გადამზადება და საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენება

44. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოამზადონ და განახორციელონ ეფექტური სტრატეგიები, რათა გამოიკვლიონ და რეაგირება მოახდინონ სიძულვილის ენის ძირეულ მიზეზებზე, მათ შორის, ადამიანებთან და ჯგუფებთან დაკავშირებულ დეზინფორმაციაზე, უარყოფით სტერეოტიპებსა და სტიგმატიზაციაზე.

45. სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ყოვლისმომცველი მიდგომის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა, მათი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, სხვადასხვა კონკრეტული ზომები უნდა მიიღონ, ცნობიერების ამაღლების, განათლების, გადამზადების, საპირისპირო ენის, ალტერნატიული ენისა და ინტელექტუალური დიალოგის წახალისების მიზნით.

46. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ ცნობიერება სიძულვილის ენის არსისა და იმ ზიანის შესახებ, რომელსაც ის აყენებს ადამიანებს, თემებსა და დემოკრატიულ საზოგადოებებს, სიძულვილის ენის შეფასების კრიტერიუმებისა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ, კერძოდ, შესაბამისი ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, თანასწორობის ორგანოებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივების წახალისების და მხარდაჭერის გზით, მათ შორის, მათი [ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის გზით] ვინც წარმოადგენს იმ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც სიძულვილის ენის სავარაუდო სამიზნეები არიან.

47. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლება და მედია და საინფორმაციო წიგნიერება, რომელიც ეხება სიძულვილის ენას ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში, ზოგადი განათლების სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი გახდეს.

48. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და განამტკიცონ საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივები, პროგრამები, მომხმარებელთა ინსტრუმენტები ბავშვებისთვის და ახალგაზრდა ადამიანებისთვის, მშობლებისთვის და მზრუნველებისთვის, განმანათლებლებისთვის, ახალგაზრდული მუშაკებისთვის და მოხალისეებისთვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან ერთად, რაც მათ საშუალებას მისცემს, გაიაზრონ სიძულვილის ენის მნიშვნელობა და რეაგირება მოახდინონ მასზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ასეთი ინიციატივების, პროგრამების და ინსტრუმენტების შემუშავებაში შეეძლოთ ეფექტური მონაწილეობის მიღება.

49. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სპეციფიკური ზომები ფართო საზოგადოებისთვის ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებისა და კულტურული პროგრამების მხარდასაჭერად, რათა გაიზარდოს ადამიანის უფლებებისადმი, როგორც პლურალისტური საზოგადოების შემადგენელი ნაწილისადმი ერთგულება, წახალისდეს კრიტიკული აზროვნება, მოხდეს თანასწორობის და კულტურათაშორისი და რწმენათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა და განმტკიცდეს კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა სიძულვილის ენის იდენტიფიცირებისთვის და მასთან საბრძოლველად.

50. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური და მიზნობრივი სასწავლო პროგრამების ხელმისაწვდომობა მათთვის, ვინც ჩართულია სიძულვილის ენასთან ბრძოლაში და მის პრევენციაში, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების წევრებისა და პერსონალისთვის, უშიშროების ძალებისთვის, პროკურატურისთვის, სასამართლოსთვის და სამედიცინო სამსახურების პერსონალისთვის და სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის, რათა მათ შეძლონ სიძულვილის ენის იდენტიფიცირება და თავიდან აცილება, იყვნენ მგრძნობიარენი სიძულვილის ენის სამიზნე პირების საჭიროებების მიმართ და მათ დაეხმარონ დარღვეული უფლების აღდგენაში, მოახდინონ რეაგირება სხვების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე და ასეთი შემთხვევების შეტყობინება და

შეზღუდონ სიძულვილის ენის გავლენა დაზარალებულებზე.

51. ნევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ცნობიერების ასამაღლებელ და სასწავლო პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ სიძულვილის ენის ჩამდენი პირების ჩართულობას, რათა მოხდეს მათ წინასწარ განწყობებზე და დისკრიმინაციულ ქმედებებსა და გამოხატვაზე რეაგირება. შესაბამის შემთხვევებში, სასამართლოს და პროკურატურას ალტერნატიული სანქციის სახით შეუძლიათ აღასრულონ ასეთ პროგრამაში მონაწილეობა, აღდგენითი მართლმსაჯულების მიღწევის მიზნებისთვის.

52. ნევრმა სახელმწიფოებმა, ისე, რომ არ შეზღუდონ მედიის დამოუკიდებლობა, უნდა წაახალისონ და მხარი დაუჭირონ მედია პროფესიონალებისა და ჟურნალისტების გადამზადებას, მათი მოსამზადებელი და პროფესიული გადამზადების ფარგლებში, სიძულვილის ენის იდენტიფიცირების, გაშუქების და მასზე რეაგირების საკითხებზე, ისევე, როგორც, სიძულვილის ენის გამოყენების და გავრცელების თავიდან აცილებისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების კულტურისა და ინკლუზიური საჯარო დებატების ხელშეწყობის კუთხით მედიისა და ჟურნალისტების როლის შესახებ.

53. ნევრმა სახელმწიფოებმა საჯარო პირები, როგორებიც არიან, პოლიტიკოსები, მაღალი რანგის მოხელეები და რელიგიური, ეკონომიკური და თემის ლიდერები უნდა წაახალისონ, რათა მათ მტკიცედ და დაუყოვნებლივ დაგმონ სიძულვილის ენის გამოყენება, გამოიყენონ საპირისპირო და ალტერნატიული ენა და ხელი შეუწყონ ჯგუფთა შორის ურთიერთგაგებას, მათ შორის, სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის გზით.

54. ნევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, თანასწორობის ორგანოებს, ინტერნეტ შუამავლებს, მედიასა და სამოქალაქო ორგანიზაციებს, რათა მათ შექმნან და ხელი შეუწყონ საპირისპირო და ალტერნატიული ენის ჩამოყალიბებას და ჩართონ სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები ამ პროცესში, ისე, რომ არ დაირღვეს მათი დამოუკიდებლობა. ნევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, მხარი უნდა დაუჭირონ შესაძლებლობების განვითარებისა და გადამზადების ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს უმცირესობათა ან სხვა ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანების მედიაზე წვდომას, მათ შორის, სათემო მედიის, უმცირესობების მედია ორგანიზაციებისა და სხვა საჯარო ჯგუფების შექმნის გზით, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯგუფთა შორის დიალოგს.

5. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მხარდაჭერა

55. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ეფექტური მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს დაეხმარება მიყენებულ ზიანთან გამკლავებაში. ასეთი მექანიზმები უნდა მოიცავდეს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სამართლებრივ დახმარებას და შესაძლოა განხორციელდეს სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით. ნევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროების შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ უფასო იურიდიული დახმარება, სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით აკრძალულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადამიანებს, რომლებიც უმცირესობებს ან სხვა ჯგუფებს განეკუთვნებიან, ხოლო ასეთი მექანიზმები უნდა იყენებდეს ასაკის და გენდერის მიმართ მგრძნობიარე მიდგომას.

56. ნევრმა სახელმწიფოებმა, სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უნდა შექმნან და განახორციელონ ცნობიერების ასამაღლებელი და საგანმანათლებლო ღონისძიებები იმ ადამიანებისა და ჯგუფებისათვის, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნეებს წარმოადგენენ და გაზარდონ მათი ინფორმირებულობა თავიანთი უფლებების შესახებ, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების საშუალებით დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობის შესახებ და მხარდაჭერის არსებული მექანიზმების თაობაზე. ასეთი ზომები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, მათ შორის, სხვადასხვა ენაზე, და ზოგადად მორგებული უნდა იყოს შესაბამისი ადამიანების და ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებზე

57. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ სიძულვილის ენის შეტყობინება, ისეთი ეფექტური მექანიზმების შექმნით, რომლებიც მოახდენს შეტყობინების შემაფერხებელი სამართლებრივი და არასამართლებრივი დაბრკოლებების იდენტიფიცირებას და სწრაფად აღმოფხვრას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სიძულვილის ენის შემთხვევაზე შეტყობინების ავტორების დაცვა საჩივრის წარდგენის შედეგად მიღებული საზიანო მოპყრობისგან ან შედეგებისგან, და ხელახალი ვიქტიმიზაციის შემთხვევაში, დამრღვევებისთვის სანქციების დაკისრება.

6. სიძულვილის ენის მონიტორინგი და ანალიზი

58. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი პოლიტიკა, კანონმდებლობა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები სიძულვილის ენის წინააღმდეგ ეფუძნებოდეს მტკიცებულებას და სათანადოდ ასახავდეს ასაკისა და გენდერის მიმართ მგრძნობიარე მიდგომას. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ტენდენციების იდენტიფიცირება, აღრიცხვა, მონიტორინგი და ანალიზი და უზრუნველყონ სისხლის სამართლის წესით დასჯადი სიძულვილის ენის შესახებ დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება და გავრცელება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოთა მიერ, მათ შორის, ისეთი საქმეების შესახებ, რომლებზეც შეტყობინება იქნა მიღებული და დევნა განხორციელებული, რამდენადაც შესაძლებელია, სიძულვილის ენისა და ინტერსექციული სიძულვილის ენის გავრცელების და გავრცობის საშუალებების, გამოხატვის სხვადასხვა ფორმების და საფუძვლების შესახებ, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის არსებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ამ მხრივ, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, საჭიროების შემთხვევაში, ითანამშრომლონ შესაბამის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

59. ამას გარდა, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მაქსიმალურად ესწრაფვოდნენ მსხვერპლთა აღქმებისა და არა-სისხლის სამართლებრივი მაგრამ საზიანო ენის აღქმული გავრცელების შესახებ აღქმების გააზრებასა და მათ შესახებ მონაცემების შეგროვებას, შესაბამის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის არსებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

60. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ, სამართალდამცავი სამსახურების მიერ სიძულვილის ენის შესახებ საჩივრების ეფექტურად აღრიცხვისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, და მათ მიერ საჩივართა ანონიმიზებული არქივის შესაქმნელად, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის არსებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

61. წევრმა სახელმწიფოებმა საჭაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ სიძულვილის ენის შესახებ მონაცემები, ინფორმაცია და ანალიზი და მიმდინარე ტენდენციები, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის არსებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

7. ეროვნული კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

62. ეროვნული კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგულარულ, ინკლუზიურ და გამჭვირვალე კონსულტაციაში, თანამშრომლობასა და დიალოგში ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან.

63. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის სამართლებრივ სტანდარტებსა და მიდგომებში თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე რეკომენდაციის დებულებების შესაბამისად. ამასთან, მათ უნდა დაიცვან და ეფექტურად განახორციელონ შესაბამისი ევროპული და საერთაშორისო ინსტრუმენტები, ითანამშრომლონ მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან და გაცვალონ ინფორმაცია და საუკეთესო პრაქტიკა.

განმარტებითი მემორანდუმი

სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2022)16 ნევრი სახელმწიფოების მიმართ

1434-ე შეხვედრა, 11, 13 და 17 მაისი, 2022 წ.

ევროპის საბჭოს დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მხავადფეხოვნებისა და ინკლუზიის
საკითხებზე მმართველი კომიტეტი (CDADI) და მედიისა და საინფორმაციო
საზოგადოების საკითხებზე მმართველი კომიტეტი (CDMSI)

შესავალი

1. სიძულვილის ენა კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომელსაც ფართომასშტაბიანი და სახიფათო შედეგები აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში. იგი გავლენას ახდენს არა მხოლოდ სამიზნე ინდივიდებზე, არამედ მათზეც, ვინც იმავე უმცირესობას ან ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელსაც პირდაპირი სამიზნეები. სიძულვილის ენა იწვევს სახიფათო დაყოფას საზოგადოებაში, გავლენას ახდენს სამიზნე სუბიექტების მონაწილეობასა და ჩართულობაზე და საფრთხეს უქმნის დემოკრატია. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები სულ უფრო და უფრო გარიყულები ხდებიან საზოგადოებისგან, ხდება მათი იძულებით ჩამოშორება საზოგადოებრივი დებატებიდან და გაჩუმება. ისტორია ადასტურებს, რომ სიძულვილის ენა, ასევე, განზრახ გამოიყენება ჯგუფებისა და საზოგადოებების ერთმანეთის წინააღმდეგ მობილიზების მიზნით, რათა მოხდეს ძალადობრივი ესკალაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ომის და გენოციდის პროვოცირება.
2. სიძულვილის ენა, ასევე, უზღუდავს სამიზნე სუბიექტებს იდეების თავისუფლად გაზიარების და გავრცელების, საკუთარი წუხილების გამოხატვისა და ადეკვატური წარმომადგენლობის შესაძლებლობას. სიძულვილის ენა, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს უმცირესობის ჯგუფების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების დასაშინებლად ან გასაჩუმებლად. აღნიშნული, ასევე, ეხება პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს და სხვა მედია აქტორებს, რომლებიც აშუქებენ საკითხებს, რომლებზეც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი. მძიმე მსუსხავი ეფექტი, რომელიც სიძულვილის ენას აქვს ჟურნალისტებსა და სხვა მედია აქტორებზე, რომლებიც აშუქებენ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს, განხილულია წიგნში A Mission to Inform: Journalists at Risk Speak Out, რომლის თანა-ავტორებიც არიან პროფესორი მერილინ კლარკი და ბატონი უილიამ ჰორსლი. წიგნი 2020 წელს გამოიცა და მასში წარმოდგენილია მყარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებიან მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალები მძიმე და „ზოგჯერ საერთაშორისო“ პროპაგანდისა და სიძულვილის ენის შემცველი კამპანიების სამიზნეები, მათ მიერ წარმოებული გამოძიებების გამო. წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სიძულვილის ენას შესაძლოა ჰქონდეს შემამფოთებელი გავლენა, როდესაც იგი მიმართულია ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, ონლაინ გარემოში. ამავდროულად, სხვადასხვა ტიპის კანონმდებლობის, მათ შორის, სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონების, ბოროტად გამოყენება ან გამოყენების მუქარა, შესაძლოა, თანაბრად ეფექტური იყოს საზოგადოებრივ დებატებში წვლილის შეტანის მოსურნეთა გასაჩუმებლად.

3. სიძულვილის ენის გავრცელება და შემაშფოთებელი ზრდა, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში, და მისი გავლენა ევროპაში ადამიანის უფლებებით სარგებლობასა და დემოკრატიაზე, დოკუმენტირებული იქნა ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოების, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს (FRA) და სხვა არაერთი მთავრობათაშორისი და სამოქალაქო ორგანიზაციების, ინტერნეტ შუამავლებისა და სხვა ორგანოების მიერ. ბოლოდროინდელ ანგარიშებში (ქვეყნის მონიტორინგისა და ყოველწლიური ანგარიშები) რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ევროპული კომისია (ECRI), დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებზე და კვლევებზე დაყრდნობით, აღწერს ულტრა-ნაციონალისტური, ქსენოფობიური, რასისტული და ლგბტი-ფობიური სიძულვილის ენის ზრდას სხვადასხვა წევრ-სახელმწიფოებში. სიძულვილის ენას ხშირად, ასევე, აწყდებიან ინტერნეტში (კერძოდ, იხილეთ ECRI-ის ბოლოდროინდელი ყოველწლიური ანგარიში და თავები სიძულვილის ენის შესახებ მონიტორინგის მეხუთე და მეექვსე ციკლის ანგარიშებში). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიძულვილის ენისა და განსაკუთრებით, სიძულვილის ენის ტალღების ზრდა აღქმული უნდა იქნეს, როგორც კონკრეტული გამაფრთხილებელი ნიშანი იმისა, რომ ძალადობის ესკალაცია, სავარაუდოდ, გარდაუვალია და საჭიროა მტკიცე ქმედება დემოკრატიული სტაბილურობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

4. ამგვარი სახიფათო ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით და ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა განახორციელონ ეფექტური და მდგრადი ქმედება სიძულვილის ენის წინააღმდეგ. წინამდებარე რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს აწვდის ყოვლისმომცველ სახელმძღვანელო მითითებებს სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის კუთხით. იგი ეყრდნობა მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის რეკომენდაციას Rec(97)20 სიძულვილის ენის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა მედიისა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ Rec(97)21 რეკომენდაციასთან ერთად.

5. სიძულვილის ენის სამიზნე ადამიანების დაცვა და მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის შენარჩუნება (ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი, (ETS No. 005), შემდგომში „კონვენცია“) ისე, რომ ამავდროულად, დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10) და უზრუნველყოფილი დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება, კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის პროცესში (მუხლი 14) კომპლექსურ ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს შესაბამისი ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების მუდმივ და სიფრთხილით დაბალანსებას (დეტალებისთვის იხ. §§ 24 et seq. ქვემოთ).

6. რეკომენდაცია სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, შემდგომში „რეკომენდაცია“, შეიცავს სიძულვილის ენის ფართო განმარტებას (რეკომენდაციის §2) და ამ განმარტებაში ერთმანეთისაგან განარჩევს სიძულვილის ენის განსხვავებულ შრეებს (რეკომენდაციის §3). იგი, ასევე, ითვალისწინებს ფაქტორებს სიძულვილის ენის სიმძიმის შესაფასებლად და სახელმძღვანელო მითითებებს სიძულვილის სხვადასხვა შრეებთან მიმართებით სათანადო და პროპორციული რეაგირების შემუშავებისთვის (რეკომენდაციის §5 et seq.). რეკომენდაცია ითვალისწინებს სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ყოვლისმომცველ მიდგომას. ამრიგად, იგი შეეხება არა მხოლოდ სიძულვილის ენასთან ბრძოლის აუცილებელ სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ, ასევე, შეიცავს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო მითითებებს სიძულვილის ენის ძირეულ გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების კუთხით, არასამართლებრივი საშუალებებით, კერძოდ, მე-4 თავში წარმოდგენილი რეკომენდაციების მეშვეობით, რომლებიც ეხება ცნობიერების ამაღლებას, განათლებას, გადამზადებას და საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენებას. წევრ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული კონსტიტუციური და სამართლებრივი მოწყობები და არსებული სიტუაციები საჭიროებს წინამდებარე რეკომენდაციის იმპლემენტაციისთვის სხვადასხვა გზების შესწავლას.

7. სიძულვილის ენა ბევრი სხვადასხვა ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული. რასისტული ენა, მაგალითად, მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ, კულტურულ, ლინგვისტურ ან რელიგიურ უმცირესობებს, მათ შორის,

ბოშები და მოგზაურები,¹ ებრაელები, მუსლიმები, შავკანიანები, მიგრანტები და მიგრაციული წარმომავლობის მქონე ადამიანები, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები და არარეგულარული მიგრანტები და ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა უმცირესობებს; სექსისტური ენა ხშირად მიმართულია ქალების წინააღმდეგ; ხოლო ლგბტი-ფობიური სიძულვილის ენა მიმართულია ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების წინააღმდეგ. წინამდებარე რეკომენდაცია დამისიდანართი (რეკომენდაცია) შეიცავს ზომებს არამხოლოდ სიძულვილის ენის პირდაპირი, არამედ, ასევე, ირიბი სამიზნე სუბიექტების დასაცავად და დასახმარებლად (მაგალითად, იმ უმცირესობის ან ჯგუფის წევრები, რომელსაც მიეკუთვნება სიძულვილის ენის პირდაპირი სამიზნე სუბიექტი), რომლებზეც, ასევე, გავლენას ახდენს სიძულვილის ენა. ამ ადამიანების აღსანიშნავად რეკომენდაცია იყენებს ზოგად ტერმინს „სიძულვილის ენის სამიზნე პირები“, რაც, ასევე, მოიცავს სიძულვილის ენის სხვადასხვა ფენებს, სიმძიმის სხვადასხვა ხარისხით (რეკომენდაციის § 3 და 4). იმას, თუ ადამიანის რომელ უფლებებზე ახდენს გავლენას სიძულვილის ენა და ვინ განიცადა ზიანი სიძულვილის ენის შედეგად, ადგენენ შესაბამისი ორგანოები და სასამართლო და არა სიძულვილის ენის ჩამდენი პირი. ტერმინი „სიძულვილის ენის სამიზნე პირები“ უფრო ფართოა, ვიდრე ტერმინი „მსხვერპლი“, რომელიც განმარტებულია წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის 202-ე პუნქტში.

8. ბევრი ადამიანი (მაგალითად, შავკანიანი მუსლიმები ან ლესბოსელი ბოშა ქალები) სიძულვილის ენის სამიზნე ხდება განსხვავებული, ინტერსექციური და კუმულაციური ნიშნების საფუძველზე, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მათ მდგომარეობას (იხ. ECRI-ის ყოველწლიური ანგარიშები, 2018, § 15 და 2019, § 13). მაგალითად, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ხაზს უსვამს, რომ ქალები და გოგონები, შესაძლოა, დაექვემდებარონ დისკრიმინაციის და სექსიზმის მრავლობით და ინტერსექციულ ფორმებს, მათ შორის, სექსისტურ სიძულვილის ენას. მათ განსაკუთრებით ემუქრებათ ეს საფრთხე, თუ მათი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პროფესიები, როგორიცაა ჟურნალისტი ან პოლიტიკოსი.

9. ბოლო წლებში სიძულვილის ენა განსაკუთრებით გავრცელდა ინტერნეტით. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლა და პრევენცია სპეციფიკურ გამოწვევებს წარმოშობს, რადგან ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით წამებში ვრცელდება. ზოგჯერ, იგი, შესაძლოა, მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს ონლაინ სივრცეში (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო („სასამართლო), Delfi AS v. Estonia, no. 64569/09, 2015 წლის 16 ივნისი [დიდი პალატა], § 110; და Annen v. Germany, no. 3690/10, 2015 წლის 26 ნოემბერი, § 67). წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მთავარი ვალდებულება, დაიცვან ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის, ციფრულ გარემოში (ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის 1.1.3 პუნქტი). აღნიშნული, ასევე, მოიცავს სხვა კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევისგან, მათ შორის, პოტენციური დარღვევისგან დაცვის ვალდებულებას. (Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria, no. 10126/82, 1988 წლის 21 ივნისი, §§ 32 et seq.). ამასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია ითვალისწინებს იმ ცენტრალურ როლს, რომელსაც ინტერნეტ შუამავლები ასრულებენ ინტერნეტისა და ონლაინ კომუნიკაციის ფუნქციონირებაში. იგი, ასევე, მიუთითებს მათ პასუხისმგებლობებზე ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის შესახებ CM/Rec(2016)3 რეკომენდაციის და ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის შესაბამისად (დეტალებისათვის, იხ. წინამდებარე რეკომენდაციის §§ 30 et seq.).

10. საჭიროა ბევრი სხვადასხვა აქტორის ჩართვა სიძულვილის ენასთან ბრძოლაში და პრევენციაში. ეს აქტორებია: საჯარო დაწესებულებები, მათ შორის, არჩევითი ორგანოები ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე და მათი წარმომადგენლები და

1. ტერმინი „ბოშები და მოგზაურები“ გამოიყენება ევროპის საბჭოს მიერ იმ სხვადასხვა ჯგუფების აღსანიშნავად, რომლებიც ევროპის საბჭოს მიერ ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობის ბენეფიციარებს წარმოადგენენ: ერთის მხრივ, ა) ბოშა, სინტი/მანუში, კალე, კაალე, რომანიკალი, ბოიაში/რუდარი; ბ) ბალკანელი ეგვიპტელები (ეგვიპტელები და აშკალი); გ) აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფები (დომი, ლომი და აბდალი), ხოლო მეორეს მხრივ კი ისეთი ჯგუფები, როგორებიც არიან: მოგზაურები, იენიში და „Gens du voyage“-ის ადმინისტრაციული ტერმინის ქვეშ მოაზრებული მოსახლეობა; აგრეთვე, ადამიანები, რომლებიც თავს ბოშებად მიიჩნევენ.

თანამშრომლები, განსაკუთრებით განათლების, მედიის რეგულირების, სამართალდაცვით, საზოგადოებრივი მედიის და სასამართლოს სფეროებში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტები და თანასწორობის ორგანოები და ამავდროულად, სხვა დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა: პოლიტიკური პარტიები, საჯარო პირები, ინტერნეტ-შუამავლები, კერძო მფლობელობაში არსებული მედია საშუალებები, მათ შორის, კომერციული, ადგილობრივი და უმცირესობის მედია ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, სამოქალაქო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები, რელიგიური აქტორები, უმცირესობის და სხვა ჯგუფების წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდაცია მიზნად ისახავს, წევრ სახელმწიფოებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაეხმაროს სიძულვილის ენასთან ეფექტურად ბრძოლისა და პრევენციის მიზნით ყოვლისმომცველი პოლიტიკის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, გამოხატვის თავისუფლების დაცვის პირობებში. მესამე თავი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი ძირითადი აქტორებისთვის.

11. რეკომენდაცია შემუშავებულია სიძულვილის ენასთან ბრძოლის საკითხებზე კომიტეტის ექსპერტების (ADI/MSI-DIS) მიერ. აღნიშნული ორგანო დისკრიმინაციის დაუშვებლობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებზე მმართველი კომიტეტის (CDADI) და მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე მმართველი კომიტეტის (CDMSI) დაქვემდებარებული ორგანოა. ტექნიკური დავალების შესაბამისად, რეკომენდაცია ეფუძნება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელსაც კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად, საბოლოო იურისდიქცია გააჩნია კონვენციის და მისი ოქმების ინტერპრეტაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით, პრეცედენტული სამართლის საშუალებით. სასამართლოს გადაწყვეტილებები ემსახურება, არა მხოლოდ სასამართლოში შეტანილი საქმეების გადაწყვეტის მიზანს, არამედ, უფრო ზოგადად, კონვენციით დაწესებული წესების განმარტების, დაცვისა და განვითარების მიზანს, რითაც, კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხელს უწყობს წევრი-სახელმწიფოების მიერ კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას (Ireland v. the United Kingdom, no. 5310/71, 1978 წლის 18 იანვარი, §154). რეკომენდაცია მოქმედებს ევროპის საბჭოს არსებულ რელევანტურ ინსტრუმენტებზე, მათ შორის, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის CM/Rec(2019)1 რეკომენდაციაზე დამატებით.

12. ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შვიდ თავად არის ორგანიზებული. თითოეული თავი შეიცავს შესაბამის ზომებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა რელევანტურმა აქტორებმა უნდა მიიღონ სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, რათა მათ შეასრულონ კონვენციით აღებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ამ პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების იმპლემენტაცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას, განსაკუთრებით იმ უფლებების და თავისუფლებების, რომლებიც კონვენციის მე-8, მე-10 და მე-14 მუხლებითაა გათვალისწინებული, კანონის უზენაესობის პრინციპის სრულად პატივისცემის საფუძველზე. საჭიროა, რომ რეგულარულად გადაიხედოს კონვენციის სწრაფი და სრული იმპლემენტაცია.

1. მოქმედების სფერო, განმარტება და მიდგომა

1-ლი პუნქტის შესახებ:

13. რეკომენდაცია მიზნად ისახავს, ყოვლისმომცველი გზით დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს სიძულვილის ენასთან ბრძოლაში. იგი მოიცავს სამართლებრივ და არასამართლებრივ ზომებს, არა მხოლოდ სიძულვილის ენაზე ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში, არამედ, ასევე, მის გამომწვევ ძირეულ მიზეზებზე რეაგირებისთვის. ამრიგად, იგი ხელს უწყობს ადამიანების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციას და ინკლუზიური მიდგომის გამოყენებას.

14. რეკომენდაციაში ხაზგასმულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, როგორც ეს მე-7 თავშია ასახული და ძირითადი აქტორების მხრიდან სპეციფიკური წვლილის შეტანის შესაძლებლობის საჭიროებას სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის

კუთხით, როგორც ეს მითითებულია რეკომენდაციის მე-3 თავში და მის განმარტებით მემორანდუმში.

მე-2 პუნქტის შესახებ:

15. სიძულვილის ენის რაიმე ავტორიტეტული, სავალდებულო სამართლებრივი ძალის მქონე განმარტება ევროპულ ან საერთაშორისო დონეზე დღემდე არ არსებობს. არსებული განმარტებების და აღწერების მიზანი, ხშირად, პოლიტიკურია და ფართოდ ფორმულირებულია. ის ზოგადად მოიცავს ენას, რომელიც ქმნის და აძლიერებს სიძულვილს და ხშირად ფესვგადგმულია შეუწყნარებლობასა და სიძულვილში (იხ. რეკომენდაცია No. R (97)20 სიძულვილის ენის შესახებ, § 1; რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია (ICERD), მუხლი 4; გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), მუხლი 20.2; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) რეზოლუცია 2275(2019) პოლიტიკური ლიდერების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, სიძულვილის ენასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კუთხით, § 1; PACE-ის რეზოლუცია 2144 (2017) კიბერ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის აღმოფხვრის შესახებ, § 2; ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 6; და გაეროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სიძულვილის ენის შესახებ, გვ.10).

16. შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში ამჟამად არსებული სიძულვილის ენის განმარტებები განსხვავდება და ასახავს სხვადასხვა სოციალურ კონტექტებში კონკრეტული ტიპის სიძულვილის ენის მასშტაბებს, გავრცელებას და გავლენას. ეს სიტუაცია შესაბამისობაშია პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებთან, კრიმინალიზაციის ზომების მინიმუმამდე დაყვანის მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრიმინალიზება აუცილებელია არალეგალური ქმედების შედეგად გამოწვეულ ზიანზე რეაგირებისთვის.

17. წინამდებარე რეკომენდაცია, ასევე, მოიაზრებს ტერმინის სიძულვილის ენის ფართო გაგებას, ვინაიდან მისი მიზანია, წევრ სახელმწიფოებს დაეხმაროს ისეთი კანონმდებლობის, პოლიტიკის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, რომელიც ყოვლისმომცველი საშუალებებით ახდენს სიძულვილის გავრცელების პრევენციას და ებრძვის მას. აღნიშნული მოცავს ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას და სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების დაცვისკენ მიმართულ ზომებს. აღნიშნული განმარტება მოიცავს სიძულვილის ენის სამ შრეს, რომელსაც ერთმანეთისაგან განარჩევს რეკომენდაციის მე-3 პუნქტი, მათი სიმძიმის მიხედვით.

18. ფართო განმარტება, ასევე, მოიცავს სიძულვილის ენის, მათ შორის, რეკომენდაციის მე-11 და მე-13 პუნქტებში ჩამოთვლილი ენის, განსხვავებული გამოხატვების ფართო სპექტრს, რომელთაგანაც რამდენიმე განმარტებულია ევროპულ და/ან საერთაშორისო სავალდებულო და არასავალდებულო ინსტრუმენტებში (იხ. განმარტებითი მემორანდუმი, §§ 55-57, 61,63). ისინი მოიცავს გენოციდის პირდაპირ და საჯარო წახალისებას; სიძულვილის, ძალადობის ან დისკრიმინაციის წახალისებას; რასისტულ, ქსენოფობიურ, სექსისტურ და ლგბტი-ფობიურ მუქარებს და შეურაცხყოფებს; სასამართლოს მიერ დადგენილი გენოციდის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების და ომის დანაშაულების უარყოფას, ტრივიალიზაციას და გამართლებას და ასეთი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების განდიდებას; ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დამცირებას, სიძულვილს ან ცილისწამებას; ისევე, როგორც ნებისმიერ შევიწროებას, უარყოფით სტერეოტიპებს ან სტიგმატიზაციას ასეთი ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ; ყველა აღნიშნული ტიპის გამოხატვის გამართლებას; და ისეთი მასალის განზრახ გავრცელებას, რომელიც ასეთ გამოხატვას შეიცავს (აღნიშნულთან კავშირში, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, პრეამბულა).

19. წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილი ნიშნების ჩამონათვალი მოიცავს პიროვნული მახასიათებლების და სტატუსის ფართო სპექტრს, რის გამოც ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან განირჩევიან და რაც ზოგადად დისკრიმინაციის დაუშვებელ ნიშნებად არის მიჩნეული. ნიშნების ჩამონათვალი არის ღია, რაც

შემთხვევითობას არ წარმოადგენს. მართლაც, რეკომენდაციაში წარმოდგენილი განმარტება ინტერპრეტირებული უნდა იქნეს კონვენციით, განსაკუთრებით, მე-14 მუხლში დაცული უფლებების ევოლუციური ბუნების შესაბამისად. იგი, ასევე, ეყრდნობა სხვა შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებს (დეტალებისათვის იხ. სასამართლოს სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და კონვენციის No. 12 ოქმის 1-ლი მუხლის შესახებ, დისკრიმინაციის აკრძალვა, § 87 et seq.; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (ICCPR) 2.1 მუხლი; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 2.2 მუხლი; და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ). განმარტება, ასევე, მოიცავს სიძულვილის ენის გამოყენებას რამოდენიმე ნიშნის საფუძველზე. ღია ჩამონათვალი განვითარებადი სოციალური მოვლენების შესაბამისად რეაგირების ადაპტაციის შესაძლებლობას იძლევა. რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში, სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენებას შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული მასშტაბი, ბუნება და გავლენა და მიიჩნევს, რომ წევრი სახელმწიფოები უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან იმისათვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილება სათანადო რეაგირების შესახებ.

20. დებულებები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, სექსისტური სიძულვილის ენის ფორმით გამოხატული სქესის და/ან გენდერის ნიშნით დისკრიმინაციაზე რეაგირების კონტექსტში, წარმოდგენილია CM/Rec(2019)1 რეკომენდაციაში სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (cf. პრეამბულა და §§ I.A.1, I.A.10, II.B.1, II.C.3, II.F.2, II.H.3).

21. განმარტება, ასევე, მოიცავს შემთხვევებს, როდესაც სამიზნე პირი (იხ. ამ ტერმინის განმარტება განმარტებითი მემორანდუმის მე-7 პუნქტში) აღქმულია ან მიჩნეულია გარკვეული პიროვნული ნიშან-თვისებების ან სტატუსის მქონედ, რომელიც მას რეალურად არ გააჩნია. მაგალითად, მოძალადე შეურაცხყოფას აყენებს ადამიანს იმისათვის, რომ იგი მისდევს გარკვეულ რელიგიას, თუმცა, რეალურად იგი სხვა რელიგიას მისდევს ან საერთოდ არ მისდევს რელიგიას.

22. განმარტება, ასევე, მოიცავს სიძულვილის ენას, რასიზმის ყველა სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს ანტისემიტიზმს, ანტი-მუსლიმანურ რასიზმს და შეუწყნარებლობას და დისკრიმინაციას ქრისტიანებისა და რელიგიური ან რწმენის უმცირესობებს მიკუთვნებული ადამიანების წინააღმდეგ, კონვენციის მე-9 მუხლის და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ისევე, როგორც ანტი-ბოშიზმს, რასიზმს შავკანიანების წინააღმდეგ და ქსენოფობიას ზოგადად და მიგრაციასთან კავშირში.

23. განმარტება ხელს უნდა უწყობდეს წევრ სახელმწიფოებში სიძულვილის ენის შესახებ საერთო გაგების ჩამოყალიბებას. ვინაიდან სიძულვილის ენა სულ უფრო მეტად ვრცელდება ინტერნეტის საშუალებით და ერთი წევრი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა, უფრო მყარი და საერთაშორისო თანამშრომლობა საჭირო საერთაშორისო დონეზე სიძულვილის ენის გავრცელებასთან ბრძოლისა და პრევენციისთვის (ასევე, იხ. რეკომენდაციის პუნქტები 62-63).

მე-3 პუნქტის შესახებ:

24. რეკომენდაცია სიძულვილის ენის სხვადასხვა შრეებს ერთმანეთისაგან, მათი სიმძიმის მიხედვით განარჩევს. კონვენციით დადგენილი ფასეულობების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით და მხედველობაში მივიღებთ, რომ კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებით დაცული უფლებები თანაბარ პატივისცემას იმსახურებს, საჭიროა იმგვარი ბალანსის დამყარება, რომელიც უზრუნველყოფს ორივე უფლების არსის შენარჩუნებას (Perinçek v. Switzerland, no. 27510/08, 2015 წლის 15 ოქტომბერი [დიდი პალატა], § 110). სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიური ვალდებულებას, დაიცვან იმ სიძულვილის ენის მსხვერპლები, რომელიც აღწევს სიმძიმის გარკვეულ ზღვარს, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საშუალებით (Delfi AS v. Estonia, ციტირებული ზემოთ, § 153 და 159; Beizaras and Levickas v. Lithuania, no. 41288/15, 2020 წლის 14 მაისი, § 125; Budinova and Chaprazov

v. Bulgaria, no. 12567/13, 2021 წლის 16 თებერვალი, §§ 62 et seq.; დამატებითი დეტალებისთვის, იხ. ქვემოთ განმარტებითი მემორანდუმის §§ 37 et seq.). მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საშუალებები, ფიზიკური პირების ქმედებებისგან დაცვის კონტექსტში, არსებითად სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში ხვდება, თუმცა, როდესაც საფრთხე ემუქრება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების არსებით ასპექტებს, მძიმე ქმედებების ეფექტურად აღკვეთა საჭიროებს შესაბამის სისხლის სამართლებრივ დებულებებს (Beizaras and Levickas v. Lithuania, ციტირებული ზემოთ, § 110).

25. ამავდროულად, კონვენციის 10.2 მუხლის თანახმად, 10.1 მუხლით დაცული თავისუფლებების განხორციელება „შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სპეციფიკური ინტერესების დასაცავად (ეროვნული უშიშროება, ტერიტორიული მთლიანობა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვა, სხვათა უფლებების ან ღირსების დაცვა, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა). 10.2 მუხლის მოქმედების სფეროს მხედველობაში მიღებით და პროპორციულობის პრინციპის სათანადოდ გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოებს, შესაძლოა, დასჭირდეთ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დებულებების გამოყენება, სიძულვილის ენის მსხვერპლთა დასაცავად (Perinçek v. Switzerland, ციტირებული ზემოთ, § 273). ასეთი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობის დებულებები, სისხლისსამართლებრივი სანქციების მსგავსად, ასევე, ხელს უწყობს დისკრიმინაციის მსხვერპლთა დაცვას, კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად. ზოგიერთი სახელმწიფოსთვის, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთადერთი საფუძველია სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემცველი სიძულვილის ენის დასარეგულირებლად, ხოლო სხვა სიძულვილის ენას სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ამ შემთხვევებში, ასეთი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში დაცვის მექანიზმების სახით შესაძლოა, ითვალისწინებდეს ზომებს, რომელთაც სხვა სახელმწიფოები, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის ზომებად მიიჩნევენ - როგორცაა, მაგალითად, ჯარიმები და კომპენსაცია, სისხლისსამართლებრივი სანქციის ფარგლებში (მაგ., საპატიმრო სასჯელის სანაცვლოდ ან ასეთ სასჯელთან ერთად).

26. პრაქტიკაში, წევრი სახელმწიფოები სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე შემთხვევებზე რეაგირებენ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საშუალებით და ზოგჯერ, ამის პარალელურად, სამოქალაქო სამართლის საშუალებითაც, კომპენსაციის გაცემის ნაწილში. ნაკლებად მძიმე შემთხვევებზე რეაგირება ხდება ადმინისტრაციული ან სამოქალაქო კანონმდებლობის მეშვეობით.

27. როდესაც საქმე ეხება სიძულვილის წახალისებას და გამოხატვის თავისუფლებას, სასამართლო იყენებს კონვენციით გათვალისწინებულ ორ მიდგომას: კონვენციის დაცვის სფეროდან გამორიცხვის მიდგომა, რომელსაც ითვალისწინებს მე-17 მუხლი (უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა), თუ განსახილველი კომენტარები წარმოადგენს სიძულვილის ენას და უარყოფს კონვენციის ფუნდამენტურ ფასეულობებს; და დაცვაზე შეზღუდვების დაწესების მიდგომა, რაც კონვენციის 10.2 მუხლით არის გათვალისწინებული. ეს მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც გამოხატვა სიძულვილის ენას წარმოადგენს, მაგრამ არ აქვს კონვენციის ფუნდამენტური ფასეულობების განადგურების უნარი.

28. სიძულვილის ენაზე ყოველმხრივი რეაგირება საჭიროებს სათანადო და პროპორციულ რეაგირებას გამოხატვის შეურაცხმყოფელ ან საზიანო ფორმებზე, რომლებიც არ არიან საკმარისი სიმძიმის, რათა დაექვემდებარონ კონვენციის თანახმად დაწესებულ შეზღუდვებს. ასეთი მიდგომა შეესაბამება რეკომენდაციის ძირითად მიზნებს, კერძოდ, სიძულვილის ენის ფენომენზე რეაგირებისას ყოველმხრივი სტრატეგიის გამოყენების საჭიროებას.²

2. განმარტებითი მემორანდუმი უზრუნველყოფს რეკომენდაციისა და მისი ყოვლისმომცველი მიდგომის განმარტებას. მისი მიზანია, წევრ სახელმწიფოებს და სხვა დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს სიძულვილის ენის ყველა ფორმასთან დაკავშირებით რეაგირებაში, ყოვლისმომცველი პერსპექტივიდან, და არ უნდა იქნას აღქმული სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევის მცდელობად.

29. არსებობს გამოხატვის შეურაცხყოფელი ან საზიანო ფორმები, რომლებიც, წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის, სიძულვილის ენას წარმოადგენს, თუმცა არ მოიცავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ისინი, არსებითად, დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, რომლით დაცული სფეროც, ასევე, მოიცავს ისეთ გამოხატვას, რომელიც შეურაცხყოფს, შოკისმომგვრელია და შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისთვის (*Handyside v. United Kingdom*, no. 5493/72, 1976 წლის 7 დეკემბერი, § 49).

30. 10.2 მუხლის თანახმად, ყველას, ვინც სარგებლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით, ეკისრება გარკვეული „მოვალეობები და პასუხისმგებლობები“. რელიგიური მოსაზრებების და რწმენის კონკრეტულ კონტექსტში, სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლოა „ლეგიტიმურად არსებობდეს ვალდებულება, მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გამოხატვა, რომელიც სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფს სხვას, არღვევს მის უფლებებს და არ ემსახურება ისეთი საკითხების საჯარო განხილვას, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრესს საკაცობრიო საკითხებში“ (*Otto-Preminger-Institut v. Austria*, no. 13470/87, 1994 წლის 20 სექტემბერი, § 49; ვენეციის კომისია, 2010, ცილისწამება, შეურაცხყოფა და სიძულვილი: პასუხების ძებნა დემოკრატიულ საზოგადოებაში [Blasphemy, insult and hatred: finding answers in a democratic society], § 73; და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, *Malcolm Ross v. Canada*, კომუნიკაცია No. 736/1997, U.N. Doc. CCPR/C/70/D/736/1997 (2000), § 11.6).

31. ასეთი სიძულვილის ენა არ მოიცავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, თუმცა, შესაძლოა იწვევდეს ან ამძაფრებდეს წინასწარგანწყობებს, შეუწყნარებლობას და სიძულვილს, იწვევდეს შეშფოთებებს ტოლერანტობასთან, ცივილურობასთან, ინკლუზიასთან და სხვების უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით, ემუქრებოდეს სოციალურ ერთიანობას და დემოკრატიულ სტაბილურობას. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მიზანშეწონილია ასეთი სიძულვილის ენის ძირეულ გამომწვევ მიზეზებზე რეაგირება არა-სამართლებრივი ზომებით, როგორცაა, დიალოგის და ეთნიკური კომუნიკაციის ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება, განათლება - მათ შორის, მედია და ინტერნეტ წიგნიერების ინიციატივები, და საპირისპირო ნარატივები. თანასწორობის ორგანოები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და სამოქალაქო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ ამ სფეროებში.

მე-4 პუნქტის შესახებ:

32. სასამართლომ განსაზღვრა ის ფაქტორები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს სიძულვილის ენის სიმძიმის შეფასებისას და რეაგირების და დაცვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისას, კერძოდ:

- ▶ გამოხატვის შინაარსი (*Leroy v. France*, no. 36109/03, 2008 წლის 2 ოქტომბერი, §§ 38 et seq.);
- ▶ გამოხატვის მომენტში არსებული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი (*Leroy v. France*, ციტირებული ზემოთ, § 38 et seq.; *Delfi AS v. Estonia*, ციტირებული ზემოთ, §§ 142-146; *Perinçek v. Switzerland*, ციტირებული ზემოთ, § 205);
- ▶ ავტორის განზრახვა (*Jersild v. Denmark*, no. 15890/89, 1994 წლის 23 სექტემბერი, § 31-37);
- ▶ ავტორის როლი და სტატუსი საზოგადოებაში (*Féret v. Belgium*, no. 15615/07, 2009 წლის 16 ივლისი, §§ 63 et seq.; ასევე, იხ. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CERD) ზოგადი რეკომენდაცია No. 35 რასისტულ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ; „რაბათის სამოქმედო გეგმა იმ ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წახალისებას (შემდგომში, რაბათის სამოქმედო გეგმა); და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის სახელმძღვანელო, გამოხატვის თავისუფლება, § 225);
- ▶ მისი გავრცელების ფორმა (*Savva Terentyev v. Russia*, no. 10692/09, 2018 წლის 28 აგვისტო, § 79; *Delfi AS v. Estonia*, ციტირებული ზემოთ, § 110; *Stomakhin v. Russia*, no. 52273/07, 2018

ნლის 9 მაისი, § 131; და Jersild v. Denmark, ციტირებული ზემოთ, § 32-33);

- ▶ ამ განცხადებების გაკეთების ფორმა და მათი პოტენციალი - პირდაპირ ან ირიბად - გამოიწვიოს საზიარო შედეგები, მათ შორის, ასეთი შედეგების გარდაუვალობა (Perinçek v. Switzerland, ციტირებული ზემოთ, § 205; Savva Terentyev v. Russia, ციტირებული ზემოთ, § 32-33);
- ▶ აუდიტორიის ტიპი და მოცულობა (Vejdeland and Others v. Sweden, no. 1813/07, 2012 წლის 9 თებერვალი, §§ 51-58; and Lilliendahl v. Iceland, no. 29297/18, 2020 წლის 11 ივნისი, §§ 38-39);
- ▶ სამიზნე ჯგუფის მახასიათებლები, მაგალითად, მისი მოცულობა, ჰომოგენურობა, განსაკუთრებული მოწყვლადობა ან ისტორიული სტიგმატიზაცია, და მისი პოზიცია ფართო საზოგადოებაში (Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, § 63).

33. კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტია ამ განსხვავებული ფაქტორების ურთიერთმიმართება და არა მხოლოდ ცალკეული ფაქტორის გათვალისწინება (Perinçek v. Switzerland, ციტირებული ზემოთ, § 208; Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, § 63). ამას გარდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ მიხედულების ფარგლებით სიძულვილის ენასთან ბრძოლის ზომების „აუცილებლობის“ შეფასებასთან დაკავშირებით კონვენციის 10.2 მუხლის გაგებით (Perinçek v. Switzerland, ციტირებული ზემოთ, § 196).

34. სასამართლო მსგავს ფაქტორებს იყენებს, რათა დაადგინოს, სიძულვილის ენა აღწევს თუ არა მინიმალურ ზღვარს, კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით (დეტალებისთვის, იხ. § 42 ქვემოთ). აღნიშნულ ფაქტორებს უნდა იყენებდნენ არა მხოლოდ სახელმწიფო აქტორები, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოები, არამედ, ასევე, ყველა სხვა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებს ონლაინ სივრცეში და მის გარეთ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე რეაგირებაში, ინტერნეტ შუამავლების ჩათვლით. ეს ფაქტორები ყველა აქტორს დაეხმარება სათანადო და პროპორციული ზომების შემუშავებაში, სიძულვილის ენის განსხვავებულ შრეებზე და გამოხატვებზე რეაგირების მიზნით. სადავო შემთხვევები სასამართლოს უნდა წარედგინოს, რათა მან შეძლოს სავალდებულო გადანაცვტილებების მიღება.

35. CERD-ის No. 35 ზოგადი რეკომენდაციის მე-15 პუნქტი განსაზღვრავს მსგავს ფაქტორებს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აღწევს სიძულვილის ენა იმ დონეს, რა დონეზეც სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა გამოცხადდეს: (1) გამოხატვის შინაარსი და ფორმა; (2) ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კლიმატი; (3) ავტორის თანამდებობა და სტატუსი; (4) გამოხატვის წვდომა; და (5) გამოხატვის მიზნები. CERD-ის რეკომენდაცია ეფუძნება რაბათის სამოქმედო გეგმის 29-ე პუნქტს, რომელიც 2012 წელს იქნა მიღებული ექსპერტების მიერ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის მიერ ორგანიზებული კონფერენციების სერიის დასასრულს, და რომელიც იმავე მიზნებისთვის ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: (1) სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი; (2) ავტორის სტატუსი; (3) აუდიტორიის სამიზნე ჯგუფის წინააღმდეგ წახალისების განზრახვა; (4) გამოხატვის შინაარსი და ფორმა; (5) გავრცელების ფარგლები; და (6) ზიანის ალბათობა და გარდაუვალობა.

მე-5 პუნქტის შესახებ:

36. სიძულვილის ენასთან ბრძოლის კომპლექსური მიდგომა, რის მიზანსაც ემსახურება წინამდებარე რეკომენდაცია, საჭიროებს, რომ პოლიტიკამ, კანონმდებლობამ, სტრატეგიებმა და სამოქმედო გეგმებმა მოიცვას სხვადასხვა სამოქმედო სფეროები, რომელსაც ეხება რეკომენდაციის მე-2 და მე-4-მე-7 თავები. ასეთი ქმედებები მოიცავს საჯარო და კერძო აქტორების ფართო სპექტრს, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე რეკომენდაციის მე-3 თავი. სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსები უნდა იქნეს გამოყოფილი ნებისმიერი საჭიროდ მიჩნეული პოლიტიკის განსახორციელებლად.

მე-6 პუნქტის შესახებ:

37. სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ყოვლისმომცველი მიდგომის

შემუშავების და იმპლემენტაციისას, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ არაერთი გამჭოლი საკითხი.

38. წევრმა სახელმწიფოებმა, როგორც ეს განმარტებითი ბარათის § 47 et seq. არის განმარტებული, ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად უნდა განმარტონ, თუ როდის იკრძალება სიძულვილის ენა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით.

39. სიძულვილის ენასთან ბრძოლის და პრევენციის პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და იმპლემენტაციისას, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების უფლებათა დაცვის საჭიროება დააბალანსონ გამოსატყვის თავისუფლებასთან. ამავდროულად, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ასეთ პოლიტიკას სხვადასხვა შედეგები აქვს საჯარო და კერძო მედია აქტორების ფართო სპექტრისთვის, როგორც ტრადიციული, ისე ციფრული მედიის სფეროში. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ, რომ ციფრული გარემო, მათ შორის, ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიც არიან სარეკომენდაციო სისტემები და შინაარსის ავტომატური მოდერაციის ინსტრუმენტები, სწრაფი ტემპებით ვითარდება. ტერმინის „შინაარსის მოდერაციის“ განმარტება წარმოდგენილია CDMSI-ის მიერ, 2021 წლის 19-21 მაისს გამართულ მე-19 პლენარულ სესიაზე დამტკიცებული „შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის“ განმარტებით მემორანდუმში (შინაარსის მოდერაცია: შინაარსის მოდერაციის თვითრეგულირების და თანარეგულირების მექანიზმების ეფექტური სამართლებრივი და პროცედურული ჩარჩოების სუკეთესო მაგალითები. (შემდგომში, შინაარსის მოდერაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი)).

40. სიძულვილის ენის სამიზნეს არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ, ასევე, თემები და ჯგუფები წარმოადგენენ და ხშირად მის მოქმედებას ამწვავებს ფართო დისტრიბუცია ინტერნეტის და სხვა არხების მეშვეობით. დისტრიბუციასთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, ეფექტური და ყოვლისმომცველი საშუალებებით, საჭიროა საჯარო და კერძო აქტორთა ფართო სპექტრის მობილიზება დამათ შორის თანამშრომლობა (დეტალებისათვის, იხ. მე-3 და მე-7 თავები).

41. სიძულვილის ენის შედეგები კიდევ უფრო მწვავეა, თუ იგი ეფუძნება არა მხოლოდ ერთ, არამედ, რამდენიმე ნიშანს. ქალები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას განეკუთვნებიან, მაგალითად, შესაძლოა გახდნენ სიძულვილის ენის სამიზნე არა მხოლოდ სქესის ნიშნით, არამედ, ეთნიკური წარმომავლობის ნიშნითაც. ასეთი სიძულვილის ენის კუმულაციური ეფექტებისა და სხვადასხვა ნიშნებისა და მიკერძოებების ინტერაქციის შედეგად, შესაძლოა, სამიზნე სუბიექტი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდეს და საჭიროებდეს განსაკუთრებულ დაცვას და დახმარებას (დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 14 დასაქმებაში რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მემორანდუმი, § 1). სიძულვილის ენასთან ბრძოლის და პრევენციის პოლიტიკის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების დროს, წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა ძირითადმა აქტორებმა (იხ. თავი 3) ასაკის და გენდერის მიმართ მგრძნობიარე მიდგომა უნდა გამოიყენონ. ეს მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული პირისა და ჯგუფის ინტერესებსა და პრობლემებს, იკვლევდეს მათ სპეციფიკურობას და საჭიროებებს და მიზნად ისახავდეს უკეთესი პოლიტიკის და კონკრეტული ქმედებების შემუშავებას, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

42. სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩართონ არა მხოლოდ სხვადასხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, არამედ, ასევე, პირები, რომლებიც სიძულვილის ენის პოტენციურ ან რეალურ სამიზნეებს წარმოადგენენ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს პროცესის სანყისი ეტაპებიდანვე, რათა წამყვანი ადგილი დაიკავოს სამიზნე ჯგუფების გამოცდილებებმა და საჭიროებებმა.

2. სამართლებრივი ჩარჩო

მე-7 პუნქტის შესახებ:

43. სიძულვილის ენას, რეკომენდაციის მე-2 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, უარყოფითი გავლენა აქვს სამიზნე სუბიექტების ღირსებაზე და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი, კონვენციის მე-8 მუხლით არის დაცულ ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. როგორც განმარტებითი მემორანდუმის 24-25-ე პუნქტებშია მითითებული, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად დაზარალებული პირები, თუ იგი აღწევს სიმძიმის გარკვეულ დონეს ან ზღვარს, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საშუალებით (Delfi AS v. Estonia, ციტირებული ზემოთ, §§ 153 და 159; Beizaras and Levickas v. Lithuania, ციტირებული ზემოთ, § 125; Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, §§ 62 et seq.). გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სიმძიმის სიძულვილის ენა, გარკვეულ კონტექსტში, შესაძლოა, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს და ამრიგად, არღვევდეს კონვენციის მე-3 მუხლს (ამ მხრივ, იხ. Király and Dömötör v. Hungary, no. 10851/13, 2017 წლის 17 იანვარი, §§ 41-42). კონვენციის მე-10 მუხლი და პროპორციულობის პრინციპები მოითხოვს, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, წევრმა სახელმწიფოებმა ჩარევის ნაკლებად სერიოზული ფორმები დანერგონ, სიძულვილის ენის მსხვერპლთა დასაცავად, როგორიცაა ადმინისტრაციული ან სამოქალაქო კანონმდებლობის დებულებები.

44. არაერთმა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირება, რომლებიც სამართლებრივი დებულების შინაარსთან დაკავშირებით კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს, მაგალითად ICERD, ICCPR, გაეროს გენოციდის დანაშაულების დასჯისა და პრევენციის შესახებ კონვენცია (შემდგომში, გენოციდის კონვენცია), ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის ETS No. 189 დამატებითი ოქმი, რომელიც შეეხება კომპიუტერული სისტემების საშუალებით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციას (შემდგომში, ETS No. 189 APCCC) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (No. 111) შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (1958 წ.). მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გააგრძელონ ამ ინსტრუმენტების რატიფიცირება და იმპლემენტაცია, საჭიროებისამებრ, რათა საერთაშორისო დონეზე მზარდად ჰომოგენური სტანდარტები უზრუნველყოფილი იყოს და თავიდან იქნეს აცილებული ფრაგმენტაცია, განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართ, ასევე, მოქმედებს ისეთი სავალდებულო ინსტრუმენტები, როგორებიცაა ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადანყვეტილება 2008/913/JHA სისხლის სამართლის კანონით რასიზმის და ქსენოფობიის გარკვეულ გამოხატულებებთან და ფორმებთან ბრძოლის შესახებ და ევალბათ, ევროკავშირის თანაბარი მოპყრობის შესახებ დირექტივების 2000/43/EC, 2004/113/EC, 2006/54/EC და 2010/41/EU შინაარსის გადატანა უზრუნველყონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობებში.

45. როგორც 25-ე პუნქტში აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში (კონვენციის 10.2 მუხლი). სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე შემთხვევებში, დამნაშავეს ეზღუდება კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვის გამოყენების უფლება. კონვენციის მე-17 მუხლი ამ დაცვას აუქმებს, როდესაც ასეთი გამოხატვა შეუთავსებელია კონვენციით დადგენილ და უზრუნველყოფილ ღირებულებებთან. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ეს ფასეულობები მოიცავს ტოლერანტობას, სოციალურ მშვიდობას და დისკრიმინაციის დაუშვებლობას (Pavel Ivanov v. Russia, no. 35222/04, 2007 წლის 20 თებერვალი, § 1; და, Fouad Belkacem v. Belgium, no. 34367/14, 2017 წლის 27 ივნისი, § 33), გენდერულ თანასწორობას (Kasymakhunov et al. v. Russia, nos. 26261/05 and 26377/06, 2013 წლის 14 მარტი, § 110), და მართლმსაჯულებას და მშვიდობას (M'Bala M'Bala v. France, no. 25239/13, 2015 წლის 20 ოქტომბერი, § 33).

46. სამოქალაქო, ადმინისტრაციული და (უკიდურეს შემთხვევაში) სისხლის სამართლის

კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებული უნდა იქნეს სიძულვილის ენის მხოლოდ იმ შემთხვევების მიმართ, რომლებიც აღწევს გარკვეული დონის სიმძიმეს, რომელიც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, საჭიროა მე-8 მუხლის ასამოქმედებლად (ასევე, იხ. § 24 ზემოთ). შესაბამისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, საჭიროა იმის შეფასება, თუ რამდენად შეიძლება სოციალური ჯგუფის შესახებ ნეგატიური საჯარო განცხადება ჩაითვალოს, როგორც ამ ჯგუფის ინდივიდუალური წევრების „პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების“ შეზღუდვა, რაც იწვევს კონვენციის მე-8 მუხლის ამოქმედებას. ამ მხრივ, სასამართლო იყენებს რეკომენდაციის მე-4 პუნქტში წარმოდგენილ ფაქტორებს (Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, §§ 62-63; და, Behar et al. v. Bulgaria, no. 29335/13, 2021 წლის 16 თებერვალი, §§ 65 et seq.).

მე-8 პუნქტის შესახებ:

47. ნევრმა სახელმწიფოებმა, სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობაში, მკაფიო და ზუსტი ტერმინოლოგია და განმარტებები უნდა გამოიყენონ და თავი შეიკავონ ბუნდოვანი და ბლანკეტური ტერმინების გამოყენებისგან. მათ, ასევე, უნდა უზრუნველყონ სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლობის ინტერპრეტაციის და გამოყენების შესახებ. ამგვარად, გადაწყვეტილებები გახდება უფრო პროგნოზირებადი და გამჭვირვალე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი დებულებების ფორმულირება ინდივიდებს საშუალებას უნდა აძლევდეს, თავად დაარეგულირონ თავიანთი ქცევა და წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი ქმედებების შედეგები (Altuğ Taner Akçam v. Turkey, no. 27520/07, 2012 წლის 25 იანვარი, § 93 et seq.; და, Delfi AS v. Estonia, ციტირებული ზემოთ, § 121). აღნიშნული ეროვნულ სასამართლოებს, ასევე, ეხმარება თანმიმდევრული პრეცედენტული სამართლის განვითარებაში.

48. გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული, კონვენციის 10.2 მუხლთან სრულ შესაბამისობაში და გათვალისწინებული უნდა იქნეს რეკომენდაციის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფაქტორები სიძულვილის ენის სიმძიმის შეფასებასთან და სათანადო რეაგირებასთან დაკავშირებით. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა პასუხობდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას, იყოს ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ზომა, არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო და უნდა იყოს პროპორციული, რათა ინტერესის დაცვით გამოწვეულმა სარგებელმა გადაწონოს გამოხატვის თავისუფლებაზე მიყენებული ზიანი, მათ შორის, შეზღუდვით ავტორიზებულ სანქციებთან დაკავშირებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის სახელმძღვანელო, გამოხატვის თავისუფლება).

49. იმ კანონმდებლობის სამართლებრივი სიცხადე, რომელიც სიძულვილის ენაზე რეაგირებას, არა მხოლოდ (i) კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე), არამედ, ასევე, (ii) უზრუნველყოფდეს სიცხადეს, მათ შორის, მინიმალურ ზღვარს ქმედების კრიმინალიზაციისთვის, (iii) განსაზღვრავდეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ გამოხატვას, და (iv) უზრუნველყოფდეს ბოროტად გამოყენებისგან დაცვას (ამ მხრივ, იხ. Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, §§ 61 et seq.). სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები მიმართული იყოს იმ გამოხატვის წინააღმდეგ, რომელიც აღვივებს, ხელს უწყობს და ამართლებს ძალადობას, სიძულვილს ან შეუწყნარებლობას, ხოლო შესაბამისი დანაშაულების არსი მკაფიოდ და ზუსტად უნდა განისაზღვროს. ეს დებულებები ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი სიტუაცია, სადაც სახელმწიფოს დისკრეცია ასეთი დანაშაულების სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით ხდება ზედმეტად ფართო და შერჩეული აღსრულების შედეგად ექვემდებარება ბოროტად გამოყენებას (Savva Terentyev v. Russia, ციტირებული ზემოთ, § 85; და, Altuğ Taner Akçam v. Turkey, ციტირებული ზემოთ, §§ 93-94).

მე-9 პუნქტის შესახებ:

50. სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონმდებლობა და შინაარსის მოდერაციის ჩარჩოები (დეტალებისთვის იხ. რეკომენდაცია, §§ 16 et seq.) არ უნდა იყოს არასათანადოდ

ან ბოროტად გამოყენებული, მაგალითად, საჯარო დებატების ჩასახშობად, პოლიტიკური ოპონენტების, ჟურნალისტების, მედიის, უმცირესობის ჯგუფების ან იმ სხვა პირების გასაჩუქებლად, რომელთაც წვლილი შეაქვთ საჯარო დებატებში, კრიტიკული ხმების ჩათვლით (იხ. CM/Rec(2018)2 ინტერნეტ-შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, § 1.3. და 1.4.). ამ მხრივ, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მე-10 მუხლის საფუძველზე, საზოგადოებრივი ინტერესის და პოლიტიკური დებატების სფეროში გამოხატვის უფლებაზე შეზღუდვების დაწესების აკრძალვის მცირე შესაძლებლობა არსებობს, ხოლო დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა მთავრობის შემთხვევაში, ვიდრე კერძო პირების შემთხვევაში (*Dink v. Turkey*, no. 2668/07, 2010 წლის 14 სექტემბერი, § 133; და, *Perinçek v. Switzerland*, ციტირებული ზემოთ, § 197). სამართლებრივი და პრაქტიკული დაცვის მექანიზმები სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონმდებლობის მკაფიო ფორმულირების შემადგენელი ნაწილია (იხ. ზემოთ, განმარტებითი მემორანდუმი, § 47 et seq.). საჭიროა, არსებობდეს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესი, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციასთან ერთად, იმუნიტეტის წესები არჩეული მოხელეებისთვის, ადამიანის უფლებების შესაბამისი შინაარსის მოდერაციის ჩარჩო, სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეგულარული შეფასება, შინაარსის მოდერაციის სისტემები ინტერნეტ შუამავლებისთვის (იხ. რეკომენდაცია, § 26 და 34), და სიძულვილის ენის შემთხვევებისა და სიძულვილის ენის მარეგულირებელი კანონის ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევების ზედამხედველობა მედიის და აკადემიური წრეების მხრიდან.

მე-10 პუნქტის შესახებ:

51. ხშირად, სიძულვილის ენის პირდაპირი და ირიბი სამიზნე სუბიექტები შიშობენ და არ სურთ შეტყობინების გაკეთება და სამართალწარმოების თავად ინიცირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი დაწესებულებების არსებობის უზრუნველყოფა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ წარმომადგენლობას და მოახდენენ სარჩელის ინიცირებას მათი სახელით ან მათ მაგივრადაც კი.

52. ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიძულვილის ენა აღწევს სიმძიმის მინიმალურ დონეს და საჭიროებს რეაგირებას, მე-8 მუხლის შესაბამისად (იხ. § 33 ზემოთ), ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თანასწორობის ორგანოებს და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ჰქონდეთ სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებისათვის სამართლებრივი კონსულტირებისა და დახმარების უზრუნველყოფის მანდატი. ეს უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას დაწესებულებების, საქმის განმხილველი ორგანოების და სასამართლოების წინაშე, ეროვნული დებულებების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მოიცავდეს ასეთი დაწესებულებების, საქმის განმხილველი ორგანოებისა და სასამართლოების წინაშე მათი წარმომადგენლობის უფლებას, მათივე თანხმობით. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა შეეძლოთ ინდივიდუალური და სტრუქტურული დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის საქმეების წარდგენა ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტის ან თანასწორობის ორგანოს სახელით (იხ. ECRI GPR No. 2 ეროვნულ დონეზე რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის თანასწორობის ორგანოების შესახებ, § 14-15; იგივე საკითხს ეხება ევროკავშირის თანასწორი მოპყრობის დირექტივები 2000/43/EC, 2004/113/EC, 2006/54/EC და 2010/41/EU).

53. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების დახმარების მიზნით, დაცვის უფლების განხორციელებისთვის, მათ შორის, სასამართლოში, უნდა შეეძლოთ, იმოქმედონ, როგორც ამ სუბიექტების წარმომადგენლებმა, შესაბამისი დაწესებულებების, საქმის განმხილველი ორგანოებისა და სასამართლოების წინაშე, ეროვნული დებულებების შესაბამისად. ევროპული სასამართლოს თანახმად, კოლექტიური ორგანოებისათვის, მაგალითად, ასოციაციებისათვის მიმართვა, თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი და ზოგჯერ, ერთადერთი საშუალებაა, რომელზეც ხელი მიუწვდებათ ფიზიკურ პირებს, თავიანთი ინტერესების ეფექტურად დასაცავად. ამასთან, ასოციაციების უფლება, აღძრან საქმე თავიანთი წევრების ინტერესების დასაცავად, უმრავლეს შემთხვევაში აღიარებულია ევროპულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობით (იხ. *Beizaras and Levickas v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 81). მსგავსი უფლებები მათ ასევე

ენიჭებათ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში (იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 7 რასიზმთან და რასისტულ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, § 25; დამატებითი მაგალითები წარმოდგენილია ევროკავშირის თანასწორი მოპყრობის დირექტივებში 2000/43/EC, 2004/113/EC, 2006/54/EC და, 2010/41/EU).

სისხლის სამართალი

მე-11 პუნქტის შესახებ:

54. წევრისახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებში, დაიცვან სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები, საჭიროა სიძულვილის ენის გამოყენების ყველაზე მძიმე შემთხვევების კრიმინალიზება. აღნიშნული არა მხოლოდ სისხლის სამართლის დამსჯელ ფუნქციას ემსახურება, არამედ, ასევე, უგზავნის მკაფიო სიგნალს პოტენციურ დამნაშავეებს და მთელ საზოგადოებას (სისხლის სამართლის ზოგადი პრევენციული ფუნქცია), რომ ასეთი გამოხატვა სისხლის სამართლის დანაშაულია. ძალადობის წახალისება და ძალადობის მუქარა და სხვა ტიპის შინაარსი მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ეროვნულ კანონმდებლობაში, ეროვნულ დონეზე სიძულვილის ენის გავრცელების, რელევანტურობისა და სიმძიმის შესაბამისად.

55. თავიანთ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იმის განსაზღვრისას, თუ სიძულვილის ენის რომელი გამოხატულება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი სავალდებულო და არასავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებით, კერძოდ: ICERD, გენოციდის კონვენცია, კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, EUFD 2008/913/JHA, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 7 რასობრივ დისკრიმინაციასთან და რასიზმთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, ამ დოკუმენტების განმარტებით მემორანდუმებთან ერთად.

56. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში, მკაცრი სისხლის სამართლის სანქციების დაწესება ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსებისთვისაც კი, შესაძლოა გამართლებული იყოს (Budinova and Chaprazov v. Bulgaria, ციტირებული ზემოთ, § 90; პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ, ასევე, იხ. რეკომენდაციის § 29). პროპორციულობის პრინციპის თანახმად, სისხლის სამართალი სიძულვილის გამოხატვის ყველაზე მძიმე შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული. მართლაც, სასამართლოს თანახმად, სისხლის სამართლის სანქციები, მათ შორის, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც სიძულვილის ან სხვების მიმართ ძალადობის წახალისების გამოხატვის ყველაზე მძიმე შემთხვევებზე არიან პასუხისმგებლები, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ultima ratio ზომის სახით. ამავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ქმედებები, რომლებიც მძიმე დანაშაულებს წარმოადგენს, მიმართულია პირის ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, მხოლოდ ეფექტური სისხლის სამართლის მექანიზმები უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას და ექნება შემაკავებელი ეფექტი. მსგავსად აღნიშნულისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის ზომები საჭიროა დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით მოტივირებული პირდაპირი ვერბალური თავდასხმებისა და ფიზიკური მუქარების შემთხვევებში (Beizaras and Levickas v. Lithuania, ციტირებული ზემოთ, § 111). სიძულვილის ენის ნაკლებად მძიმე გამოხატვაზე რეაგირება უნდა მოხდეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად. როდესაც საქმე არ აღწევს იმ მინიმალურ ზღვარს, რომელიც აუცილებელია კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად რეაგირების განხორციელებისთვის, საჭიროა არასამართლებრივი ზომების მიღება, როგორიცაა, მაგალითად, ცნობიერების ამაღლება და განათლება.

57. ზემოაღნიშნული სტანდარტების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს რასისტულ სიძულვილის ენაზე. თუმცა, სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტები წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს ისეთი გამოხატვის კრიმინალიზებას, რომელიც ახდენს სხვა ნიშნებით მოტივირებული სიძულვილის გავრცელებას, როგორიცაა, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით. მაგალითად, სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის

შესახებ CM/Rec(2019)1 რეკომენდაციის I.A.1. პუნქტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, განიხილონ საკანონმდებლო რეფორმების შესაძლებლობა, რათა განიმარტოს სექსისტური სიძულვილის ენა და მოხდეს მისი კრიმინალიზება, ხოლო ECRI-ის ქვეყნის მონიტორინგის ანგარიშების და ჯოკიაკარტის პრინციპების (პრინციპი 5B) თანახმად, რეკომენდებულია სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების კრიმინალიზება. მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მოიცვან ეს ნიშნები თავიანთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და განიხილონ ნიშნების ჩამონათვალის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობა.

58. წევრმა სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად სრულფასოვნად აკმაყოფილებენ ისინი სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტების რატიფიკაციის შედეგად აღებულ ვალდებულებებს, არამედ, მნიშვნელოვანია, რომ მოახდინონ დამატებითი ინსტრუმენტების რატიფიცირება. მათ, ასევე, უნდა მოახდინონ შესაბამისი ზოგადი და ქვეყნისადმი სპეციფიური რეკომენდაციების იმპლემენტაცია, რომლებიც გამოსცეს ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოებმა და სხვა ინსტანციებმა, გაერომ და სხვა მთავრობათშორისმა ორგანიზაციებმა.

59. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს რატიფიცირებული აქვთ ან ეკისრებათ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ინსტრუმენტის განხორციელების ვალდებულება, რომელიც შეიცავს გენოციდის, სიძულვილის და ძალადობის წახალისების და, ზოგ შემთხვევაში, დისკრიმინაციის წახალისების კრიმინალიზების ვალდებულებებს: გენოციდის კონვენციის IIIc მუხლი, ICERD-ის 4a მუხლი, APCCC-ის მუხლები 3 და 1, და EUFD 2008/913/JHA-ის მუხლი 1.1a და d. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების ან ომის დანაშაულების წახალისება, არსებითად, უკვე მოცულია ძალადობის წახალისებაში (რეკომენდაცია, cf. § 11b), თუმცა, მნიშვნელოვანია რეკომენდაციის 11a პუნქტში ამ დანაშაულებებზე ცალსახად მითითება, გენოციდის ჩადენის წახალისებასთან ერთად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის 25.3.b მუხლის გათვალისწინებით (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ პირი „უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს“ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას). ამ კონტექსტში, აღსანიშნავია რასობრივ დისკრიმინაციასთან და რასიზმთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციაში წარმოდგენილი არასავალდებულო სტანდარტი და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჰოლოკოსტის უარყოფის შესახებ (იხ. მაგალითად, *Garaudy v. France*, no. 65831/01, 2003 წლის 24 ივნისი; *Witzsch v. Germany*, no. 7485/03, 2005 წლის 13 დეკემბერი; და, *Nachtmann v. Austria*, no. 36773/97, 1998 წლის 9 სექტემბერი).

60. APCCC-ის მე-4 და მე-5 მუხლები და რასობრივ დისკრიმინაციასთან და რასიზმთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაცია შეიცავს დებულებებს რასისტულად და ქსენოფობიურად მოტივირებული მუქარების და შეურაცხყოფების კრიმინალიზაციის შესახებ. APCCC-ის მე-6 მუხლის თანახმად, გენოციდის ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების უარყოფა, მნიშვნელობის დაკნინება, მიმღებლობა ან გამართლება, საერთაშორისო სამართლის განმარტების შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული, APCCC-ის მე-6 მუხლის, EUFD 2008/913/JHA-ს 1c და d მუხლის და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციის 18e პუნქტის შესაბამისად. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციის თანახმად, რეკომენდებულია ასევე რასისტული მიზნით ომის დანაშაულების უარყოფის კრიმინალიზაცია. რასობრივი უპირატესობის საფუძველზე სიძულვილის შემცველი მასალის და იდეების გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული APCCC-ის მე-3 მუხლის, 1b EUFD 2008/913/JHA-ის 1b მუხლის, ICERD-ის 4a მუხლის და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციის §§ 18d და f პუნქტების საფუძველზე.

61. APCCC-ის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების თანახმად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაიტოვონ უფლება, არ გამოიყენონ ზომები რასისტული და ქსენოფობიური მასალის, რასისტულად და ქსენოფობიურად მოტივირებული შეურაცხყოფების და გენოციდის და კაცობრიობის წინაშე დანაშაულების უარყოფის, მნიშვნელობის დაკნინების, მიმღებლობის ან გამართლების შემთხვევებზე რეაგირების მიზნით. არაერთმა წევრმა სახელმწიფომ, მართლაც, გააკეთა დათქმა ამ მხრივ, ინსტრუმენტის რატიფიცირების დროს. აღნიშნული ასახავს ზოგად ტენდენციას, მოხდეს შეურაცხყოფების დეკრიმინალიზაცია და ისინი

აიკრძალოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ცილისწამების კრიმინალიზება (რასისტული ცილისწამების კრიმინალიზებასთან დაკავშირებით, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 7 რასობრივ დისკრიმინაციასთან და რასიზმთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ).

62. თუ წევრი სახელმწიფო სიძულვილის ენის აღნიშნულ გამოხატულებებს არ მიიჩნევს ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულებად, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიჩნეული იქნეს ნაკლებად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებად, როგორცაა გადაცდომა ან კერძო სამართლებრივი დევნის ობიექტად განისაზღვროს. თუ წევრი სახელმწიფო სიძულვილის ენის ასეთ გამოხატულებებს სისხლის სამართლის დანაშაულად საერთოდ არ მიიჩნევს ან თვლის, რომ გარკვეული გამოხატულებები არ აღწევს სიმძიმის საკმარის დონეს, რათა მათზე რეაგირება მოხდეს სისხლის სამართლის დებულებებზე დაყრდნობით, ისინი უნდა აიკრძალოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საფუძველზე.

63. ICERD-ის 4.b მუხლი კიდევ ერთ მხოტავ ვალდებულებას მოიცავს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიძულვილის ენასთან ბრძოლას. კერძოდ, ეს ვალდებულება გულისხმობს იმ ორგანიზაციების არაღელვარად გამოცხადებას ან აკრძალვას, რომლებიც ხელს უწყობენ ან ახალისებენ რასობრივ დისკრიმინაციას. ამასთან, ასეთი ორგანიზაციების მონაწილეობა, შესაძლოა სისხლის სამართლის დანაშაულად იქნეს აღიარებული (ასევე, იხ. მსგავსი რეკომენდაცია ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციაში, § 18g). ამ მხრივ, აღსანიშნავია კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად ჩამოყალიბებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სადაც აღიარებულია, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს მიიღოს პრევენციული ზომები დემოკრატიის დასაცავად და ასოციაციების ან მოძრაობების წინააღმდეგ. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია, თუ გარდაუვალი საფრთხე ემუქრება სხვების უფლებებს და ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლის საფუძველზეც არსებობს და ფუნქციონირებს დემოკრატიული საზოგადოება. ერთ-ერთი ასეთი ღირებულებაა საზოგადოების წევრთა თანაარსებობა, რასობრივი სეგრეგაციისგან თავისუფალ გარემოში, რის გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია (იხ. *Vona v. Hungary*, no. 35943/10, 2013 წლის 9 ივლისი, § 57). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ასოციაციები, რომლებიც მონაწილეობენ კონვენციით გათვალისწინებული ღირებულებების წინააღმდეგ აქტივობებში ვერ ისარგებლებენ მე-11 მუხლის დაცვით, ვინაიდან მე-17 მუხლი კრძალავს კონვენციის გამოყენებას კონვენციით გარანტირებული უფლებების განადგურების ან გადაჭარბებით შეზღუდვის მიზნით (იხ. *W.P. and Others v. Poland*, no. 42264/98, 2004 წლის 2 სექტემბერი, შეეხება ანტისემიტური მინიშნებების შემცველი მემორანდუმის მქონე ასოციაციის ფორმირების აკრძალვას).

მე-12 პუნქტის შესახებ:

64. წევრი სახელმწიფოების კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე, მოიცავს პროცედურულ მოთხოვნებს, როგორცაა წევრი სახელმწიფოს ვალდებულება, განახორციელოს ფიზიკურ და ონლაინ კრიმინალური სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების ეფექტური გამოძიება (კერძოდ, იხ. საქმეები, სადაც ზიანი მიადგა სამიზნე პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობას, *Király and Dömötör v. Hungary*, ციტირებული ზემოთ, §§ 61 et seq.; და *Beizaras and Levickas v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 129).

65. იმისათვის, რომ შეძლონ დასჯადი სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების ეფექტურად გამოძიების პოზიტიური ვალდებულების შესრულება, წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სიძულვილის ენას, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ადამიანების ან ჯგუფების წინააღმდეგ. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მათთან აქტიური კომუნიკაციით და ეფექტური ზომების მიღებით, სამართალდამცავი ორგანოებისათვის კრიმინალური სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინების ნახალისების და ხელშეწყობის მიზნით (დასჯადი სიძულვილის ენის შეუტყობინებლობის საკითხზე, იხ. რეკომენდაციის 57-ე პუნქტი; უმცირესობების და სხვა ჯგუფების ნდობის ამაღლების საკითხზე, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 11 რეკომენდაცია, რომელიც შეეხება პოლიციელთა საქმიანობაში რასიზმთან და რასობრივ

დისკრიმინაციასთან ბრძოლას, § 11 and seq.). სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს უნდა განემარტოთ მათი უფლებები, განსაკუთრებით, სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება.

66. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა არის *ultimum remedium*, წევრმა სახელმწიფოებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ (ონლაინ სივრცეში) სიძულვილის ენის აღმოფხვრაზე, რათა მოხდეს უწყვეტი ვიქტიმიზაციის პრევენცია. თუ შემთხვევა ექვემდებარება სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოებას, პოლიციის, პროკურატურის და სხვა ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიებები უნდა იყოს ეფექტური, რადგან მათი საშუალებით შესაძლებელია ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრა და იმის დადგენა, რომ სადავო გამოხატვა აკმაყოფილებს კრიმინალური სიძულვილის ენის სამართლებრივ განმარტებას. ამასთან, გამოძიება უნდა განაპირობებდეს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და საბოლოო ჯამში - დასჯას, თუ ეს მიზანშეწონილია. ხელისუფლების ორგანოებმა პირველივე ინტერვენციის ფარგლებში უნდა გადადგან ნებისმიერი გონივრული ნაბიჯი, რათა შეაგროვონ და უზრუნველყონ ყველა მტკიცებულება სადავო გამოხატვასთან დაკავშირებით. გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი ელემენტების ყოველმხრივ, ობიექტურ, ასაკისა და გენდერის მიმართ მგრძნობიარე და მიუკერძოებელ ანალიზს, მათ შორის, მოტივირებული იყო თუ არა სადავო ქმედება ერთი ან რამდენიმე აკრძალული ნიშნით და წარმოადგენდა თუ არა იგი სიძულვილის, დისკრიმინაციის ან ძალადობის მუქარას ან წახალისებას (ამ მხრივ, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 11 პოლიციელთა საქმიანობაში რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ, § 11 et seq. და მისი განმარტებითი მემორანდუმი, და ჰარტფორდის სახელმძღვანელო წესები საერთაშორისო სისხლის სამართალში სიძულვილის ენის დანაშაულების შესახებ, § 255).

67. პოლიციამ და პროკურატურამ, დამატებით, ფოკუსირება უნდა მოახდინოს ონლაინ სივრცეში კრიმინალური სიძულვილის ენის გამოყენებაზე და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ეფექტურ იმპლემენტაციას, საჭიროების შესაბამისად (იხ. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის რეგულირების შესახებ განმარტებითი მემორანდუმი, § 79 et seq.). ამ მხრივ, წევრი სახელმწიფოების მზარდმა რაოდენობამ შექმნა პოლიციის და პროკურატურის სპეციალური განყოფილებები, რომელთა სპეციალიზაციასაც წარმოადგენს ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის სამართლებრივი დევნა (დამატებითი დეტალებისთვის, იხ. ECRI-ის ქვეყნის მონიტორინგის ანგარიშებში სიძულვილის ენის შესახებ მონაკვეთები).

68. ამ კონტექსტში, წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა დაარეგულირონ, თუ რომელ პირობებში არიან ინტერნეტ შუამავლები ვალდებული, გადასცენ IP მისამართები და სხვა მონაცემები სამართალდამცავ უწყებებს, სიძულვილის ენის ავტორის იდენტიფიცირების მიზნით (დამატებითი დეტალებისთვის, იხ. § 101 et seq. ქვემოთ).

69. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად, სიძულვილის ენის ნაკლებად მძიმე შემთხვევებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი წესების თანახმად, პროკურატურას ენიჭება გარკვეული მიხედულების ფარგლები, რათა გადაწყვიტოს, უნდა განახორციელოს თუ არა სამართლებრივი დევნა ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით. თუ პროკურატურა იღებს გადაწყვეტილებას გამოძიების არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ, სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით ან, თუ ეს შესაძლებელია, მიმართონ კერძო წარმოებას.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი

მე-13 მუხლის შესახებ:

70. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი გზაა სიძულვილის სამიზნე სუბიექტების უფლებების დასაცავად, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით (სამოქალაქო საქმეების მაგალითებისთვის, იხ. *Delfi AS v. Estonia*, ციტირებული ზემოთ, § 21 et seq.; და, *Aksu v. Turkey*,

nos. 4149/04 და 41029/04, 2012 წლის 15 მარტი, [დიდი პალატა], §§ 19 et seq.; ადმინისტრაციული საქმეების მაგალითებისთვის, იხ. *Balsytė-Lideikienė v. Lithuania*, no. 72596/01, 2008 წლის 4 ნოემბერი, §§ 3 et seq.; და *Mouvement Raëlien v. Switzerland*, no. 16354/06, 2012 წლის 13 ივლისი). ზოგ შემთხვევაში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება, შესაძლოა, განხორციელდეს სისხლის სამართალწარმოებასთან ერთად (პირმა, რომელიც სიძულვილის ენის სამიზნეა, შესაძლოა, შეტყობინება წარადგინოს სამართალდამცავ ორგანოში და, ამავდროულად, მოითხოვოს კომპენსაცია, სამოქალაქო სამართლის და, ზოგჯერ, ადმინისტრაციული სამართლის საფუძველზე). როდესაც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევავერაღწევს სიმძიმისუმაღლესდონეს, რეკომენდაციისმე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წარმოების ინიცირება, შესაძლოა იყოს სიძულვილის ენაზე რეაგირების ერთადერთი საშუალება. აღნიშნული სამართლებრივი გზები განსხვავებულ შედეგებს განაპირობებს: სისხლის სამართალწარმოება, ზოგადად, განაპირობებს დასჯას, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოება ხშირად განაპირობებს კომპენსაციის გადახდას ან სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვას. სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოება, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ნაკლებად შემზღუდავი საშუალებაა. ამავდროულად, აღნიშნული სამართლებრივი საშუალებების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთთან და საჭირო მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოქმედებს განსხვავებული წესები. ხშირად, უფრო ადვილია სიძულვილის ენის ავტორის პასუხისმგებლობაში მიცემა სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით.

71. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფოსთვის, სისხლის სამართალი ერთადერთი საფუძველია სისხლის სამართლებრივი სიძულვილის ენის დასარეგულირებლად, ხოლო არა-სისხლის სამართლებრივ სიძულვილის ენას სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ამ შემთხვევებში, ასეთი სისხლის სამართალი, შესაძლოა ითვალისწინებდეს ზომებს, სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სახით, რომელთაც სხვა სახელმწიფოები, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის ზომებად მიიჩნევენ - როგორცაა, მაგალითად, ჯარიმები და კომპენსაცია, სისხლის სამართლებრივი სანქციის ფარგლებში (მაგ., საპატიმრო სასჯელის სანაცვლოდ ან ასეთ სასჯელთან ერთად).

72. სამოქალაქო სამართალში, პირის ღირსების, ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის და რეპუტაციის შეურაცხყოფა (კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ამ ელემენტების დაცვასთან დაკავშირებით, იხ. *Király and Dömötör v. Hungary*, ციტირებული ზემოთ, § 41; და, *Beizaras and Levickas v. Lithuania*, ციტირებული ზემოთ, § 117), როგორც წესი, იწვევს კომპენსაციის და სასამართლოს მიერ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების ვალდებულების დაკისრების მოთხოვნას, ხშირად ზოგადი დელიქტური სამართლის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული მოიცავს დარღვევების ფართო სპექტრს, მათ შორის, შეურაცხყოფებს, წერილობით და სიტყვიერ ცილისწამებას, სხვადასხვა აკრძალულ ნიშნებთან დაკავშირებით. ამავდროულად, სიძულვილის ენის ეს ფორმები სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს.

73. სიძულვილის ენის შესახებ სისხლის სამართლის დებულებებისგან განსხვავებით, არ შემუშავებულა რაიმე დებულებები დელიქტურ სამართალში ან წესები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც სიძულვილის ენის გამოყენების კანონით აკრძალული შემთხვევების უფრო ზუსტ აღწერას უზრუნველყოფს. სიძულვილის ენის გამოყენების გარკვეული შემთხვევები, შესაძლოა, აიკრძალოს და განიმარტოს, როგორც ადმინისტრაციული დანაშაული მედიის შესახებ ან ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონებში. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რომელი კანონის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაზე რეაგირება - სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული, რეკომენდაციის მე-4 პუნქტში წარმოდგენილი კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული.

74. სიძულვილის ენა, შესაძლოა, ასევე, ხვდებოდეს დისკრიმინაციის განმარტების ქვეშ, ევროპული და ეროვნული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის თანახმად და გულისხმობდეს ავტორის მიერ სამიზნე პირის განსხვავებულ მოპყრობას, სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე (ამ განმარტებასთან დაკავშირებით, იხილეთ, მაგალითად, *D.H. et al. v. the Czech Republic*, no. 57325/00, 2007 წლის 13 ნოემბერი, [Grand Chamber], § 175; და, *Beizaras and Levickas v. Lithuania*,

ციტირებული ზემოთ, § 114), ან წარმოადგენდეს შევიწროებას, ანტი დისკრიმინაციულ კანონში მოცემული განმარტების თანახმად, ევროპის საბჭოს 2000/43/EC დირექტივის 2.3 მუხლის თანახმად, შევიწროება, შესაძლოა, მიჩნეული იქნეს დისკრიმინაციად, დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში, როდესაც რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებულ არასასურველ ქცევას აქვს ადგილი ადამიანის ღირსების შემლახველი და დამაპირობებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნის მიზნით ან იწვევს ასეთ შედეგს.

75. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სიძულვილის ენის აკრძალვის დარღვევისთვის გათვალისწინებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული დაცვის საშუალებები მოიცავს კომპენსაციის გადახდას, ნაშლას, დაბლოკვას, ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების აღიარების გამოქვეყნების დავალებას იმის შესახებ, რომ განცხადება წარმოადგენდა სიძულვილის ენას, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალში [დაცვის საშუალებები], ასევე, მოიცავს ჯარიმებს და ლიცენზიის გაუქმებას.

მე-14 პუნქტის შესახებ:

76. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ანტი დისკრიმინაციული კანონის გავრცელება რეკომენდაციის მე-11 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული სიძულვილის ენის ყველა გამოხატულებაზე, რათა შეიქმნას სისტემა, სადაც სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს შეუძლიათ ისარგებლონ დაცვის საშუალებით და კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში საჩივრის წარდგენის გარეშე მიიღონ კომპენსაცია. ამ განმარტების საშუალებით, სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები, ასევე შეძლებენ, მოიძიონ დახმარება და მხარდაჭერა თანასწორობის ორგანოებისგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სიძულვილის ენაზე რეაგირების მკაფიო მანდატი და უფლება, წარადგინონ სარჩელი სამიზნე პირის სახელით, ან საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სახელით. ამ მხრივ, დისკრიმინაციის საქმეებში უფასო იურიდიული დახმარების არსებობა მნიშვნელოვანი ელემენტია სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მიერ თავიანთი უფლებების აღსრულების უზრუნველყოფის კუთხით (§§ 4a და 14 – 16, ECRI GPR No. 2 ეროვნულ დონეზე რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის თანასწორობის ორგანოები). თუ ანტი დისკრიმინაციული კანონმდებლობა ასევე ადგენს ადმინისტრაციულ დანაშაულებს, უნდა გამოირიცხოს ორმაგი სასჯელის შემთხვევები.

მე-15 პუნქტის შესახებ:

77. საჯარო ორგანოები და დაწესებულებები, როგორებიც არიან პოლიცია, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის, სკოლები და საზოგადოებრივი მედია საშუალებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წევრი სახელმწიფოების მიერ სიძულვილის ენასთან და მის გავრცელებასთან ბრძოლის და პრევენციის პოზიტიური ვალდებულების შესრულებაში. ICERD-ის 4c მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებმა სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო დაწესებულებებს, იქნება ეს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე, რასობრივი დისკრიმინაციის ხელშეწყობისა და წახალისების უფლება არ უნდა მისცენ. ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებს ან დაწესებულებებს და მათ წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სახელმწიფო პოლიტიკაზე და საზოგადოებრივ დისკურსზე და ეკისრებათ ადამიანის უფლებების პატივისცემის კონკრეტული მოვალეობა, რეკომენდაცია მათ უწესებს მოთხოვნას, უზრუნველყონ მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენების თავიდან აცილება.

78. ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა კანონმდებლობაში უნდა შემოიღონ სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება, ხელი შეუწყონ ტოლერანტული და ინკლუზიური ენის გამოყენებას. მაგალითად, ამ პრინციპს გამოხატავს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია ETS No. 157, მე-6 მუხლი, რომლის თანახმადაც მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ინკლუზიურობის განწყობასა და კულტურათაშორის დიალოგს და ეფექტური ზომები მიიღონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს შორის ორმხრივი პატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, მიუხედავად ამ ადამიანების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური იდენტობისა, განსაკუთრებით, განათლების, კულტურის და მედიის სფეროებში. მსგავსად აღნიშნულისა, ზოგადი პოლიტიკის No. 7 რეკომენდაციაში,

§§ 2 და 8, ECRI გასცემს რეკომენდაციას, რომ წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციები ითვალისწინებდნენ სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თანასწორობას, ხოლო კანონი სახელმწიფო ორგანოებს შესაბამის მოვალეობებს უნდა აკისრებდეს. ეს მოვალეობები და სიძულვილის ენის დაგმობის წახალისება, შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობაში ან ქვეყნის კოდექსებში, რომლებიც არეგულირებს საჯარო მოსამსახურეების ან სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლების ქცევას.

კანონმდებლობა ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ

79. ბოლო წლებში, სიძულვილის ენა მასიურად, სწრაფად და ფართოდ გავრცელდა ინტერნეტით. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად გამოწვეულიზიანის შემცირების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური კანონმდებლობა, რომელიც მოახდენს სიძულვილის ენის გამოქვეყნების პრევენციას და გამოქვეყნებული სიძულვილის ენის წაშლას. იმის გათვალისწინებით, რომ ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენა დიდი მოცულობით არსებობს, ხოლო მისი ფართო გავრცელების თავიდან აცილება სწრაფ მოქმედებას საჭიროებს, ამ დავალების შესრულებას წევრი სახელმწიფოები მართოვერ შეძლებენ, არამედ, მათ უნდა უზრუნველყონ ინტერნეტ შუამავლების ჩართულობაც.

80. ტერმინი „ინტერნეტ შუამავალი“ განისაზღვრება, როგორც ფართო, მრავალფეროვანი და სწრაფად განვითარებადი მოთამაშეების სპექტრი, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერაქციებს ინტერნეტ-სივრცეში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, და საამისოდ სთავაზობენ და ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს და სერვისებს. ზოგიერთი მომხმარებლებს ინტერნეტთან აკავშირებს, შესაძლებელს ხდის ინფორმაციის და მონაცემების დამუშავებას ან ვებზე დაფუძნებული სერვისების ჰოსტინგს, მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის ჩათვლით. სხვები ახდენენ ინფორმაციის აგრეგირებას და მომხმარებელს სთავაზობენ საძიებო მომსახურებას; ისინი უზრუნველყოფენ წვდომას ჰოსტთან და ინდექს-კონტენტთან და სერვისებთან, რომელიც შექმნილია და/ან ოპერირებულია მესამე მხარეების მიერ. ზოგიერთი შესაძლებელს ხდის საქონლის და მომსახურების გაყიდვას, აუდიო-ვიზუალური მომსახურების ჩათვლით, და სხვა კომერციული ტრანზაქციების განხორციელებას, გადახდების ჩათვლით. შუამავლის მომსახურებას, შესაძლოა, ასევე უზრუნველყოფდეს ტრადიციული მედია, მაგალითად, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ სივრცეს მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტისთვის, თავიანთ პლატფორმაზე - როგორცაა, კომენტარები (§§ 4 – 5, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ-შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ).

მე-16 პუნქტის შესახებ:

81. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ციფრულ გარემოში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის მოვალეობა (§ 1.1.3., რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ). შესაბამისად, მათ უნდა შეიმუშაონ მკაფიო ჩარჩო ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციისთვის, ზემოაღნიშნული CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის და „შინაარსის მოდერაციის სახელმძღვანელო დოკუმენტის“ (სახელმძღვანელო დოკუმენტი შინაარსის მოდერაციის თვითრეგულირების და თანარეგულირების მექანიზმების ეფექტური სამართლებრივი და პროცედურული ჩარჩოების საუკეთესო მაგალითები შესახებ) შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების მმართველი კომიტეტის (CDMSI) მიერ. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოები ძირითადად უნდა კონცენტრირდებოდეს ონლაინ სივრცეში ისეთი სიძულვილის ენის გამოყენებაზე, რომელიც აკრძალულია სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით (რეკომენდაცია, § 3.1), თუმცა, ამავდროულად, ისინი უნდა ახდენდნენ ინტერნეტ შუამავლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოტივირებას, რათა მათ რეაგირება მოახდინონ ონლაინ გამოხატვის შეურაცხმყოფელ ან საზიანო სახეობებზე, რომელიც არ აღწევს სიმძიმის ისეთ ზღვარს, რაც საკმარისი იქნებოდა კონვენციის შესაბამისი ლეგიტიმური შეზღუდვების დასაწესებლად, (იხ. რეკომენდაცია, § 3.2).

82. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სამართლებრივი ჩარჩოების ერთმანეთთან

ჰარმონიზება და იმუშავონ საერთაშორისო დონეზე საერთო სტანდარტების დადგენაზე (იხ. რეკომენდაცია, §5 62-63), ვინაიდან ონლაინ სივრცეში გამოყენებული სიძულვილის ენა ვრცელდება ეროვნული საზღვრების მიღმა და საჭიროა ჰარმონიზება სიძულვილის ენასთან ეფექტურად ბრძოლისა და პრევენციის მიზნით. წაშლის პროცედურები და პირობები პატივის უნდა სცემდეს გამოხატვის თავისუფლებას, იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და განჭვრეტადი. იგივე უნდა ვრცელდებოდეს პასუხისმგებლობის წესებზე, რომლებიც ინტერნეტ შუამავლებს ეკისრებათ.

მე-17 პუნქტის შესახებ:

83. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრონ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სახელმწიფო და კერძო აქტორებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების, როლი და პასუხისმგებლობა. სახელმწიფო აქტორები მოიცავს: პოლიციას და პროკურატურას, მარეგულირებელ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელ ეროვნულ ინსტიტუტებს და თანასწორობის ორგანოებს. კერძო აქტორები მოიცავს: მედიას, შესაბამის ინტერნეტ შუამავლებს, თვითრეგულირების ორგანოებს და სამოქალაქო ორგანიზაციებს, მათ შორის, ე.წ. სანდო 'ფლაგერები' (ფიზიკური პირი ან დაწესებულება, რომელიც არალეგალურ ონლაინ კონტენტთან ბრძოლის მიზნებისთვის ჰოსტინგის სერვისის პროვაიდერის მიერ მიჩნეულია განსაკუთრებული ექსპერტული გამოცდილების და პასუხისმგებლობის მქონედ). შესაძლო განმარტება წარმოდგენილია ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციაში C(2018) 1177 არალეგალურ ონლაინ კონტენტთან ბრძოლის ეფექტური ზომების შესახებ, § 4g).

84. ამ თემაზე მნიშვნელოვან მითითებებს შეიცავს არა მხოლოდ რეკომენდაცია CM/Rec (2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, არამედ, ასევე CDMSI-ის მიერ მიღებული „სახელმძღვანელო დოკუმენტი შინაარსის მოდერაციის შესახებ“.

85. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა განმარტონ, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო და არა-სახელმწიფო აქტორებმა, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებასთან რეაგირების კუთხით. ასეთი თანამშრომლობის ორგანიზების ერთ-ერთი გზაა ე.წ. მარეგულირებელი სისტემების ან ორგანოების მოწყობა, სადაც საჯარო და კერძო აქტორები წვლილს შეიტანენ ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე რეაგირებაში (დეტალებისთვის, იხ. Models of Governance of Online Hate Speech, by Alexander Brown, 2020).

მე-18 პუნქტის შესახებ:

86. ვინაიდან ინფრასტრუქტურა და პლატფორმები, რომელთაც უზრუნველყოფენ ინტერნეტ შუამავლები, გამოიყენება დიდი მოცულობის სიძულვილის ენის სწრაფად გასავრცელებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ინტერნეტ შუამავლების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემა და ადამიანის უფლებებზე სათანადო მზრუნველობის პრინციპების გამოყენება. აღნიშნულს აღწერს რეკომენდაცია CM Rec (2016)3 ადამიანის უფლებების და ბიზნესის შესახებ (§§ 20 et seq.) და „ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები“ (§ 17), რომლებიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ, 2011 წელს. როგორც ეს წინამდებარე განმარტებითი ბარათის 136-ე პუნქტშია აღწერილი, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლის ზომები არა მხოლოდ ავტომატური სისტემების განვითარების საშუალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, არამედ, ინტერნეტ შუამავლების ინდივიდუალურ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ასეთ სისტემებზე ზედამხედველობის განხორციელების პასუხისმგებლობა.

მე-19 პუნქტის შესახებ:

87. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეტყობინებების წარდგენის მექანიზმები ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების ისეთი შემთხვევების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევს სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობას ან შუამავლის მომსახურების პირობებს.

მე-20 პუნქტის შესახებ:

88. ნაშლის პროცედურები და პირობები უნდა იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და განჭვრეტადი, ისევე, როგორც ინტერნეტ შუამავლებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის წესები. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საჯარო და კერძო აქტორების მიერ ამ კონტექსტში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს, როგორც მინიმუმ, რეზიუმეს ფორმით და ანონიმურად. ასევე, საჯარო უნდა იყოს ინფორმაცია, თუ თავდაპირველად ვინ გამოავლინა ეს კონტენტი: კერძო მხარეებმა, საჯარო ორგანოებმა, ავტომატიზებულმა ინსტრუმენტებმა თუ სანდო 'ფლაგერებმა'.

89. შესაძლებელი უნდა იყოს სავარაუდოდ სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის ნაშლაზე, კონტექსტუალიზაციაზე ან დეპრიორიტეტიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება, შიდა ან გარე განმხილველ მექანიზმში, ან პირდაპირ სასამართლოში. ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს, საბოლოოდ, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნა. რეკომენდაციის თანახმად, ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ დავალების შესასრულებლად გამოყონ სასამართლო ან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ტრიბუნალი. იგივე შესაძლებლობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როდესაც მიჩნეულია, რომ შინაარსი არღვევს სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას ან შუამავალთა მომსახურების პირობებს, რის გამოც მოხდა მისი ნაშლა, კონტექსტუალიზაცია და დეპრიორიტეტიზაცია.

90. რაც შეეხება დაცვის შიდა საშუალებებს, ინტერნეტ შუამავლები უნდა უზრუნველყოფდნენ დამოუკიდებელი მარეგულირებლის ან საზედამხედველო მექანიზმის საშუალებით გასაჩივრების შესაძლებლობას და ამავდროულად, არ უზღუდავდნენ ან ართმევდნენ მომხმარებლებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას (§ 1.5.2., რეკომენდაცია CM/Rec(2018)2).

21-ე პუნქტის შესახებ:

91. რეკომენდაციის 21-ე პუნქტი ითვალისწინებს ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის 1.1.5. პუნქტის მნიშვნელოვან ასპექტებს და ადგენს, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც არსებობს ინტერნეტ შუამავლებს შორის, მათი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების, ინტერპრეტაციის და გამოყენებისას (ასევე, იხ. „შინაარსის მოდერაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი, § 21, და მისი განმარტებითი მემორანდუმის შესაბამისი მონაკვეთები). იმის მიხედვით, თუ რამდენად აწარმოებენ ან მართავენ შუამავლები მათ პლატფორმებზე ხელმისაწვდომ შინაარსს ან ასრულებენ კურატორის ან რედაქტორის როლს, მათ შორის, ალგორითმების გამოყენების გზით, CM/Rec(2018)2 რეკომენდაციის 1.3.9. პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ეტაპობრივი და დიფერენცირებული მიდგომა. მათ ასევე უნდა განსაზღვრონ დაცვის სათანადო დონეები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, იმ როლის შესაბამისად, რომელსაც შუამავლები ასრულებენ შინაარსის წარმოებისა და გავრცელების პროცესში და ამავდროულად, სათანადო ყურადღება დაუთმონ მათ ვალდებულებას, დაიცვან და ხელი შეუწყონ პლურალიზმს და მრავალფეროვნებას ონლაინ სივრცეში შინაარსის დისტრიბუციისას.

22-ე პუნქტის შესახებ:

92. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულება, ეფექტურად დაიცვას სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები, ასევე ვრცელდება სიძულვილის ენაზე ონლაინ სივრცეში. იმის გათვალისწინებით, რომ ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის მოცულობა არის უჩვეულოდ დიდი და იგი ინტერნეტის საშუალებით სწრაფად და ფართოდ ვრცელდება, ნევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კანონმდებლობის საშუალებით უნდა უზრუნველყონ ინტერნეტ შუამავლების მიერ წვლილის შეტანა ამ პოზიტიური ვალდებულების შესრულებაში. ამასთან, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმძღვანელო მითითებები ინტერნეტ შუამავლებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც აწარმოებს ან მართავს მათ პლატფორმაზე მისაწვდომ შინაარსს ან ასრულებს კურატორის ან რედაქტორის როლს, ალგორითმების გამოყენების საშუალებით, ონლაინ სივრცეში ისეთი სიძულვილის

ენის გამოყენების შემთხვევებზე რეაგირების შესახებ, რომელიც არღვევს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. საჭიროა, ერთმანეთისაგან გაირჩეს სხვადასხვა ტიპის ინტერნეტ შუამავლებზე დაკისრებული ვალდებულებები, რეკომენდაციის 21-ე პუნქტის შესაბამისად.

93. ამავედროულად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები არ იწვევდეს გადაჭარბებით შესრულებას ან დისკრიმინაციულ იმპლემენტაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც ლეგალურია, მაგრამ, სავარაუდოდ, არასასურველია დემოკრატიულ საზოგადოებაში და სადაც აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებები, ასევე, დაცული უნდა იქნეს (დეტალებისთვის, იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, §5 14c და 28 et seq. და მისი განმარტებითი მემორანდუმის შესაბამისი ნაწილები). ამ მიზეზების გამო, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განმარტონ, რომ ინტერნეტ შუამავლები არ მიეცემიან პასუხისგებაში, თუ მათ მიერ მყარი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, მიღებული იყო გადაწყვეტილება, არ წაეშალათ შინაარსი, რომელიც მოგვიანებით, შესაბამისი ორგანოების მიერ მიჩნეული იქნა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ან წაეშალათ შინაარსი, რომელიც მოგვიანებით კანონიერად იქნა მიჩნეული.

94. ასეთი რეგულაციის მნიშვნელოვანი ელემენტია ინტერნეტ მომხმარებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით, სიძულვილის ენის გამოყენების ისეთი შემთხვევების შეტყობინების გათვალისწინება, რომელიც სავარაუდოდ აკრძალულია სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. § 86 ზემოთ). აღნიშნულ შუამავლებს უნდა დაეკისროთ ასეთი შეტყობინებების სწრაფად და ეფექტურად განხილვის მოვალეობა, გამჭვირვალე პროცედურის ფარგლებში, რომელიც იწვევს, საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ სივრციდან სიძულვილის ენის სწრაფად და ეფექტურად წაშლას. ეს შეტყობინებები უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რომელიც ინტერნეტ შუამავალს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს, თუ რამდენად წარმოადგენს მითითებული შინაარსი სიძულვილის ენას, რომელიც აკრძალულია სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად. შეტყობინებების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია შესაბამისი დიზაინის შეტყობინების ფორმის შექმნით.

95. ამ კონტექსტში სასურველია, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით აკრძალული სიძულვილის ენის ონლაინ სივრციდან წაშლა მოხდეს მაქსიმალურად სწრაფად. კვლევის თანახმად, სოციალურ მედიაში განთავსებული პოსტის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხშირად მხოლოდ რამდენიმე წუთია. ეს ნიშნავს, რომ სიძულვილის ენა, რომელიც ასეთი პლატფორმებით ვრცელდება, ზიანს აყენებს დროის მოკლე პერიოდში. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ ინტერნეტ შუამავლებს დააკისრა კანონის დარღვევით განთავსებული შინაარსის 24 საათის ვადაში წაშლის ვალდებულება. მეორეს მხრივ, ასეთი მოკლე ვადები, შესაძლოა, არასაკმარისი იყოს ისეთი შემთხვევების სიფრთხილით შესაფასებლად, რომლებიც ფართო ფაქტობრივ კვლევას ან კომპლექსურ სამართლებრივ მსჯელობას საჭიროებს (ბუნდოვანი და კომპლექსური საქმეები). ისეთი საქმეებისთვის, რომელიც ხშირად სიღრმისეულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს, განისაზღვრა უფრო ხანგრძლივი ვადები; წევრი სახელმწიფოები, ასევე, ითვალისწინებენ ინტერნეტ შუამავლების მიერ ასეთი კომპლექსური ან ბუნდოვანი საქმეების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოსათვის გადაცემის შესაძლებლობას. ეს ორგანო, შესაძლოა, იყოს საჯარო ორგანო, როგორცაა საზოგადოებრივი მედიის მარეგულირებელი, ან ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი ან თანასწორობის ორგანო, დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანო, რომელიც ერთი ან რამდენიმე ინტერნეტ შუამავლის მიერ არის ორგანიზებული, ან თანა-რეგულირების ორგანო, რომელიც ორგანიზებულია საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ (მეტი დეტალებისთვის, იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, გვ.11 et seq. და ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის რეგულირების მოდელები, ალექსანდერ ბრაუნ, 2020 წ.).

96. არაერთ შემთხვევაში ხდება სიძულვილის ენის წაშლა ონლაინ სივრციდან, თუმცა,

არ ხდება შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება და გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის. ამ სიტუაციის დასარეგულირებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ინტერნეტ შუამავლები ვალდებული არიან, მოიპოვონ ონლაინ სივრცეში ისეთი სიძულვილის ენის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც არღვევს სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას (იხ. § 2.3.6, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ). წევრმა სახელმწიფოებმა ასევე მკაფიოდ უნდა განმარტონ პირობები, რომლებშიც მათ უნდა მოახდინონ მტკიცებულების სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემა. ასეთი მტკიცებულების გადაცემა უნდა დაექვემდებაროს კომპეტენტური ორგანოს წინასწარ ბრძანებას. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას და პრინციპებს ყველა აქტორმა უნდა სცეს პატივი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონაცემების გადაჭარბებით დამუშავება.

97. ბუნდოვან და კომპლექსურ საქმეებში, შესაძლებელია დროებითი ზომების მიღება, რათა მოხდეს პოტენციურად ლეგალური შინაარსის ნაჩქარევად ნაშლის პრევენცია. ნაცვლად სრულად ნაშლისა, ასეთი მასალა, შესაძლოა, დე-პრიორიტიზებული ან კონტექსტუალიზებული იქნეს. ამ კონტექსტში, დე-პრიორიტიზაცია ნიშნავს, რომ შინაარსის მოდერატორი ან ალგორითმი, რომელიც შინაარსის გავრცელებას არეგულირებს, ნაკლებ პრიორიტეტს მიანიჭებს მოცემულ მასალას, რაც შეზღუდავს მის გავრცელებას. კონტექსტუალიზაცია ნიშნავს, რომ მასალის გამოქვეყნება მოხდება შენიშვნით, სადაც მითითებული იქნება, რომ მოცემული მასალა სავარაუდოდ, წარმოადგენს სიძულვილის ენას. დე-პრიორიტიზაცია და კონტექსტუალიზაცია, შესაძლოა, აღქმული იქნეს, როგორც ნაკლებად შემზღუდავი ჩარევა, პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, მანამ, სანამ შესაბამისი ორგანოს ან სხვა მექანიზმის მიერ არ მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

98. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ინტერნეტ შუამავლების მიერ არსებულ სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოებთან შესაბამისობა, მაგალითად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი მარეგულირებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელების გზით. კანონმდებლობა, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს ინტერნეტ შუამავლების მიერ სამართლებრივი წარმომადგენლის დანიშვნას ქვეყანაში, რომელიც უზრუნველყოფს შუამავლის წარმომადგენლობას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და შეძლებს, მიიღოს ნებისმიერი შეტყობინება, შუამავლის სახელით.

23-ე პუნქტის შესახებ:

99. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კანონმდებლობით უნდა დაადგინონ, რომ ინტერნეტ შუამავლები უზრუნველყოფდნენ იმ გადაწყვეტილების მკაფიო განმარტებას, რომელიც სიძულვილის ენის კანონმდებლობის ან შუამავლის მომსახურების პირობების საფუძველზე, ითვალისწინებს მასალის დაბლოკვას, ნაშლას ან დეპრიორიტიზაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა მათთვის, ვისზეც ეს გადაწყვეტილებები ახდენს გავლენას (ასევე, იხ. § 2.3.3, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ). შესაძლოა საკმარისი იყოს ინტერნეტ შუამავლის მიერ მომხმარებლის უზრუნველყოფა ზუსტად იმ ტექსტითა და სამართლებრივი დებულების ან მომსახურების პირობების კონკრეტული პუნქტის ნომრით, რომლის საფუძველზეც შინაარსის მოდერატორმა ან ავტომატიზირებულმა სისტემამ მიიღო გადაწყვეტილება მოცემული შინაარსის დაბლოკვასთან, ნაშლასთან, კონტექსტუალიზაციასთან ან დეპრიორიტიზაციასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა ზედმეტად დიდ ტვირთს აკისრებს მცირე ზომის შუამავლებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ამ მოთხოვნის მხოლოდ იმ საქმეებზე გავრცელების შესაძლებლობა, სადაც მომხმარებელი აქტიურად ითხოვს გადაწყვეტილების დასაბუთებას; ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს განმარტების მოკლე ვადაში მიწოდება, საჩივრის წარდგენის მოქმედ ვადებთან შესაბამისობაში.

100. პრაქტიკაში, ზოგიერთი ინტერნეტ შუამავალი ბლოკავს ანგარიშებს, მაგალითად, სიძულვილის ენის განმეორებითი გამოქვეყნების შემთხვევებში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი კანონმდებლობის მიღების შესაძლებლობა, რომელიც არეგულირებს ამ სფეროს, განსაზღვრავს პირობებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია

ანგარიშის დროებით ან სამუდამოდ დაბლოკვა. ასეთი კანონმდებლობა, ასევე უნდა მოიცავდეს დაცვის მექანიზმებს აღნიშნული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, ადგენდეს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება დროებით ან მუდმივად დაბლოკვის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

101. თუ ინფორმაციის გამოქვეყნებას ახდენს არა ფიზიკური პირი, არამედ, დაწესებულება (ეს ტერმინი ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და მოიცავს, მაგალითად, საჯარო და კერძო იურიდიულ პირებს და ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას ან დაწესებულებას), იმ ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთება, რომელიც შინაარსზე აწესებს შეზღუდვებს, ამ დაწესებულებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

24-ე პუნქტის შესახებ:

102. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს ხშირად აქვთ პრობლემები ონლაინ სიძულვილის ენის ავტორის იდენტიფიცირების კუთხით. დანაშაულის ჩამდენი პირის ანონიმურობა, ხშირად, შეუძლებელს ხდის მის იდენტიფიცირებას და საქმის წარმატებით გამოძიებას პოლიციის, პროკურატურის და სხვა ორგანოების მიერ. ამრიგად, სერვისის პროვაიდერებისგან გამომწერის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათ შორის, სხვა იურისდიქციებში მოქმედი პროვაიდერებისგან, აუცილებელია სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების წარმატებით გამოსაძიებლად (იხ. გამომწერის შესახებ ინფორმაციის განმარტება კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის (ETS No. 185) 18.3 მუხლში, შემდგომში „კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია“). იგივე ეხება დომენის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას, რომელიც ინახება რეესტრებში ან რეგისტრატორებთან, იმ შემთხვევებში, როდესაც დომენი გამოიყენება სიძულვილის მიზნებისთვის. მეორეს მხრივ, ინტერნეტში ანონიმურობა მნიშვნელოვანია, რათა დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება (შეპირისპირებული ინტერესების და უფლებების შესახებ, იხ. K. U. v Finland, no. 2872/02, 2008 წლის 2 დეკემბერი, § 49).

103. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის მე-18 მუხლში წარმოდგენილია გამომწერის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანების საფუძვლები, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებული პირობები და დაცვის მექანიზმები და სხვა პროცედურული უფლებამოსილებები წარმოდგენილია ამავე კონვენციის მე-14 და მე-15 მუხლებში. დამატებითი ინსტრუქციები ხელმისაწვდომია T-CY სახელმძღვანელო დოკუმენტში #10: გამომწერის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება (ბუდაპეშტის კონვენციის მე-18 მუხლი), რომელიც მიღებულ იქნა კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის კომიტეტის მიერ, 2017 წელს. ისეთი სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში, რომელიც აკრძალულია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით, საჭიროა, მოქმედებდეს სათანადო პროცედურები გამომწერის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

104. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის განმარტებითი ანგარიშის 138-ე პუნქტის თანახმად, რომელსაც არ აქვს სავალდებულო ძალა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ, ტერმინი „კომპეტენტური ორგანო“ მიუთითებს სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა სამართალდამცავ ორგანოზე, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან წარმოებასთან დაკავშირებით, მტკიცებულების შეგროვების ან გამოთხოვის მიზნით, გააჩნია უფლებამოსილება, მოითხოვოს, გასცეს ავტორიზება ან განახორციელოს პროცედურული ზომების აღსრულება. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმი, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა 2021 წლის 17 ნოემბერს დაამტკიცა და ხელმოსაწერად გაიხსნება 2022 წლის მაისში, გამომწერის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვისა (მუხლი 7) და დომენის სარეგისტრაციო ინფორმაციის გამჟღავნებისთვის (მუხლი 6), ითვალისწინებს პირდაპირ თანამშრომლობას სერვისის პროვაიდერებთან სხვა ქვეყნებში. კონვენციის მსგავსად, ამ ზომებს შეზღუდული მოქმედების სფერო აქვთ (ისინი ვრცელდება გარკვეული სახის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაზე ან წარმოებაზე) და ექვემდებარებიან კანონის უზენაესობის (მუხლი 13) და მონაცემთა დაცვის (მუხლი 14) მექანიზმებს. ამასთან, ისინი ითვალისწინებენ დეკლარაციების და რეზერვაციების გაკეთების უფლებას, რათა მხარეებმა შეძლონ ეროვნულ დონეზე მოქმედი ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და

საკონსტიტუციო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

105. „ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სამართალი“ მოიცავს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპის საბჭოს კონვენციას პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ და შესაბამის შემთხვევებში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას 2016/679 (GDPR).

25-ე პუნქტის შესახებ:

106. წევრმა სახელმწიფოებმა დეტალური მონაცემები და ინფორმაცია იმ კონტენტის შესახებ, რომელიც შეიზღუდა სიძულვილის ენის ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ და შესაბამის ინტერნეტ შუამავლებს კანონის საფუძველზე მოსთხოვონ გამჭვირვალე ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება. ეს ანგარიშები უნდა უზრუნველყოფდეს გამჭვირვალობას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით და ქმნიდეს სახელმწიფო ორგანოებისა და ინტერნეტ შუამავლების მიერ გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების აუცილებლობისა და პროპორციულობის შესახებ რეგულარული შეფასების საფუძველს, კონვენციის 10.2 მუხლის კონტექსტში (იხ. §1.2.3, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ და შინაარსის მოდერაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი, §§ 39-44). ანგარიშგება ასევე ემსახურება შინაარსის მოდერაციის არადისკრიმინაციულად განხორციელების უზრუნველყოფის მიზანს.

107. წევრი სახელმწიფოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები მაქსიმალურად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: შესაბამისი დაცული ნიშნები; სიძულვილის ენის სხვადასხვა გამოხატულებები; დისაგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები იმ საქმეების შესახებ, რომელზეც რეაგირება განახორციელა პოლიციამ, პროკურატურამ, სასამართლომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე და მათი შედეგები გამოძიების, ბრალის წარდგენის, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და შინაარსზე დაწესებული შეზღუდვების კუთხით; საქმეები, რომლებიც განხილული იქნა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად; შინაარსზე დაწესებული შეზღუდვების საფუძველი - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა, თუ ინტერნეტ შუამავლის მომსახურების პირობები; შინაარსზე შეზღუდვის დაწესებასთან დაკავშირებით ონლაინ-პლატფორმებისთვის წარდგენილი მოთხოვნების რაოდენობა, ტიპი და სამართლებრივი საფუძველი; ამ მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებები; შინაარსის შეზღუდვა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებებზე დაყრდნობით; მონაცემთა დაცვის კანონის და პრინციპების პატივისცემის მიზნით მიღებული ზომები; იმ პირების კატეგორიები, რომლებიც წარმოადგენენ სიძულვილის ენის სამიზნეებს და რომლებიც აქვეყნებენ სიძულვილის ენას; ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც განაპირობებს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების ზრდას, როგორიცაა საარჩევნო კამპანიები ან სხვა მოვლენები, რომელთაც შესაძლოა გამოეწვიოს სიძულვილის ენის ტალღები (დეტალებისთვის, იხ. § 12, ECRI GPR No. 11 პოლიციელთა საქმიანობაში რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ; რეკომენდაციის განმარტებითი მემორანდუმი, §§ 12 და 65 et seq.; და § 3, ECRI GPR No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ და მისი განმარტებითი მემორანდუმი, §§ 72 et seq.).

108. ინტერნეტ შუამავლების ანგარიშები, მათ შორის, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: შესაბამისი დაცული ნიშნები; სიძულვილის ენის სხვადასხვა გამოხატულებები; რის საფუძველზე მოხდა შინაარსის წაშლა (სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის ან მომსახურების პირობების); შესაბამისი ორგანოებისგან შინაარსის შეზღუდვასთან დაკავშირებით მიღებული მოთხოვნების რაოდენობა, ტიპი და სამართლებრივი საფუძველი; სიძულვილის ენისა და სიძულვილის ენის ავტორების სამიზნე პირების კატეგორიები; სიძულვილის ენის ძირითადი განმავლობის ფაქტორები (იხ. ზემოთ); ინფორმაცია შინაარსის მოდერატორთა რაოდენობის და ტრენინგის შესახებ - მათ შორის, ინფორმაცია გამოყენებული ტექნოლოგიების, ავტომატიზებული სისტემების და კრიტერიუმების შესახებ, და რა დროა საჭირო სიძულვილის ენის გამოსავლენად და ასეთ

შემთხვევებზე რეაგირებისთვის, შინაარსის მოდერაციის და სარეკომენდაციო სისტემების საშუალებით; და მონაცემთა დაცვის კანონის და პრინციპების დასაცავად მიღებული ზომები. ნევრმა სახელმწიფოებმა ინტერნეტ შუამავლებს, ასევე, უნდა მოსთხოვონ მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თანმიმდევრულ ფორმატში და მონაცემების პროაქტიულად გავრცელება აკადემიურ მკვლევარებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის (დეტალებისთვის, იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, § 2.2.3. და 2.2.4).

109. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შედარებით მცირე ზომის ინტერნეტ შუამავლები უნდა ექვემდებარებოდნენ ანგარიშგების შედარებით მსუბუქ მოვალეობებს, მსხვილ შუამავლებთან შედარებით, ხოლო ანგარიშგების ვალდებულებები ეკისრებათ მხოლოდ იმ ინტერნეტ შუამავლებს, რომლებიც აწარმოებენ ან მართავენ კონტენტს მათ პლატფორმებზე ან ასრულებენ კურატორის ან რედაქტორის როლს, მათ შორის, ალგორითმების გამოყენების გზით.

26-ე პუნქტის შესახებ:

110. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დამოუკიდებელი ორგანოების მიერ (მაგალითად, თანასწორობის ორგანოები ან ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები), სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შინაარსის მოდერაციის არსებული სისტემების გავლენის რეგულარულად შეფასება. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული სისტემები - მათ შორის, ავტომატიზებული სისტემები - სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების ეფექტურ დაცვას და სათანადო ბალანსს გამომხატვის თავისუფლებასთან მათთვის, ვინც ინტერნეტში აქვეყნებს შინაარსს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ რამდენად ქმნის არსებული სისტემები შეუტყობინებლობის ან მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულების რისკებს და რამდენად მოაქვს გასაჩივრების არსებულ შიდა და გარე მექანიზმებს სათანადო შედეგები (ასევე, იხ. CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, § 1.1.4 and 1.1.5). ანგარიშები, რომლებიც მითითებულია რეკომენდაციის 25-ე პუნქტში, ამ შეფასებების მნიშვნელოვანი საფუძველია.

111. ამ კონტექსტში, ნევრი სახელმწიფოები უნდა უზრუნველყოფდნენ სიძულვილის ენის იმ საქმეთა წარმომადგენლობითი მაგალითების რეგულარულ შეფასებას, რომლებიც სასამართლო ზედამხედველობას არ დაექვემდებარნენ, რათა დადგინდეს, თუ რამდენად გამართლებულია დაწესებული შეზღუდვები და რამდენად დაცულია მონაცემთა დაცვის კანონები და პრინციპები.

112. ამ შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, სათანადო ზომები უნდა მიიღონ სამართლებრივი ჩარჩოების და შინაარსის მოდერაციის სისტემების შემდგომი განვითარებისთვის, რათა გაუმჯობესდეს ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის შემთხვევების გამოვლენა, შეტყობინება და დამუშავება და აღმოიფხვრას შინაარსზე დაწესებული გაუმართლებელი შეზღუდვებისა და მოთხოვნათა გადაჭარბებით შესრულების მიზეზები.

27-ე პუნქტის შესახებ:

113. ეს პუნქტი ნევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, საკანონმდებლო დონეზე დაადგინონ მოთხოვნა, რომ ონლაინ მედია საშუალებებმა არ უნდა გაავრცელონ სიძულვილის ენა, რომელიც აღწევს სიმძიმის გარკვეულ ზღვარს. ამასთან, კანონი უნდა მოიცავდეს ონლაინ მედია საშუალებების მიერ მესამე მხარეების კომენტარების სექციებში და მათი პლატფორმების სხვა ინტერაქტიულ ან კოლაბორაციულ სივრცეებში (მაგალითად, ბლოგები, რომლებიც ინკორპორირებულია მათი გამოცემის ვებსაიტებზე) განთავსებული შინაარსს, რაც უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სასამართლო ზედამხედველობას. აღნიშნული შეესაბამება სასამართლოს მიგნებებს საქმის Delfi AS v. Estonia კონკრეტულ გარემოებებში, ციტირებული ზემოთ, § 115-117 (ასევე, იხ. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2011)7 მედიის ახალი ცნების შესახებ და რეკომენდაცია CM/Rec(2014)6 ინტერნეტ მომხმარებელთა ადამიანის უფლებების სახელმძღვანელოს შესახებ).

3. ძირითადი აქტორებისა და მიმართული რეკომენდაციები

114. რეკომენდაციის წინამდებარე თავი შეეხება ძირითად აქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებებში, განსაკუთრებით საჯარო დებატების კუთხით და ამრიგად, მათ აქვთ შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი და კონკრეტული წვლილი შეიტანონ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში და პრევენციაში. ყველა ამ აქტორისთვის მხოლოდ ერთი დასაყრდენი აქვს კანონი, რომელიც არეგულირებს სიძულვილის ენას, თუმცა, მათ ასევე აქვთ კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რომლებიც მომდინარეობს იმ სპეციფიური როლისგან, რომელსაც ისინი ასრულებენ.

საჯარო მოხელეები, არჩევითი ორგანოები და პოლიტიკური პარტიები

28-ე და 29-ე პუნქტების შესახებ:

115. წინამდებარე რეკომენდაციის მიზნისთვის, ტერმინი „საჯარო მოხელე“ მოიცავს საკანონმდებლო ხელისუფლების, მთავრობის, სასამართლო ხელისუფლების და სხვა საჯარო ხელისუფლების ორგანოთა წევრებს. საჯარო მოხელეებმა არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენებისგან, მხარდაჭერისგან ან გავრცელებისგან, არამედ, მათ ასევე პოზიტიური როლი უნდა შეასრულონ სიძულვილის ენაზე რეაგირების და მასთან ბრძოლის კუთხით. შესაბამისად, რეკომენდაცია მათ მოუწოდებს, სიძულვილის ენა დაგმონ ყველა შესაბამის გარემოებაში.

116. ამავდროულად, საჯარო მოხელეებმა და პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ არ უნდა მოახდინონ რომელიმე კრიტიკული ძალისათვის სიძულვილის ენის იარაღის მიკვრა, განსაკუთრებული ენთუზიაზმით. გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციაზე და იდეებზე, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხყოფელი, ან მისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ, ასევე ისეთზე, რომელიც შეურაცხყოფს, შოკისმომგვრელია და შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისთვის (*Handyside v. United Kingdom*, ციტირებული ზემოთ, § 49).

117. მათი ძალაუფლების გათვალისწინებით, პოლიტიკოსებს და სხვა მაღალი რანგის საჯარო მოხელეებს უფრო ფართო პასუხისმგებლობები აქვთ თავიანთი გამონათქვამების გავრცელებასთან დაკავშირებით. პოლიტიკურ სიძულვილის ენას, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოტენციურ დამნაშავეებზე, რომლებიც თავს გაძლიერებულად გრძნობენ და იმეორებენ შეუწყნარებელ და მიკერძოებულ ქცევას. საქმეში *Erbakan v. Turkey*, no. 59405/00, 2006 წლის 6 ივლისი, § 56, სასამართლომ დაადგინა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თავიანთ გამოსვლებში პოლიტიკოსებმა თავი შეიკავონ ისეთი კომენტარებისგან, რომელიც შეუწყნარებლობას ნაახალისებს.

118. მართლაც, პოლიტიკოსებს აქვთ პოლიტიკური ვალდებულება და მორალური პასუხისმგებლობა, თავი შეიკავონ სიძულვილის და სტიგმის შემცველი ენის გამოყენებისგან და დროულად და ცალსახად დაგმონ ასეთი ენის გამოყენება სხვების მიერ, ვინაიდან მათი სიჩუმე, შესაძლოა, მიმღებლობის და მხარდაჭერის ნიშნად იქნეს მიჩნეული. მათი გამოხატვის თავისუფლება მაღალი დააცვით სარგებლობს, რაც ამავდროულად, განამტკიცებს მათ პასუხისმგებლობას ამ სფეროში (§ 5, PACE-ის რეზოლუცია 2275(2019) პოლიტიკური ლიდერების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ, სიძულვილის ენასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კუთხით; ამ კუთხით, ასევე, იხ. *Sanchez v. France*, no. 45581/15, 2021 წლის 2 სექტემბერი³).

119. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არჩევნების პერიოდში გამოყენებულ

3. კონვენციის 43-ე და 44 მუხლების შესაბამისად, პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. მისი გამოცემიდან სამი თვის განმავლობაში, ნებმისიერ მხარეს შეუძლია სასამართლოს დიდი პალატაში ამ საქმის განხილვის მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნის გაკეთების შემთხვევაში, ხუთი მოსამართლისგან შემდგარი პანელი განიხილავს საქმის შემდგომი განხილვის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა მოისმენს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ განხილვის მოთხოვნა უარყოფილი იქნა პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, ის გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს აღსრულებაზე ზედამხედველობისთვის. აღსრულების პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: www.coe.int/t/dghl/monitoring/execution

სიძულვილის ენაზე, ვინაიდან იგი საკმაოდ გაძლიერებულია პოლიტიკურ ოპონენტებსა და სამიზნე ელექტორატს შორის. საარჩევნო პერიოდში, კანდიდატების პოზიცია უფრო ხისტი ხდება, ხოლო გამარჯვების სურვილი ჯაბნის გონივრულ არგუმენტებს. რასისტული და ქსენოფობიური დისკურსის გავლენა უფრო დიდი და დამაზიანებელი ხდება (*Féret v. Belgium*, ციტირებულია ზემოთ, § 76). ამ კუთხით, სასამართლო იხსენებს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, საჯარო დისკურსში პოლიტიკოსებმა თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გავრცელებისგან, რომლებიც სავარაუდოდ წაახალისებს შეუწყნარებლობას. ისინი ექვემდებარებიან მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს, რომელსაც აწესებს კონვენციის 10.2 მუხლი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დემოკრატიის და მისი პრინციპების დაცვას, განსაკუთრებით, საარჩევნო კონტექსტში (*Sanchez v. France*, ციტირებულია ზემოთ, § 89).

120. პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების წასახალისებლად, რათა მათ რეაგირება მოახდინონ და დაგმონ სიძულვილის ენა, პარლამენტმა, სხვა არჩევითმა ორგანოებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა წაახალისონ რასიზმისგან თავისუფალი საზოგადოებისთვის ევროპული პოლიტიკური პარტიების განახლებული ქარტიის დაცვა და განხორციელება. ქარტია დამატკიცა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა, 2017 წელს. სიძულვილის ენის წინააღმდეგ კონკრეტული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ასევე, იხელმძღვანელონ ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 15 რეკომენდაციით, სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ.

ინტერნეტ შუამავლები

121. ინტერნეტ შუამავლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ კუთხით, რომ ისინი ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეხმარებიან ერთმანეთთან კომუნიკაციაში და ინფორმაციის გაზიარებაში. ისინი საკმაოდ გაძლიერდნენ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და სულ უფრო მეტად გადამწყვეტი გავლენა აქვთ ადამიანის უფლებებზე, ფუნდამენტურ თავისუფლებებზე და დემოკრატიაზე. მაგალითად, ისინი ახდენენ შინაარსის მოდერაციას და რანჟირებას, მათ შორის, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების გზით, რითაც მათ გავლენა აქვთ მომხმარებელთა მიერ ინფორმაციის წვდომაზე, რაც მედიის გავლენის მსგავსია, ან ასრულებენ სხვა ფუნქციებს, რომლებიც გამომცემელთა ფუნქციების მსგავსია (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2, § 5).

122. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის პრევალენტობის გათვალისწინებით, ინტერნეტ შუამავლების მიერ მართულ სისტემებში და იმ ზიანის გათვალისწინებით, რომელიც მას აქვს სამიზნე ადამიანებზე ან ჯგუფებზე, გაიზარდა ცნობიერება ინტერნეტ შუამავლების ადამიანის უფლებების კუთხით კორპორატიული პასუხისმგებლობის საჭიროების შესახებ, რათა მათ თავიანთ პლატფორმებზე შეზღუდონ სიძულვილის ენის გამოყენება ონლაინ სივრცეში.

30-ე პუნქტის შესახებ:

123. ადამიანის უფლებების და ბიზნესის შესახებ CM/Rec(2016)3 რეკომენდაციის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა ეფექტურად უნდა განახორციელონ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ და უზრუნველყონ შესაბამისი კანონების დაცვა და ადამიანის უფლებების პატივისცემა ყველა იმ ბიზნეს-საწარმოს მიერ, რომელიც განთავსებულია ან საქმიანობას მათ იურისდიქციაში („ადამიანის უფლებების პატივისცემის კორპორატიული პასუხისმგებლობა“). ეს ნიშნავს იმას, რომ მათ არ უნდა დაარღვიონ სხვების ადამიანის უფლებები და რეაგირება მოახდინონ ადამიანის უფლებებზე უარყოფითი გავლენის შემთხვევებზე, თუ ეს მათი მონაწილეობით ხდება.

124. აღნიშნული მოიცავს ონლაინ სივრცეში იმ სიძულვილის ენის გამოყენების სხვადასხვა შრეებზე (იხ. რეკომენდაციის დანართი, § 3) და გამოხატულებებზე (იხ. წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის § 18), რეაგირების პასუხისმგებლობას, რომელთან მიმართებით სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს შეასრულოს მასზე დაკისრებული ადამიანის უფლებათა ვალდებულებები და ვრცელდება ყველა ინტერნეტ შუამავალზე ზომის, სამოქმედო სფეროს, სამოქმედო კონტექსტის, საკუთრების სტრუქტურის და ტიპის

მიუხედავად (იხ. § 2.1.1, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2). ამავედროულად, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე რეაგირების საშუალებები უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მძიმე გავლენა აქვს მოწოდებულ სერვისს ადამიანის უფლებებზე (იხ. §§ 3 და 4, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 და მისი განმარტებითი ბარათი, §§ 2.1.1. და 2.1.2). ამასთან, სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი თხოვნა, მოთხოვნა ან ქმედება, რომელიც მიმართულია ინტერნეტ შუამავლებისკენ, რათა შეიზღუდოს წვდომა (დაბლოკვის ან წაშლის ჩათვლით) ან ნებისმიერი ზომა, რომელიც იწვევს გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვის დაწესებას, კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული და ემსახურებოდეს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს, წარმოადგენდეს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და იყოს დასახული მიზნის პროპორციული (§§ 1.3.1. და 1.3.5, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2). იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტ შუამავლებს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად მოეთხოვებათ, შინაარსის წაშლა, რომელიც მათი აზრით არ არღვევს ადამიანის უფლებათა სამართალს და სტანდარტებს, მათ უნდა ითხოვონ მოთხოვნის გაუქმება ან მოდიფიკაცია, გამოიკვლიონ ეროვნული კანონმდებლობის გასაჩივრების სხვა სამართლებრივი საშუალებები და ითხოვონ დახმარება დაინტერესებული მხარეებისგან.

31-ე პუნქტის შესახებ:

125. ადამიანის უფლებათა სამართალი და სტანდარტები, რომელზეც მიუთითებს რეკომენდაციის 31-ე პუნქტი, მოიცავს ჩამონათვალს, რომელიც გათვალისწინებულია განმარტებითი მემორანდუმის მე-15 და 44-ე პუნქტებში, სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციას No. 185 და საჭიროების შემთხვევაში, No. 189 დამატებით ოქმს, ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 15 რეკომენდაციას სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის No. 34 ზოგად კომენტარს, რომელიც ეხება ICCPR-ის მე-19 მუხლს (აზრის და გამოხატვის თავისუფლება), რეკომენდაციას CERD/C/GC/35 რასისტულ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, რაბათის სამოქმედო გეგმას ეროვნული, რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის წახალისებას, და გაეროს სპეციალური საპროცესო მანდატის მქონე ორგანოთა რეკომენდაციებს, განსაკუთრებით, აზრის და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციებს.

126. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა შექმნან თავიანთი პოლიტიკა და პირობები, რომელიც შეეხება შინაარსის მოდერაციას და მონაცემების დამუშავებას და მკაფიოდ მიუთითონ მათზე მომსახურების პირობებში, რომელსაც ყველა მომხმარებელი უნდა დაეთანხმოს მანამ, სანამ დაიწყებს მათი პლატფორმების და სისტემების გამოყენებას. ეს პოლიტიკა და მომსახურების პირობები პატივს უნდა სცემდეს მონაცემთა დაცვის წესებს (იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ETS No. 108 პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის შესახებ და კონვენცია 108+ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის შესახებ).

127. ონლაინ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, არაერთმა ინტერნეტ შუამავალმა, მათი იურიდიული ვალდებულებების, ადამიანის უფლებათა პასუხისმგებლობებისა და ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების პატივისცემის შესახებ საზოგადოების მზარდი მოწოდებების გათვალისწინებით, დაწერა რეგულაციები და შექმნა ინფრასტრუქტურები და მექანიზმები, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მონიშნოს შინაარსი, რომელიც სავარაუდოდ არღვევს კანონს, ხოლო აღნიშნული შემდგომ განხილვის მიზნით გადაეცემა შინაარსის მოდერატორებს. შინაარსის მოდერაციის პოლიტიკის აღსრულება ხდება შინაარსის მოდერატორებისა და შინაარსის მოდერაციის ავტომატიზებული ინსტრუმენტების საშუალებით, რომელიც აფასებს, თუ რამდენად თანხვედრაშია მოცემული შინაარსი სამართლებრივ მოთხოვნებთან და ინტერნეტ შუამავლის მომსახურების პირობებთან. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი სამუშაო ძალის დაქირავება შინაარსის მოდერაციისთვის და დასაქმებულებისათვის სათანადო სამუშაო პირობები (ასევე, იხ. CM/Rec(2018)2 ინტერნეტ

შუამავალთა როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, § 2.3.4).

128. ადამიანის უფლებების პატივისცემის კორპორატიული პასუხისმგებლობის შესასრულებლად, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა სამართლის და სტანდარტების მოთხოვნებით, ალგორითმული სისტემების შემუშავების და გამოყენების პროცესში, შინაარსის მოდერაციის პოლიტიკის ფარგლებში და მათი საზედამხებდევლო მექანიზმების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც უფრო მაღალია სამართლებრივი დაცვის ობიექტებზე გავლენა და პოტენციური ზიანი და რაც უფრო მაღალ რისკს უქმნის მომსახურება ადამიანის უფლებების განხორციელებას, მით მეტი სიფრთხილის ზომების მიღება მართებს ინტერნეტ შუამავალს, მომსახურების პირობების, სათემო სტანდარტების და ეთიკის კოდექსების შემუშავების და გამოყენებისას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შეურაცხმყოფელი ენისა და გამოსახულებების, სიძულვილის და ძალადობის ნახაღისების გავრცელების პრევენციის მიზნით (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, § 2.1.2; და CM/Rec(2020)1 ადამიანის უფლებებზე ალგორითმული სისტემების გავლენის შესახებ).

129. საჭიროა ინტერნეტ შუამავლების ადამიანის უფლებებისა და სიძულვილის ენის პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, შიდა და გარე შეფასებების საშუალებით, რათა შინაარსის მოდერაცია მართლაც პატივს სცემდეს ადამიანის უფლებებს და ეფექტურად ახდენდეს მომხმარებლების ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რომელია დასაშვები და დაუშვებელი ქცევა (იხ. წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის §§ 47 et seq. და § 106 et seq.; დამატებითი დეტალებისთვის, იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, § 40).

130. ადამიანის უფლებებისა და სიძულვილის ენის პოლიტიკის მაქსიმალური გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა შეიმუშაონ მომსახურების პირობები, კანონმდებლობის, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და რეკომენდაციის მე-4 პუნქტში წარმოდგენილი კრიტერიუმების სრულად პატივისცემის საფუძველზე. მომსახურების პირობები უნდა მოიცავდეს სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის ან მომსახურების პირობების დარღვევის შემთხვევებში, სიძულვილის ენის შეფასების, მოდერაციის და შეზღუდვების დაწესების სტანდარტებს. მათ, ასევე, უნდა გამოაქვეყნონ ყველა შესაბამისი წესები და უზრუნველყონ ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურების და საშუალებების შესახებ და მათში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და ისინი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ ყველა შესაბამის ენაზე, მათ შორის, რეგიონულ და უმცირესობის ენებზე, სადაც საჭიროა და რამდენადაც ეს შესაძლებელია. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ იმ პარამეტრების გამჭვირვალობა, რომელსაც იყენებენ სარეკომენდაციო სისტემებში და მომხმარებლებს მიაწოდონ ინფორმაცია ამ მხრივ განხორციელებული ცვლილებების შესახებ, სათანადოდ, გასაგებად და დროულად (დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, §§ 20 და 40).

131. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მომსახურების პირობები, წესები და სტანდარტები გასაგები იყოს საშუალო სტატისტიკური მომხმარებლისთვის, ხოლო პრაქტიკული გამოყენების შედეგები კი განჭვრეტადი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ინტერნეტ შუამავლებმა წარმოადგინონ სიძულვილის ენის მაგალითები, რომელიც არღვევს კანონმდებლობას და მათი მომსახურების პირობებს.

132. წაშლის მექანიზმების გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა გამოაქვეყნონ პერიოდული ონლაინ ანგარიშები, რომლებიც უნდა მოიცავდეს ამომწურავ და დისაგრეგირებულ მონაცემებს სიძულვილის ენის წაშლასთან დაკავშირებით, მათ შორის, ინფორმაციას სიძულვილის ენის ტიპების და ფორმების და იმ მომხმარებლების კატეგორიების შესახებ, რომლებიც ახდენენ სიძულვილის ენის გენერირებას (ე.ი. ფიზიკური პირები და სახელმწიფო ან არა-სახელმწიფო აქტორები). ინტერნეტ შუამავლებმა უნდა გაავრცელონ ეს ინფორმაცია აკადემიურ მკვლევარებს, სამოქალაქო ორგანიზაციებს, ქსელებს, არა სამთავრობო ორგანიზაციებს, კვლევით ცენტრებს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის.

32-ე მუხლის შესახებ:

133. პოტენციური სიძულვილის ენის მოდერაციის პოლიტიკა უნდა შემუშავდეს რეკომენდაციის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა და მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე (დეტალებისთვის, იხ. განმარტებითი მემორანდუმის §§ 32-35).

134. შინაარსის წაშლის ან არ წაშლის ბინარული არჩევანის მიღმა, შინაარსის მოდერაცია უზრუნველყოფს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა დროებითი ან მუდმივი „დაქვეითება“, დემონეტიზაცია ან პრობლემურ შინაარსად აღნიშვნა (იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, § 13). სხვა ინსტრუმენტები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებაზე პროპორციული რეაგირების სახით, მოიცავს დე-ამპლიფიკაციას, მხარდაჭერის ინიციატივებს, მათ შორის, განათლების სფეროში, რომელიც ხელს უწყობს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინებას, საპირისპირო და ალტერნატიულ ენას და ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების და სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანხმობის ხელშეწყობას. ამ ინსტრუმენტების გამოყენება, კონვენციის თანახმად, შესაძლებელია შეურაცხმყოფელი და საზიანო გამოხატვის მიმართ, რომელიც არ აღწევს სიმძიმის საკმარის ზღვარს იმისათვის, რომ ლეგიტიმურად იქნეს შეზღუდული (იხ. რეკომენდაცია, § 3.2).

33-ე პუნქტის შესახებ:

135. იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და ავტომატიზებული ალგორითმული სისტემები, შეიძლება იყოს მიკერძოებული ან ჰქონდეს სხვა სუსტი მხარეები, საჭიროა ადამიანის მიერ ზედამხედველობის მექანიზმის შექმნა, რათა ადამიანური ინტერვენციის განხორციელება შესაძლებელი იყოს, თუ ეს საჭიროა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად (ევროპის საბჭოს დროებითი კომიტეტი ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე (CAHAI), ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა, CAHAI(2020)23, § 104).

136. იმისათვის, რომ შინაარსის მოდერაცია განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი, ადგილობრივი, კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ იმ ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა, რომლებიც ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების სამიზნეებს წარმოადგენენ, შინაარსის მოდერაციის შემუშავების და უწყვეტი შეფასების პროცესში. მათ უნდა უზრუნველყონ ასეთი ჯგუფების წახილების სათანადოდ გათვალისწინება შინაარსის მოდერაციის ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის შემუშავებაში, განვითარებასა და იმპლემენტაციაში, რათა მოხდეს მათ პლატფორმებზე სიძულვილის ენის გამოყენების ყველა შემთხვევის გამოვლენა და მათზე რეაგირება.

137. თუ ეს საჭიროა, შინაარსის მოდერაცია უნდა იყოს დეცენტრალიზებული, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადგილობრივი კულტურის და თემების სათანადო მონაწილეობა შინაარსის მოდერაციის შესახებ გადაწყვეტილებებში და შინაარსის მოდერატორებმა თავი მოუყარონ სათანადო ექსპერტულ ცოდნას/გამოცდილებას. ინტერნეტ შუამავლებმა ადეკვატური ადამიანური რესურსები უნდა გამოყონ შინაარსის მოდერაციისთვის, ყველა იმ გეოგრაფიულ სფეროში, რომელსაც ისინი მოიცავენ. შინაარსის მოდერაციის დეცენტრალიზების ძალისხმევის ფარგლებში, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებს შორის არსებული დაძაბულობები.

34-ე პუნქტის შესახებ:

138. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა დაიქირავონ საკმარისი რაოდენობის შინაარსის მოდერატორები, რათა შესაძლებელი იყოს პოტენციური სიძულვილის ენის სათანადო შეფასება.

139. შინაარსის მოდერატორთა მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს შინაარსის მოდერაციის მიმართ მათი მიდგომის გამჭვირვალობას და ობიექტურობას (ე.ი. მიკერძოებების არ არსებობა), როგორიცაა იმ ადამიანთან აფილირება, რომელმაც

გამოაქვეყნა მოცემული შინაარსი ან წარადგინა შეტყობინება მის შესახებ.

140. შინაარსის მოდერატორები უზრუნველყოფილები უნდა ყვნენ სათანადო მოსამზადებელი და პროფესიული ტრენინგით სიძულვილის ენასთან ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნული ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესახებ, როგორც მათი ურთიერთმიმართება შუამავალთა მომსახურების პირობებსა და მათ შიდა სტანდარტებთან და კონფლიქტის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედების შესახებ. ასეთი ტრენინგები შესაძლოა, უზრუნველყოფილი იქნეს შიდა ან გარე რესურსებით, მათ შორის, შუამავალთა ასოციაციების მეშვეობით. ტრენინგის ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს შუამავალთა როლის მნიშვნელობას და იმ გავლენას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მათ ქმედებებს მომხმარებლების მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2, § 2.3.4). ნებისმიერი ტრენინგი სიძულვილის ენის შესახებ შინაარსის მოდერატორებს უნდა ეხმარებოდეს, მყარად გაიაზრონ შესაბამისი ადგილობრივი, კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტები და მიმართვის ენები, განსაკუთრებით, უმცირესობის ენები, და მათ სთავაზობდეს ამომწურავ და განახლებულ ცოდნას რელევანტური ლინგვისტური ნიუანსების შესახებ.

141. შინაარსის მოდერატორები, სანდო ფლაგერები და ფაქტ-ჩეკერები უკავშირდება როგორც ადამიანურ, ისე ალგორითმულ სისტემებს. შესაბამისად, ინტერნეტ შუამავლებმა საჭარო უნდა გახადონ ინფორმაცია იმის შესახებ, დაექვემდებარებიან თუ არა მომხმარებლები ალგორითმულ გადანყვებილებების მიღებას, მათ შორის, შინაარსის პერსონალიზებულ ზედამხედველობას (ამასთან დაკავშირებით, იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2020)1 ადამიანის უფლებებზე ალგორითმული სისტემების გავლენის შესახებ).

142. ვინაიდან შინაარსის მოდერატორებს მუდმივად უწევთ საზიანო კონტენტთან მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ სამუშაო პირობებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. შესაბამისად, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შინაარსის მოდერატორებს ჰქონდეთ სათანადო ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომა (დეტალებისთვის, იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2, § 2.3.4). ინტერნეტ შუამავლებმა ეს სტანდარტები უნდა უზრუნველყონ მაშინაც, თუ ისინი ახდენენ შინაარსის მოდერაციის მესამე მხარეზე აუტოსორსინგს, რომელიც შესაძლოა დაფუძნებული იყოს ისეთ ქვეყანაში, სადაც მოქმედი შრომის კანონმდებლობა არის განსხვავებული ან ნაკლებ დაცვას უზრუნველყოფს (იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, § 34).

35-ე პუნქტის შესახებ

143. სამოქალაქო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ წვდომა სანდო და ადეკვატურ მონაცემებზე, რათა შეძლონ ეროვნული ორგანოების და ინტერნეტ შუამავლების სიძულვილის ენის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა (იხ. შინაარსის მოდერაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი).

144. ინტერნეტ შუამავლებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობა საჭიროებს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ რეგულარულ, ინკლუზიურ და გამჭვირვალე დიალოგში, „ინფორმაციის გაზიარების და განხილვის და ინტერნეტ შუამავლებთან დაკავშირებული განვითარებადი ტექნოლოგიური საშუალებების პასუხისმგებლიანი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, რაც გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე, მათ განხორციელებაზე და შესაბამის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე“ (რეკომენდაცია CM/Rec(2018)2, §12), მათ შორის, სიძულვილის ენის სფეროში.

145. ამ თანამშრომლობის მიზნები და მონაწილე მხარეთა მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული და უნდა ითვალისწინებდეს ონლაინ გარემოს სწრაფად ცვალებად ხასიათს.

146. თანამშრომლობა ინტერნეტ შუამავლებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის, სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით, უნდა მოიცავდეს ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინების მექანიზმების განვითარებას და უწყვეტ გაუმჯობესებას. ასეთი თანამშრომლობის მაგალითია 2016 წელს, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან ბრძოლის შესახებ ევროკავშირის ქცევის

კოდექსის განხორციელების შეფასება. აღნიშნული მოიცავს მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო ორგანიზაციები IT კომპანიებს რამდენიმე კვირის მანძილზე ატყობინებენ იმ კონტენტის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ არღვევდა სისხლის სამართლის დებულებებს, რომლებიც ანაცვლებენ რასიზმის და ქსენოფობიის გარკვეულ ფორმებთან და გამოვლინებებთან სისხლის სამართლის საშუალებით ბრძოლის შესახებ საბჭოს ჩარჩო გადანყვეტილებას 2008/913/JHA ეროვნულ კანონმდებლობაში (დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხ. ქცევის კოდექსის მე-5 შეფასება, ფაქტობრივი მონაცემები, 2020 წლის ივნისი).

36-ე პუნქტის შესახებ:

147. ონლაინ სარეკლამო სისტემები, მიკრო-თარგეთინგი, კონტენტის ამპლიფიკაციის და რეკომენდაციის სისტემები ტექნოლოგიებია, რომლებიც ფართოდ იყენებენ მომხმარებლების შესახებ მონაცემებს, პერსონალიზებული კონტენტის შექმნისა და გავრცელების მიზნით.

148. ამ ტექნოლოგიებმა, შესაძლოა, ხელი შეუწეოს სიძულვილის ენის, დეზინფორმაციისა და დისკრიმინაციული სტერეოტიპების გავრცელების გამწვავებას, რეკომენდაციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ნიშანთან მიმართებით. ამ კონტექსტში, უკვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო იმ სპეციფიკურ გამოწვევებზე, რომელსაც ეს ტექნოლოგიები ქმნიან გენდერულ თანასწორობასთან და გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით, რადგან ალგორითმების გამოყენებამ, შესაძლოა, მოახდინოს არსებული გენდერული სტერეოტიპების გავრცელება და განმტკიცება და ხელი შეუწეოს სექსიზმის გამყარებას (რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმის პრევენციის და მასთან ბრძოლის შესახებ).

149. დამუშავების ყველა ეტაპზე, მათ შორის, მონაცემთა შეგროვების ეტაპზე, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა შეაფასონ, თუ რა გავლენა ექნება ამ ტექნოლოგიებს ადამიანის უფლებებზე და მოახდინონ პოტენციური, მათ შორის, უნებლიე ან ფარული მიკერძოებების თავიდან არიდება, . მათ, ასევე, მონაცემთა სუბიექტების ადამიანის უფლებებზე და ფუნდამენტურ თავისუფლებებზე დისკრიმინაციის რისკი ან უარყოფითი გავლენა უნდა შეაფასონ. ამას გარდა, მათ „კრიტიკულად უნდა შეაფასონ გამოყენებული პერსონალური მონაცემების ხარისხი, სახეობა, წარმომავლობა და მოცულობა, შეამცირონ არასაჭირო, ზედმეტი ან ზღვრული მონაცემები განვითარებისა და მომზადების ეტაპებზე და მონიტორინგი გაუწიონ, თუ რამდენად ზუსტია მოდელი, რომელშიც ახალი მონაცემების შეყვანა ხდება“ (სახელმძღვანელო მითითებები ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა დაცვის შესახებ T-PD(2019)01, § II.4). შემდგომ, ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ ამ სისტემების გამჭვირვალობა, მათი ახსნადობა და უარის და თანხმობის დებულებები.

37-ე პუნქტის შესახებ:

150. შინაარსის მოდერაცია, რომელიც ხორციელდება ადამიანის მიერ ან მექანიკურად, არ არის უმცდომო. შესაბამისად, ინტერნეტ შუამავლებმა მიმდინარე რეჟიმში უნდა განახორციელონ ადამიანის უფლებებზე მათი პროდუქტების, სერვისების, სისტემების, პოლიტიკის და პრაქტიკის პირდაპირი და ირიბი გავლენის შიდა შეფასება. აღნიშნული თვალსაზრისით, მათ რეგულარულად უნდა შეაფასონ შინაარსის მოდერაციის სისტემები, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება გამოხატვის თავისუფლებაზე და პირადი ცხოვრების, თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პატივისცემის უფლებაზე და უზრუნველყოფილი იქნება ამ უფლებების დაცვა. აღნიშნულმა შეფასებებმა უნდა შეასრულოს იმ პოლიტიკის, რეგულაციების და ზომების ეფექტურობის შეფასების მიზანი, რომელსაც ინტერნეტ შუამავლები იყენებენ სიძულვილის ენაზე რეაგირებისთვის, და უზრუნველყონ მათ მიერ დასახული მიზნების შესრულება (იხ. რეკომენდაციის 26-ე პუნქტი).

151. ადამიანის უფლებებზე გავლენის შეფასება უნდა ჩატარდეს მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში, მათ შორის, შესაბამისი ექსპერტული გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ან დამოუკიდებელი დაინტერესებული მხარეების ზედამხედველობის პირობებში, ინკლუზიურად და გამჭვირვალედ. შეფასებები

უნდა მოიცავდეს ინტერნეტ შუამავლების პროდუქტებს, სერვისებს და სისტემებს (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2, § 2.1.4) და რისკის შეფასების კრიტერიუმები უნდა ითვალისწინებდეს სიძულვილის ენის არაპროპორციულ გავლენას რომელიმე ფიზიკურ პირზე ან ჯგუფზე. ის, თუ რამდენად უნდა განახორციელოს ადამიანის უფლებებზე გავლენის შეფასება ინტერნეტ შუამავალმა დამოკიდებულია ამ უკანასკნელის ზომაზე (იხ. რეკომენდაცია, § 21).

152. ადამიანის უფლებებზე გავლენის შეფასებისას, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობა და სამიზნე თემებისა და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების და მარგინალიზებული ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინება (იხ. CAHAI ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა, CAHAI(2020)23, § 106). სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობა პროცესის შექმნაში, განვითარებასა და იმპლემენტაციაში ხელს შეუწყობს ისეთი პოლიტიკის და ზომების განსაზღვრას და იმპლემენტაციას, რომელიც უფრო ეფექტურად რეაგირებს ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გავრცელებით გამოწვეულ ზიანზე.

153. არსებული ზომების ეფექტურობის სათანადოდ შეფასების უზრუნველსაყოფად, ინტერნეტ შუამავლები უნდა დაექვემდებარონ რეგულარულ, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, ამომწურავ და ეფექტურ გარე აუდიტებს (იხ. § 26, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის რეკომენდაცია (2019 წ.), Unboxing Artificial Intelligence: 10 steps to protect Human Rights).

154. კანონი, შესაძლოა, ითვალისწინებდეს, რომ დამოუკიდებელი აუდიტი ტარდება აუდიტორების ან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევაში, აუდიტის ჩატარება შესაძლებელია მესამე მხარის მიერ, მაგალითად, დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანო, რომელიც შექმნილია ინდუსტრიის, დამოუკიდებელი აუდიტორების ან სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ასეთი დავალების შესრულების უფლებამოსილება გააჩნიათ.

155. ინტერნეტ შუამავლებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო ქმედებების განხორციელება, გავლენის შეფასებებისა და გარე აუდიტების შედეგების გათვალისწინებით. კერძოდ, მათ უნდა მოახდინონ რეაგირება მიგნებებზე და უზრუნველყონ რეაგირების ეფექტურობის მონიტორინგი და შეფასება (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, § 2.1.4).

მედია

38-ე პუნქტის შესახებ:

156. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტები და მედია სარგებლობდნენ სარედაქციო თავისუფლებით, დამოუკიდებლობით და ავტონომიით, რაც ეფუძნება გამოხატვის თავისუფლების მყარ დაცვას (მეტი დეტალისთვის, იხ. *Jersild v. Denmark*, ციტირებული ზემოთ, § 31; No. R (97)20 სიძულვილის ენის შესახებ; No. R (97)21 მედიის და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ; CERD/C/GC/35 რასისტულ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 40; და ETS No. 157 ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია, მუხლი 9).

157. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს და დაცვის ეფექტური ზომები უნდა იქნეს მიღებული ჟურნალისტების მდგომარეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი მათთვის, რომლებიც სიძულვილის სამიზნეები არიან, როგორცაა, ქალი და უმცირესობის წარმომადგენელი ჟურნალისტები (იხ. CM/Rec(2016)4 ჟურნალისტიკის და ჟურნალისტების და სხვა მედია აქტორების უსაფრთხოების დაცვის შესახებ).

39-ე და მე-40 პუნქტების შესახებ:

158. მნიშვნელოვანია, რომ მედია ორგანიზაციებმა და ჟურნალისტებმა წაახალისონ ტოლერანტობის და ურთიერთგაგების კულტურა და ხელი შეუწყონ ჯგუფებს შორის დიალოგს, სიძულვილის ენაზე რეაგირების კუთხით განხორციელებული ძალისხმევის ფარგლებში. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, რომ მათ დაიცვან თვითრეგულირების სტანდარტები, ზემოაღნიშნული მიზნები გაითვალისწინონ ამ სტანდარტებში და ქცევის კოდექსებში და

შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი სასწავლო პროგრამები ჟურნალისტებისთვის (იხ. No. R (97)21 მედიის და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ; ETS No. 157 ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ, მუხლი 6; და ტალინის სახელმძღვანელო მითითებები ეროვნული უმცირესობების და ციფრულ ეპოქაში მედიის შესახებ, 2019, ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებზე).

159. მედია ორგანიზაციებმა უნდა გადადგან კონკრეტული, სპეციფიკური და მიზნობრივი ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ თავიანთი სამუშაო ძალის მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, მათ შორის, სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით. ინფორმაციის ძიების, მიღების, გაცემისა და გავრცელების კუთხით განეული ძალისხმევის ფარგლებში, ისინი უნდა ესწრაფვოდნენ სხვადასხვა თემს შორის წყაროების და ხმების მრავალფეროვნებას (იხ. გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2020, §§ 53.1-53.2; და No. R (97)21 მედიის და კულტურული ტოლერანტობის ხელშეწყობის შესახებ, § 2).

160. საზოგადოებრივი მედია, მანდატის შესაბამისად, მიუკერძოებელი ინფორმაციის და მრავალფეროვანი პოლიტიკური მოსაზრებების მნიშვნელოვან წყაროს უნდა წარმოადგენდეს, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარევებისგან სათანადო დამოუკიდებლობა. ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ პლურალიზმის და მრავალფეროვანი აზრების შესახებ ინფორმირებულობის, ისევე, როგორც საპირისპირო და ალტერნატიული ენის ხელშეწყობის კუთხით, რასაც ნაწილობრივ ახორციელებენ საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების ინფორმაციის მიღების და გაცემის, საკუთარი აზრის გამოხატვის და იდეების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. ამრიგად, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სოციალური ერთიანობის, კულტურული მრავალფეროვნების და პლურალისტური საზოგადოების ხელშეწყობაში, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.

41-ე პუნქტის შესახებ:

161. მედია ორგანიზაციებმა და მედია სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა, მათ შორის, ჟურნალისტებმა, არა მხოლოდ უნდა უზრუნველყონ სიძულვილის ენასთან ბრძოლის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, არამედ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ადამიანის უფლებების სრული პატივისცემის უზრუნველყოფას, მინისტრთა კომიტეტის შემდეგი რეკომენდაციების შესაბამისად: CM/Rec(2016)3 ადამიანის უფლებების და ბიზნესის შესახებ, No. R (97)20 სიძულვილის ენის შესახებ და No. R (97)21 მედიის და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ. აღნიშნული ვრცელდება ონლაინ გარემოზე, სადაც, მაგალითად, ონლაინ მედია და ონლაინ ნიუს პორტალები და სხვა საშუალებები, რომელთაც მართავენ მედია ორგანიზაციები, პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ სარედაქციო შინაარსზე, არამედ, ასევე, მესამე მხარის მიერ სიძულვილის ენის სახით დატოვებულ კომენტარებზე (იხ. Delfi AS v. Estonia, ციტირებული ზემოთ, § 159).

162. მნიშვნელოვანია, რომ მედიამ და ჟურნალისტებმა სიძულვილის ენის ინცინდენტების შესახებ შეატყობინონ საზოგადოებას და გაზარდონ ცნობიერება იმზიანის შესახებ, რომელსაც ინვეს დისკრიმინაცია, სიძულვილი, ნეგატიური სტერეოტიპები და სტიგმატიზაცია. ზუსტი და სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით და მრავალფეროვანი პერსპექტივების უკეთ გააზრების ხელშესაწყობად, მედიამ და ჟურნალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფებისა და თემებისთვის აზრის გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას (იხ. CM/Rec(2018)1 მედია პლურალიზმის და მედია მფლობელობის გამჭვირვალობის შესახებ).

163. მედია და ჟურნალისტები უნდა იყვნენ ფხიზლად იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ცრურწმენის გავრცელებას და ნეგატიური სტერეოტიპების წახალისებას ადამიანების და ჯგუფების წინააღმდეგ. მათ თავი უნდა შეიკავონ პიროვნულ მახასიათებლებზე ან სტატუსზე არასაჭირო მითითებებისგან, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს წინასწარ განწყობას და შეუწყნარებლობას, განსაკუთრებით დანაშაულთან, კანონთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას.

164. დამატებით, მნიშვნელოვანია მედია ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ გამჭვირვალე, მონაწილეობით და დამოუკიდებელ ინიციატივებში, რომელიც ფაქტების გადამოწმებას უკავშირდება და აღნიშნულის ფარგლებში ითანამშრომლონ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ზუსტი, სანდო და პლურალისტური ინფორმაცია. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების, მათ შორის, დანაშაულთან ან საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმების კუთხით და ისეთი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს წინასწარ განწყობის ან სტიგმის გამწვავება.

165. არჩევნების დროს, მედიამ უნდა გაითვალისწინოს, დეზინფორმაციის გაშუქებისას, დეზინფორმაციის და პროპაგანდის გამოაშკარავება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთი ინფორმაციის სამიზნეს წარმოადგენენ ადამიანები ან ჯგუფები, იდენტობის, მათ შორის, უმცირესობის ან სხვა სტატუსის ნიშნით და/ან თუ ეს აზიანებს ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

42-ე პუნქტის შესახებ:

166. თავიანთი პოლიტიკის განვითარების პროცესში, მარეგულირებელმა ორგანოებმა სამაუწყებლო სექტორში და მედიის თვით-რეგულირების ორგანოებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული დებულებები, რათა ეფექტურად ებრძოლონ სიძულვილის ენას და, ასევე, აქტიურად შეუწყონ ხელი ტოლერანტობას, პლურალიზმს და აზრთა მრავალფეროვნებას მედიაში.

167. წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ აუდიო-ვიზუალური სფეროს მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა, იმ სხვადასხვა წესების საშუალებით, რომელიც მათი საქმიანობის ყველა ასპექტს მოიცავს, და იმ ზომების საშუალებით, რომელიც მათ ეხმარება თავიანთი ფუნქციების ეფექტურად შესრულებაში (დამატებითი დეტალებისთვის, იხ. რეკომენდაცია Rec(2000)23 სამაუწყებლო სექტორში მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის და ფუნქციების შესახებ და რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ჟურნალისტიკის და ჟურნალისტებისა და სხვა მედია აქტორების უსაფრთხოების დაცვის შესახებ.

სამოქალაქო ორგანიზაციები

43-ე პუნქტის შესახებ:

168. სამოქალაქო ორგანიზაციებს, სხვადასხვა საქმიანობის საშუალებით, შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ონლაინ სივრცეში და მის გარეთ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში. რეკომენდებულია, რომ მათ შეიმუშაონ სპეციალური პოლიტიკა სიძულვილის ენასთან ბრძოლის დაპრევენციის შესახებ და თუ ეს საჭიროა და შესაძლებელია, უზრუნველყონ ტრენინგი თავიანთი თანამშრომლებისთვის, წევრებისთვის და მოხალისეებისთვის.

169. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებმა ერთმანეთთან ითანამშრომლონ და გასწიონ კოორდინაცია, მათ შორის, ისეთი ორგანიზაციების ჩართვის გზით, რომლებიც მუშაობენ სიძულვილის ენის სამიზნე პირებთან და ჯგუფებთან. მათ, ასევე, უნდა ითანამშრომლონ შესაბამის საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კომპლექსური მიდგომა სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით.

170. როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციები ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნე, ადვოკატირების სფეროში მათი საქმიანობის ან უმცირესობის და სხვა ჯგუფების მხარდაჭერის გამო, სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სოლიდარობა უნდა გამოხატონ. მედიამ უნდა უზრუნველყოს დაბალანსებული და ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელება მათ მიერ ადვოკატირების კუთხით გაწეული საქმიანობისა და სხვა პრობლემური საქმეების შესახებ, რომელშიც ისინი არიან სავარაუდოდ ჩართულები.

171. სამოქალაქო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ სიძულვილის

ენასთან ბრძოლასა და პრევენციაში, მონაცემების შეგროვების და ანალიზის, სიძულვილის ენის მონიტორინგის, შეუტყობინებლობასთან ბრძოლის, სიძულვილის ენასთან ბრძოლასა და პრევენციაში ჩართული სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლების მომზადების და საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების მომზადების და გავრცელების კუთხით. წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, რეკომენდაციის 6c, 17, 26 და 35 პუნქტების შესაბამისად, სამოქალაქო ორგანიზაციები უნდა ჩართონ აქტივობებში, რომელიც შეეხება ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენაზე რეაგირებას და კომუნიკაციის და საგანმანათლებლო კამპანიების შექმნის, შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში, რათა გაიზარდოს სიძულვილის ენისა და მისით გამოწვეული ზიანის შესახებ ცნობიერება.

4. ცნობიერების ამაღლება, განათლება, გადამზადება და საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენება

172. მე-4 თავში წარმოდგენილია არასამართლებრივი ზომები, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ სიძულვილის ენის ყველა შრეზე რეაგირების მოსახდენად (იხ. რეკომენდაციის მე-3 პუნქტი), სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, მე-3 თავში წარმოდგენილ ძირითად აქტორებთან თანამშრომლობით.

44-ე და 45-ე პუნქტების შესახებ:

173. რეკომენდაციის 44-ე და 45-ე პუნქტები იმეორებს პრინციპებს, რომლებიც წარმოდგენილია ICERD-ის მე-7 მუხლში და ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (ETS No. 157) 6.1 მუხლში. ეს კონვენცია შეეხება რასობრივი დისკრიმინაციის გამომწვევ ცრურწმენებთან ბრძოლის მნიშვნელობას. ეს პრინციპები, ასევე ხაზს უსვამს ერებსა და რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, ტოლერანტობის და მეგობრობის, კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის მნიშვნელობას და ორმხრივი პატივისცემის, ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ეფექტური ზომების მიღების საჭიროებას, კერძოდ, სწავლების, განათლების, კულტურის და ინფორმაციის სფეროებში. თავის მხრივ, სასამართლო ხაზს უსვამს რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის მყარი პოლიტიკის საჭიროებას, რაც სიძულვილის ენის შემცირების საფუძველია. სასამართლოს თანახმად, „ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი ზომა რასიზმთან საბრძოლველად და ამით განამტკიცონ საზოგადოებრივი დემოკრატიის ხედვა, რომელშიც მრავალფეროვნება აღიქმება არა საფრთხედ, არამედ, სიმდიდრის წყაროდ (იხ. Aksu v. Turkey, ციტირებული ზემოთ, § 44). იგივე ეხება სიძულვილის ენას, რომელიც ეფუძნება სხვა ნიშნებს გარდა რასიზმისა.

174. როგორც ეს რეკომენდაციის პირველ პუნქტში არის მითითებული, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ კომპლექსური და ეფექტური ქმედებები სიძულვილის ენასთან ბრძოლის და პრევენციის მიზნით და ხელი შეუწყონ ტოლერანტულ და ინკლუზიურ მიდგომას. ეს ზომები მიღებული უნდა იქნეს სიძულვილის ენის სხვადასხვა შრეებთან ბრძოლისა და პრევენციისთვის (იხ. რეკომენდაციის მე-3 პუნქტი). პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც აღწევს სიმძიმის მინიმალურ დონეს, რაც საჭიროა კონვენციის მე-8 მუხლის ასამოქმედებლად, ხოლო სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც რადიკალური საშუალება, სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე შემთხვევების მიმართ (იხ. §§ 24 et seq. და §§ 43 et seq., განმარტებითი მემორანდუმი).

175. მე-4 თავში წარმოდგენილი რეკომენდაციები, ასევე, ხელს უწყობს სიძულვილის ენის ძირეული გამომწვევი მიზეზების გააზრებას, მათზე რეაგირებას, მათთან ბრძოლასა და პრევენციას ცნობიერების ამაღლებისა და განათლების საშუალებით და მშვიდობიანი, ინკლუზიური და სამართლიანი საზოგადოებების ხელშეწყობას (იხ. გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ვალდებულებები 2, 7 და 8). სიძულვილის ენის მოტივაცია და მამოძრავებელი ფაქტორები, შესაძლოა მოიცავდეს დეზინფორმაციას, ნეგატიურ სტერეოტიპებს და სტიგმატიზაციას, პოლიტიკურ ამოცანებს, უთანასწორობას,

რომელიც ეფუძნება დაცულ ნიშნებსა და სტატუსს, დაუსჯელობას, ისტორიულ და ამჟამინდელ უკმაყოფილობებს, ეკონომიკურ უთანასწორობას ქვეყანაში, თავისუფალი და უსაფრთხო სამოქალაქო სივრცის არ არსებობას და ონლაინ დისინჰიბიციის (თავშეკავების გაქრობის) ეფექტს. ყველა ასეთი ფაქტორი შესაძლოა, ღრმა სტრუქტურული პრობლემების სიმპტომებს წარმოადგენდეს, რომლებიც მოითხოვს რეაგირებას წევრი სახელმწიფოების მხრიდან. სიძულვილის ენის და მასთან დაკავშირებული ტენდენციების აღრიცხვა, მონიტორინგი და ანალიზი (იხ. თავი 6) მნიშვნელოვანია მისი ძირეული მიზეზების გამოსავლენად და მასთან ბრძოლისა და პრევენციის ეფექტური ზომების შესაქმნელად.

176. დეზინფორმაცია მიუთითებს ცრუ, არაზუსტ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომლის შემონახვაც შესაძლებელია და რომელიც განზრახ არის შექმნილი და გავრცელებული იმისათვის, რომ გამოიწვიოს ზიანი ან საზოგადოების მოტყუების გზით ეკონომიკური თუ პოლიტიკური სარგებელის მისაღებად (იხ. MSI-REF მედიის და კომუნიკაციის რეგულირების პრინციპების შესახებ რეკომენდაციის პროექტი, პუნქტი 4).

177. მოპოვებულ ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ ყოვლისმომცველ პოლიტიკაში, კანონმდებლობაში, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, სიძულვილის ენის წინააღმდეგ, უნდა გაითვალისწინონ ზომები (იხ. რეკომენდაციის მე-5 პუნქტი) ცნობიერების ამაღლებასთან, განათლებასთან, გადამზადებასთან, საპირისპირო და ალტერნატიული ენის ხელშეწყობასთან და კულტურათაშორისი დიალოგის წახალისებასთან დაკავშირებით. მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია „არა სიძულვილის ენას“ ახალგაზრდული კამპანიის მემკვიდრეობის შესახებ (Decl(29/05/2019), მისი დანართი CM(2019)42-add და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, მაგალითად, ხაზს უსვამს სიძულვილის ენის ფარგლებისა და რისკის შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის დაგმობას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, სოლიდარობის გამოხატვას სიძულვილის ენის კონკრეტული სამიზნე სუბიექტების მიმართ; ყურადღების მიპყრობას სიძულვილის ენის მანიფესტაციების არასათანადოდ შეფასებულ და ნაკლებად შეტყობინებულ შემთხვევებზე; საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შექმნას; მედიის და ინფორმაციული წიგნიერების უზრუნველყოფას ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით; სექტორებს შორის და დანესებულებებს შორის თანამშრომლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზომებიდან ზოგიერთი უფრო რელევანტურია გარკვეულ ეროვნულ კონტექსტებში, ვიდრე სხვა ზომები, ვინაიდან ზომების ეფექტურობა განსხვავდება და დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში სიძულვილის ენის დინამიკასა და ბუნებაზე.

46-ე პუნქტის შესახებ:

178. ცნობიერების ამაღლების ზომები ემსახურება რამდენიმე მიზანს სიძულვილის ენასთან დაკავშირებით: მათ უნდა უზრუნველყონ ადამიანების და გადარჩევილების მიმღები პირების ინფორმირება სიძულვილის ენის მასშტაბებისა და მისით გამოწვეული ზიანის შესახებ, წარმოადგინონ სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და დარღვეული უფლების აღდგენის გზები და ხელმისაწვდომი საშუალებები (იხ. თავი 5), რეაგირება მოახდინონ დეზინფორმაციაზე და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა პრინციპებს და ფასეულობებს, კულტურათაშორის დიალოგს, მრავალფეროვნების და თანასწორობის დაფასებას.

179. წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ კამპანიების ფარგლებში გზავნილებისა და მიდგომების მორგება სამიზნე აუდიტორიების საჭიროებებთან. საჭიროების შემთხვევაში, სიძულვილის ენის სამიზნე ფიზიკური პირები და ჯგუფები ჩართულები უნდა იყვნენ ასეთი კამპანიების შემუშავებასა და იმპლემენტაციაში. ამ მხრივ, იხილეთ რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ; მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ევროპაში ბოშების წინააღმდეგ მზარდი ანტი-ბოშური განწყობებისა და რასისტული ძალადობის შესახებ, რომელიც მიღებულია 2012 წლის 1 თებერვალს; საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 743 (2010): ისლამი, ისლამიზმი და ისლამოფობია ევროპაში; საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1563 (2007) ევროპაში ანტი-სემიტობითან ბრძოლის შესახებ; და საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2036 (2015): ევროპაში

დისკრიმინაციასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლა, განსაკუთრებით, ქრისტიანებთან დაკავშირებით.

47-ე, 48-ე და 49-ე პუნქტების შესახებ:

180. კომპეტენციები, რომელთა განვითარებაც უნდა მოხდეს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების შედეგად, წარმოდგენილია დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებებთან სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის (CM/Rec(2010)7). ისინი მოიცავს ცოდნის, პირადი და სოციალური უნარების, კრიტიკული აზროვნების და ისეთი აზროვნების განვითარებას, რომელიც ამცირებს კონფლიქტს, ზრდის რწმენისა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებების დაფასებას და გააზრებას, აყალიბებს ორმხრივ პატივისცემას ადამიანის უფლებებისა და საერთო ფასეულობების მიმართ და ხელს უწყობს დიალოგს და ძალადობისგან დაცულობას პრობლემებისა და დავების გადაჭრაში. მიჩნეულია, რომ ასეთი კომპეტენციები აუცილებელია, რათა მოხდეს ადამიანთა აღჭურვა იმისათვის, რომ მათ ამოიცნონ სიძულვილის ენა, საფრთხე, რომელსაც იგი უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას და განახორციელონ ინიციატივები მასზე რეაგირების მიზნით.

181. სიძულვილის ენაზე რეაგირების, განსაკუთრებით, იმ უარყოფით სტერეოტიპებსა და წინასწარ განწყობებზე რეაგირების საგანმანათლებლო ინიციატივები, რომელთაც ეფუძნება სიძულვილის ენა, ასევე უნდა ითვალისწინებდეს უმცირესობის ან სხვა ჯგუფების და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენის და რელიგიის შესახებ ცოდნის გადაცემას, წევრი სახელმწიფოს ფარგლებში, ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად (ETS No. 157).

182. ინტერნეტ მომხმარებელთა ადამიანის უფლებების შესახებ CM/Rec(2014)6 სახელმძღვანელოს თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მომხმარებლების მიერ ინტერნეტ სივრცეში მათ უფლებებზე და თავისუფლებებზე წვდომა და შეამცირონ ონლაინ კომუნიკაციის გარემოში არსებული რისკები. ინტერნეტ და მედია წიგნიერების შესახებ დამატებით ინსტრუქციებს შეიცავს რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 ციფრული მოქალაქეობის სწავლების განვითარების და ხელშეწყობის შესახებ და რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ. ეს უკანასკნელი, ასევე, შეეხება ასაკის და გენდერის მიმართ მგრძნობიარე მიდგომის მნიშვნელობას და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის საჭიროებას, მათ შორის, კერძო სექტორს, საზოგადოებრივ მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აკადემიურ წრეებსა და ტექნიკურ დაწესებულებებს შორის.

183. სიძულვილის ენის შესახებ ეფექტური საგანმანათლებლო კურიკულუმის უზრუნველყოფის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მასწავლებლების სათანადო მომზადება და ხელმისაწვდომი გახადონ სახელმძღვანელოები და შესაბამისი ონლაინ მასალები. ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისი და დამოუკიდებელ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს უნდა დაავალონ სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალებისა და სასწავლო მეთოდების პერიოდული გადახედვა, რათა მოხდეს სტერეოტიპების გაფილტვრა და თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის ხელშეწყობა.

184. ევროპის საბჭოს ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა და განათლების დეპარტამენტმა შეიმუშავეს ინსტრუმენტები ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სწავლების იმპლემენტაციისთვის. აღნიშნული მოიცავს საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებს „კომპასი“, „კომპასიტო“, „სარკეები“ და სახელმძღვანელოებს დემოკრატიული მოქალაქეობის და კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ, ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო სახელმძღვანელოს და ინტერნეტ-წიგნიერების სახელმძღვანელოს. აღნიშნული გამოცემები და სახელმძღვანელოები მხარს უჭერს ფორმალურ, არაფორმალურ განათლებას და თვითგანათლებას. ადამიანის უფლებათა განათლების, მათ შორის, საწინააღმდეგო ენის გამოყენების გზით სიძულვილის ენაზე რეაგირების პოზიტიური გამოცდილება შეიქმნა საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების „ბუქმარქსი“ და „ჩვენ შეგვიძლია!“ გამოყენების კუთხით, რომლებიც შემუშავებული იქნა ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანიის „არა

სიძულვილის ენას“ ფარგლებში. კიდევ ერთი სასარგებლო ინსტრუმენტია გაეროს რწმენისა და უფლებების ჩარჩო და ინსტრუმენტთა კრებული (2019 წ.), რომელიც იყენებს თანასწორთა სწავლების მეთოდოლოგიას. საგანმანათლებლო სამოქალაქო ინიციატივების მაგალითები წარმოდგენილია კვლევაში - „სიძულვილის წინააღმდეგ“. სიძულვილის ენასთან და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო, ავტორები: Tina Đaković და Cvijeta Senta, 2019 წ. ეს გამოცემა თავს უყრის კარგი პრაქტიკის მაგალითებს სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციებიდან ხორვატიასა და ფინეთში.

185. 48-ე პუნქტი წაკითხული უნდა იქნეს რეკომენდაციის 47-ე და 49-ე მუხლთან ერთობლიობაში. საჭიროა განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინიციატივების ადაპტირება აუდიტორიის - ბავშვების ან ახალგაზრდების ასაკის და მომწიფების დონის შესაბამისად. რეკომენდაცია CM/Rec(2018)7 ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების პატივისცემის, დაცვის და განხორციელების შესახებ შეიცავს დეტალურ მონაცემებს განათლების, ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივების, პროგრამების და მომხმარებელთა ინსტრუმენტების შესახებ, რომელთა შემუშავებაც საჭიროა ბავშვების ჩართულობით. ეს ინსტრუმენტები და ინიციატივები მიმართული უნდა იყოს ბავშვების და ახალგაზრდების ჯანმრთელი განვითარების და კეთილდღეობისკენ, ისევე, როგორც საკუთარი და სხვის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ, მათ შორის, ციფრულ გარემოში. დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები წარმოდგენილია გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებში.

186. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების და ახალგაზრდების ეფექტური მონაწილეობა ყველა იმ საკითხში, რომელიც მათ შეეხებათ, ახალგაზრდების მონაწილეობის გასაუმჯობესებლად უფლებების, საშუალებების, შესაძლებლობების და საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით (იხ. ევროპის ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ, შესწორებული ვერსია, მიღებულია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მე-10 სესიაზე, 2003 წლის 21 მაისს, და ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო Have your Say!, 2015 წლის ნოემბერი).

187. 49-ე პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ არაფორმალურ განათლებას, თვითგანათლებას და კულტურულ პროგრამებს საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთ. ამ მიზნით, მათ შეუძლიათ, მხარი დაუჭირონ სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინიციატივებს, მათ შორის, კულტურულ სექტორში, სიძულვილის ენასთან და მის გამომწვევ მიზეზებთან უფრო ფართოდ ბრძოლის მიზნით (იხ. რეკომენდაციის 43-ე პუნქტი).

50-ე პუნქტის შესახებ:

188. სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურის და სამედიცინო სამსახურების თანამშრომლები ხშირად წარმოადგენენ იმ პირებს, ვისთანაც სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს პირველი კონტაქტი აქვთ. აღნიშნულმა სპეციალისტებმა უნდა გაიარონ მოსამზადებელი და პროფესიული ტრენინგები პროფესიული ქცევის შესახებ, რომელიც მოეთხოვებათ თავიანთი ფუნქციის შესრულებისას, მეგობრული დამოკიდებულების და სიძულვილის ენის სამიზნე პირებთან კონტაქტისას ნეგატიური სტერეოტიპებისგან და მიკერძოებისგან თავის შეკავების საჭიროებაზე. მათი პროფესიონალიზმი ხელს შეუწყობს სიძულვილის ენის შეტყობინებას, მონიტორინგის ეფექტურობას, სიძულვილის ენის ინციდენტების გამოძიებას და დასჯას და დაცვის მექანიზმებზე წვდომას მათთვის, ვიზუც გავლენა იქონია სიძულვილის ენამ.

189. ზემოაღნიშნული საჯარო დაწესებულებების და სხვა საჯარო ორგანოების თანამშრომელთა სასწავლო პროგრამები მათ უნდა ეხმარებოდეს სიძულვილის ენის მნიშვნელობის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევის „სიმძიმის“ შეფასების კრიტერიუმების (იხ. რეკომენდაციის მე-4 პუნქტი) და მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი და სხვა სახის რეაგირების საშუალებების მყარად გააზრებაში. ეროვნული ორგანოების და სამოქალაქო ორგანიზაციების პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითები წარმოდგენილია კვლევაში „სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, სიძულვილის ენასთან და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოში,

ავტორები: Tina Đaković და Cvijeta Senta, 2019, გვ.გვ.54 et seq.

51-ე მუხლის შესახებ

190. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის, „სანქციები, რომელიც სამართლიანობას უზრუნველყოფს - მართლმსაჯულება ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლებისთვის, ნაწილი III“ (2019 წ.), არაერთი დაზარალებული მოელის, რომ სამართალწარმოების შედეგად, მოძალადეები დაფიქრდებიან იმაზე, რაც გააკეთეს და ხელმეორედ აღარ ჩაიდენენ დანაშაულს. ვინაიდან მსხვერპლები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სანქციებს, რომლებიც უზრუნველყოფს რეაბილიტაციას, ნევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სანქციებს, რომლებიც მოძალადეებს მისცემს შესაძლებლობას, გაიზარონ, რომ მათ დაარღვიეს დებულებები, რომელიც იცავს ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს და აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი ქცევისთვის.

191. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება სასწავლო პროგრამები დამნაშავეებისთვის, რომლებიც ეფუძნება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ადამიანის უფლებების, დამოკიდებულებებს და ქცევას, ძირითადად, ექსტრემისტული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენ ახალგაზრდა მამაკაცებში. მაგალითად, იხილეთ: ავსტრიის პრობაციის სამსახური, Dialog statt Hass; ავსტრიაში Bundesarbeitsgemeinschaft opferschutzorientierter Täterarbeit-ის მიერ განხორციელებული საქმიანობა მიზოგინიური ძალადობის კუთხით; BAG-OTA, რომელმაც შეიმუშავა სასწავლო პროგრამის სტანდარტები, სადაც გათვალისწინებულია დაზარალებულთა უფლებები; Demokratie leben! გერმანიაში და „პასუხისმგებლობის აღება - სიძულვილისგან და ძალადობისგან დისტანცირება“, ევროპის დანაშაულის პრევენციის ქსელის პროექტი ბელგიაში; S.A.V.E.Belgium-ის პროექტი LES ACTIONS; Garda Youth-ის თემზე დაფუძნებული პროექტები; ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციის ინიციატივები ირლანდიაში; და ნიდერლანდების მთავრობის პროექტი „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრა“, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგს და განათლებას ახალგაზრდა დამნაშავეებისთვის, საპატიმრო პერიოდის დასრულების შემდეგ.

52-ე პუნქტის შესახებ:

192. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებმა და სკოლებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამებს და კურსებს ჟურნალისტიკის სფეროში, ისევე, როგორც მედიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა, მედია საშუალებებმა, მედიის თვითრეგულირების ორგანოებმა თავიანთ სასწავლო კურსებში შეიტანონ მოდულები ჟურნალისტიკის და მედია საშუალებების მოვალეობებზე და პასუხისმგებლობებზე, გამოხატვის თავისუფლების განხორციელების კუთხით. მათ, შესაძლოა, ასევე გაითვალისწინონ კურსი სიძულვილის ენის გაშუქების შესახებ ისე, რომ არ მოხდეს წინასწარ განწყობების გამძაფრება და ყურადღება გაამახვილონ მათ როლზე ადამიანის უფლებების კულტურის და ინკლუზიურობის ხელშეწყობის კუთხით, მედიისა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის შესახებ No. R (97)21 რეკომენდაციის შესაბამისად (ასევე, იხ. რეკომენდაციის 38-39 პუნქტები და განმარტებითი მემორანდუმის 158-160 პუნქტები). ასეთი ტრენინგები უნდა განამტკიცებდეს ჟურნალისტიკის და სხვა მედია საშუალებების კომპეტენციას, რათა მათ ამოიცნონ სიძულვილის ენა, მოახდინონ შეტყობინება და განახორციელონ რეაგირება და თავადაც არ მოახდინონ სიძულვილის ენის ან წინასწარ განწყობების გავრცელება.

53-ე პუნქტის შესახებ:

193. საზოგადოებაში მათი როლისა და გავლენის გათვალისწინებით, საჯარო პირებმა, რომელთაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ, როგორებიც არიან, პოლიტიკოსები, მაღალი რანგის მოხელეები, რელიგიური, ეკონომიკური და თემის ლიდერები, არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენებისგან, რეკომენდაციის 35-ე და 36-ე პუნქტების შესაბამისად, არამედ, ასევე, ხელი შეუწყონ მასთან ბრძოლას, საწინააღმდეგო და ალტერნატიული ნარატივების გამოყენებით. მათ, ასევე, უნდა დაგმონ სიძულვილის ენის გამოყენება, გამოიყენონ თავიანთი თანამდებობები და ხელი შეუწყონ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებას, მათ შორის, სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების მიმართ სოლიდარულობის გამოხატვის გზით, გააძლიერონ ისინი და აღადგინონ მათი ღირსება.

194. საპირისპირო და ალტერნატიული ენა წარმოადგენს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების გამოხატვას, რომლის მიზანია სიძულვილის ენასთან ბრძოლა იმ ნარატივების დისკრედიტაციის, დეკონსტრუქციის და დაგმობის გზით, რომელსაც ეფუძნება სიძულვილის ენა და იმ ფასეულობების გამყარებით, რომელსაც ემუქრება სიძულვილის ენა - ადამიანის უფლებები და დემოკრატია. საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები, ასევე, ხელს უწყობს ღიაობას, განსხვავებულის პატივისცემას, თავისუფლებას და თანასწორობას. საპირისპირო ენა წარმოადგენს მოკლე და პირდაპირ რეაქციას სიძულვილის შემცველი გზავნილების მიმართ, ხოლო ალტერნატიული ენა, როგორც წესი, არა მხოლოდ უპირისპირდება და პირდაპირ მიუთითებს სიძულვილის ენაზე, არამედ, ასევე, ცვლის დისკუსიის ჩარჩოს (იხ. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ჩვენ შეგვიძლია!, 2017). საპირისპირო და ალტერნატიული ენის ფორმების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სიძულვილის ენაზე რეაგირებისთვის, რომელიც არ აღწევს სიმძიმის ისეთ ზღვარს, რომელიც ექვემდებარება სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პროცესის საფუძველზე რეაგირებას (იხ. რეკომენდაციის მე-3 და მე-4 პუნქტები).

195. ამ კონტექსტში, PACE-ის რეზოლუცია 2275(2019), რომელიც შეეხება პოლიტიკური ლიდერების როლსა და პასუხისმგებლობას სიძულვილის ენასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კუთხით, წევრ სახელმწიფოებსა და პარლამენტებს მოუწოდებს, ხელი შეუწყონ საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია პოლიტიკოსებისა და არჩეული წარმომადგენლებისკენ, ყველა დონეზე. ამ ქმედებებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ ისეთ ინიციატივებზე და ზომებზე, რომლებიც ახდენს სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის პრევენციას და მათთან ბრძოლას, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე, როგორიცაა, რასიზმისგან თავისუფალი საზოგადოებისთვის ევროპული პოლიტიკური პარტიების 1998 წლის ქარტია და საპარლამენტო ალიანსი „არა ძალადობას“. მათ საჯარო მოხელეები უნდა უზრუნველყონ ტრენინგით ფუნდამენტური უფლებების, თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ და წაახალისონ პოლიტიკოსები, რათა მათ მოახდინონ პოზიტიური გზავნილების გავრცელება უმცირესობების შესახებ, მათ შორის, სოციალური მედიის საშუალებით (ასევე, იხ.: CERD/C/GC/35 რასისტულ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 37; რაბათის სამოქმედო გეგმა, § 57 პოლიტიკოსების ეთიკური კოდექსების შესახებ; ECRI GPR No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 98; კამდენის გამოხატვის თავისუფლების და თანასწორობის პრინციპები, პ.10.1; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში A/HRC/22/17/Add.4 ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წახალისების აკრძალვის შესახებ ექსპერტული სემინარების თაობაზე, დანართი, § 36; და A/HRC/40/58 რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ, დანართი 1, § 22).

54-ე პუნქტის შესახებ:

196. ძირითად აქტორებს, მათ შორის, თანასწორობის ორგანოებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს, ხშირად მჭიდრო კავშირი აქვთ სიძულვილის ენის სამიზნე ფიზიკურ პირებთან ან ჯგუფებთან. შესაბამისად, მათ ეფექტურად შეუძლიათ, ხელი შეუწყონ საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში, სამიზნე სუბიექტებთან თანამშრომლობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ ასეთი ძირითადი აქტორების მუშაობას და ამაყდროულად, უზრუნველყონ დამოუკიდებლობის შენარჩუნება, თავიანთი მანდატისა და საზოგადოებაში თავიანთი როლის გათვალისწინებით.

197. იზრდება იმ კვლევების მოცულობა, რომელიც ეხება საპირისპირო და ალტერნატიული ენის და სხვა განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომების გავლენას, მათ შორის, დებინფორმაციის გაქარწყლებას. ამ მიდგომების თანახმად, საპირისპირო ენას შეუძლია ისეთი საუბრების დასტაბილურება, რომელსაც ემუქრება სიძულვილის ენით „წალეკვის“ რისკი სოციალურ მედიაში (იხ. მაგალითად, იმ კვლევის შედეგები, რომელიც განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ lamhere international და სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტის პროგრამები და გამოცემები ექსტრემიზმთან და დებინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ).

5. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მხარდაჭერა

55-ე პუნქტის შესახებ:

198. სიძულვილის ენას აქვს ფართომასშტაბიანი გავლენა საზოგადოებაზე, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ სამიზნეზე ან დაზარალებულზე ახდენს გავლენას, არამედ, მთლიან თემზე და საბოლოო ჯამში, მთლიან საზოგადოებაზე. როდესაც, მაგალითად, სიძულვილის ენა მიმართულია ცნობილი ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც მიგრაციული წარმოშობა აქვს, ხშირად, იგი არა მხოლოდ ამ ადამიანზე ახდენს გავლენას, არამედ, ყველა მიგრანტზე იგივე ქვეყნიდან ან კონტინენტიდან ან სულაც, ზოგადად მიგრანტებზე. სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად, შესაძლებელია, მოხვდეს პირდაპირი სამიზნე სუბიექტის ან სხვა მიგრანტების გამორიცხვა პოლიტიკური დისკურსიდან, რაც გავლენას მოახდენს დემოკრატიაზე და მთლიანად საზოგადოებაზე (იხ. მაგალითად, ნორვეგიის შესახებ ECRI-ის ანგარიშში აღწერილი შემთხვევები (მონიტორინგის მე-6 ციკლი), § 44 და 45).

199. როგორც ეს განმარტებითი მემორანდუმის მე-7 პუნქტშია მითითებული, რეკომენდაცია შეიცავს ზომებს არა მხოლოდ მათ დასაცავად, ვინც სიძულვილის ენის პირდაპირი სამიზნეა, არამედ, მათ დასაცავადაც, ვინც ირიბი სამიზნეა. სიძულვილის ენის მსხვერპლს სჭირდება ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება, ხოლო წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმები, რომელიც სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს დაეხმარება იმ ზიანთან გამკლავებაში, რომელსაც განიცდიან.

200. წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა გადანყვიტონ დამოუკიდებელი კერძო ან საჯარო ორგანოებისათვის (მაგ. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ორგანოები ან სამოქალაქო ორგანიზაციები) მანდატის მინიჭება, რათა შექმნან მხარდაჭერის საჭირო მექანიზმები. ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, ასევე იმოქმედოს მხარდაჭერის მექანიზმების დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. როდესაც ამ მხარდაჭერას ახორციელებენ საჯარო ორგანოები, მიზანშეწონილია სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვა მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაში, რადგან ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენენ პირველ საკონტაქტო პირებს სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებისათვის.

201. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების მსხვერპლებს სპეციფიკური მხარდაჭერა სჭირდებათ, რადგან ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენა, შესაძლოა, დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყოს ხელმისაწვდომი, სხვადასხვა პლატფორმებზე გავრცელდეს, შენახული და ადვილად იქნეს მოძიებული შემდგომში. აღნიშნულმა მახასიათებლებმა, შესაძლოა, დაზარალებულებისთვის გაზარდოს ზიანი და ხელახალი ვიქტიმიზაციის შესაძლებლობა. მხარდაჭერის მექანიზმები საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნას და გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეფექტური რეაგირება, ამ მახასიათებლების გათვალისწინებით და როგორ უნდა დამყარდეს კონტაქტი და წარმატებული ინტერაქცია ინტერნეტ შუამავლებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან.

202. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა ხშირად სპეციფიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაშაულთა დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის. ტერმინი „მსხვერპლი“ აღნიშნავს იმ ადამიანებს, რომელთაც განიცადეს სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე ფორმა, რომელიც არღვევს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას (იხ. რეკომენდაცია, § 3). საერთაშორისო სამართალში, ტერმინი „მსხვერპლი“ ხშირად განისაზღვრება, როგორც ფიზიკური პირი, რომელმაც განიცადა ზიანი, მათ შორის, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური, ემოციური ტანჯვა ან ეკონომიკური დანაკარგი, რაც გამოწვეულია იმ ქმედებების ან უმოქმედობის შედეგად, რომელიც არღვევს წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას (რეკომენდაცია Rec(2006)8 სისხლის სამართლის დანაშაულების მსხვერპლთა დახმარების თაობაზე; და სისხლის სამართლის დანაშაულების მსხვერპლთა დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 2.1.a) ან საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ნორმებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს (დანაშაულის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია). მსგავსად აღნიშნულისა ევროკავშირის თანასწორობის დირექტივები იყენებს ტერმინს „დისკრიმინაციის მსხვერპლი“ იმ პირების

აღსანიშნავად, რომლებიც დაცულები არიან ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობით, რომელიც, ძირითადად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია და ზოგ შემთხვევაში - სისხლის სამართლის (იხ. ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2000/43/EC რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად პირთა თანასწორი მოპყრობის პრინციპის იმპლემენტაციის შესახებ, § 19 და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2000/78/EC, რომელიც ადგენს დასაქმებასა და პროფესიაში თანაბარი მოპყრობის ჩარჩოს, § 29). ამ განმარტებების თანახმად, ტერმინი „მსხვერპლი“ ასევე მოიცავს, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირი მსხვერპლის ოჯახის წევრებსა და მასზე დამოკიდებულ პირებს.

203. საჭიროების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უფასო იურიდიული და მიზნობრივი დახმარება, სამედიცინო მხარდაჭერა და ფსიქოლოგიური კონსულტაცია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სისხლის სამართლის კანონმდებლობით აკრძალული სიძულვილის ენის მსხვერპლია (ასევე, იხ. რეკომენდაცია Rec(2006)8 სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ). ამ დახმარების მიზანია, შეამსუბუქოს სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგები და უზრუნველყოს დაზარალებულების დახმარება რეაბილიტაციის ყველა ასპექტში, თემში, სახლში და სამუშაო ადგილას. მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამის ენაზე (იხ. ECRI GPR No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, §§ 105- 106) და დირექტივა 2012/29/EU, რომელიც ადგენს ამ უფლებების, მხარდაჭერისა და მსხვერპლთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს). დისკრიმინაციის მსხვერპლებმა უნდა მიიღონ მსგავსი მხარდაჭერა, რომელსაც ხშირად თანასწორობის ორგანოები უზრუნველყოფენ.

204. სამოქალაქო იურიდიულ დახმარებასთან მიმართებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებებზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში იურიდიული დახმარების სქემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესახებ (CM(2021)36-add2final), რომელიც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ წარმატებული შედეგის ალბათობა და იმ პირის გადახდისუნარიანობა, რომელიც ითხოვს იურიდიულ დახმარებას.

205. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა გამოხატონ სოლიდარობა სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მიმართ. ისინი უნდა შეხვდნენ მათ და მათ წარმომადგენლებს, მოისმინონ მათი ახსნა-განმარტებები და საჭიროების შემთხვევაში, გამოსცენ საჯარო განცხადებები ფიზიკური და ონლაინ მედია საშუალებით, რომელიც აღიარებს ენის გამოყენების შედეგად ფიზიკური პირების, თემებისა და ფართო საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანს და გმობს მის გამოყენებას (იხ. ECRI GPR 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 98; და გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ინიციატივები 6 და 9, § 37).

56-ე პუნქტის შესახებ:

206. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებს გააცნობიერონ თავიანთი იურიდიული უფლებები და მიიღონ ინფორმაცია იმ დანესებულებების შესახებ, რომლებიც მათ დასახმარებლად არის შექმნილი. სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზეპირი და წერილობითი და ადვილად გასაგები ფორმით. ეს ინფორმაცია ასევე უნდა ითარგმნოს რეგიონულ და უმცირესობის ენებზე, იყოს ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის და მოხდეს მისი გავრცელება იმ არხების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფს სიძულვილის ენის მაღალი რისკის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირებას, მათ შორის, უმცირესობის და სხვა ჯგუფებთან, ადამიანის უფლებების დამცველებთან და გარკვეული პროფესიების წარმომადგენლებთან, როგორებიც არიან ჟურნალისტები.

207. ისინი, ვინც შეურაცხმყოფელი ან საზიანო ტიპის გამოხატვის მსხვერპლები არიან, თუმცა, აღნიშნული გამოხატვა არ აღწევს ლეგიტიმური შეზღუდვის ზღვარს, კონვენციის თანახმად (იხ. რეკომენდაცია, § 3.2), უზრუნველყოფილი უნდა იქნენ მათთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის შესახებ მკაფიო ინფორმაციით, მათ შორის, სამოქალაქო ორგანიზაციების საშუალებით. ასეთი არასამართლებრივი მხარდაჭერის მაგალითებია, საპირისპირო

ენის გამოყენებასთან დაკავშირებული ინიციატივები, რეკომენდაციის 45-ე პუნქტის შესაბამისად (ასევე, იხ. გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ინიციატივა 8, პ.35). საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიები სიძულვილის ენის შემთხვევების გასაჩივრების შესაძლებლობებზე, ასევე, უნდა მიუთითებდეს, თუ სად შეძლებენ მხარდაჭერის მიღებას შეურაცხყოფელი ან სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები.

57-ე პუნქტის შესახებ:

208. სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტები ხშირად, ვერ ბედავენ შეტყობინების შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას. პოტენციური ბარიერები, რომელიც შეუტყობინებლობას იწვევს, აღწერილია სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციაში No. 15. ეს ბარიერები მოიცავს შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შესაბამისი ორგანოები სერიოზულად არ მოეკიდებიან; ეჭვებს გასაჩივრების მექანიზმების ეფექტურობასთან დაკავშირებით; შურისძიების შიშს და დაბნეულობას სამართალწარმოების კომპლექსურობის და ხარჯების გამო. გაერთიანებულ სამეფოში, 2018 წელს NatCen-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც შეეხება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა გამოცდილებებს, და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რომელიც შეეხება ლგბტ ადამიანების თანასწორობას, პრობლემურია ინცინდენტების შეუტყობინებლობა და ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ინცინდენტები შეიძლება იქნეს მიჩნეული სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებად.

209. იმ ადამიანთა უფლებების დაცვასთან ერთად, რომლებიც ახდენენ სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინებას, სახელმწიფოებმა, ასევე, თანმიმდევრული მიდგომა უნდა გამოიჩინონ ბრალდებულთა უფლებების დაცვის კუთხით, განსაკუთრებით, არაკეთილსინდისიერ ან ცრუ საჩივრებთან დაკავშირებით.

210. სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, სამედიცინო სამსახურებისა და სხვა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა გამოიჩინონ მგრძნობელობა სიძულვილის ენის სამიზნე პირთა მიმართ. ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების კონტექსტში, მსხვერპლისადმი მგრძნობიარე მიდგომის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები, ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს გამოცემის „ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების რეგულირების მოდელები“ მე-7 თავში (Alexander Brown, 2020).

211. მიზანშეწონილია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შექმნან ან მხარი დაუჭირონ უფასო ეროვნული სატელეფონო დახმარების ხაზების არსებობას სიძულვილის ენის გამოყენების სამიზნე სუბიექტებისათვის (იხ. რეკომენდაცია Rec(2006)8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ). აღნიშნული უნდა მოიცავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინების მექანიზმებს (იხ. რეკომენდაციის მე-19 პუნქტი და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 15 რეკომენდაცია სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 189).

212. რეკომენდაცია Rec(2006)8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ წევრი სახელმწიფოებისთვის აწესებს მოთხოვნას, პროცესის ყველა ეტაპზე უზრუნველყონ მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. საჭიროა დაცვის განსაკუთრებული ზომების მიღება იმ დაზარალებულებისათვის, რომელთაც ზეწოლის, შურისძიების ან განმეორებითი ვიქტიმიზაციის საფრთხე ემუქრებათ (ასევე, იხ. ევროკავშირის საბჭოს 2000/43 დირექტივის მე-9 მუხლი, რომელიც წერგავს ფიზიკური პირების თანასწორი მოპყრობის პრინციპს, რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად).

213. სასამართლო და ადმინისტრაციული ან წარმომადგენლობის ხარჯები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად აფერხებდეს სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინებას. შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა (იხ. რეკომენდაციის 55-ე პუნქტი და ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No. 2 რეკომენდაცია ეროვნულ დონეზე რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის თანასწორობის ორგანოების შესახებ, § 16) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზომაა სიძულვილის ენის შეუტყობინებლობის პრობლემის გადასაჭრელად.

6. სიძულვილის ენის მონიტორინგი და ანალიზი

58-ე და 59-ე პუნქტების შესახებ:

214. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სიძულვილის ენის უწყვეტი მონიტორინგი და ანალიზი, რათა შეიმუშაონ სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ეფექტური პოლიტიკა, კანონმდებლობა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. მონიტორინგის შედეგები უწყვეტად უნდა იქნეს გამოყენებული ამ პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმებისა და მათი შედეგების გასაუმჯობესებლად.

215. სიძულვილის ენის წინააღმდეგ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა საჭიროებს მისი ძირეული გამომწვევი მიზეზებისა და იმ გარემოებების კარგად გააზრებას, რომელიც იწვევს მის გამოყენებას, ასევე, სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმების, მისი გამოყენების ფარგლებისა და მისი გავლენის კარგად გააზრებას. სიძულვილის ენის მონიტორინგი და აღრიცხვა უაღრესად მნიშვნელოვანია სიძულვილის ენაზე სათანადო რეაგირების ჩამოყალიბების, შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფისთვის, სიძულვილის ენის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევების სიმძიმის შესაბამისად. სიძულვილის ენის მონიტორინგი და აღრიცხვა უნდა მოიცავდეს სიძულვილის ენის ყველა შრეს (იხ. რეკომენდაციის მე-3 პუნქტი) და უნდა განხორციელდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკის წარმოებისგან განცალკევებით, ვინაიდან ეს ორი ფენომენი განსხვავებულ რეაგირებას საჭიროებს.

216. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საბაზისო კვლევები იმ კონტექსტებთან დაკავშირებით, რომელშიც ადგილი აქვს სიძულვილის ენას, მათი იურისდიქციის შესაბამისად. ეს კვლევები უნდა ითვალისწინებდეს, მაგალითად, ისტორიულ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ჯგუფებს შორის არსებულ დაძაბულობებს და სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას, რომელიც, შესაძლოა კავშირში იყოს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან. საბაზისო კვლევა უნდა განხორციელდეს მკაფიო, სპეციფიური და სისტემატური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ყველა იმ რელევანტურ ფიზიკურ და ონლაინ ფორუმებსა და პლატფორმებს, სადაც ადგილი აქვს სიძულვილის ენის გამოყენებას.

217. ნევრმა სახელმწიფოებმა უწყვეტ ფორმატში უნდა შეაგროვონ მონაცემები და მონიტორინგი გაუწიონ სიძულვილის ენას და მოიცვან ის განსხვავებული კონტექსტები, სადაც ადგილი აქვს სიძულვილის ენას. მონაცემები უნდა იყოს ასაკის და გენდერის მიხედვით დისაგრეგირებული და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სიძულვილის ენის ჩამდენი პირების, სამიზნე პირების, აუდიტორიისა და გამომწვევების შესახებ, ისევე, როგორც სხვა ფაქტორებს, სიძულვილის ენის სიმძიმის (იხ. რეკომენდაციის მე-4 პუნქტი) და ინტერვენციების ეფექტურობის შესაფასებლად. უნდა გავრცელდეს კარგი პრაქტიკა სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის ეფექტურ სტრატეგიებთან დაკავშირებით (იხ. გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მუხლები 2 და 3). ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ჩაატარონ სიძულვილის ენის ტენდენციების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, რათა მოხდეს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ნიმუშების იდენტიფიცირება და მონიტორინგი, გაანალიზონ სიძულვილის ენის გამომწვევი ძირეული მიზეზები, მათ შორის, დამნაშავეთა მოტივაცია და მამოძრავებელი ფაქტორები (იხ. რეკომენდაციის 51-ე პუნქტი) და შეიმუშაონ ეფექტური პოლიტიკა ამ ტენდენციებთან და ნიმუშებთან ბრძოლისა და მათი პრევენციის მიზნით (დეტალებისათვის, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, §§ 78-87; ევროპის საბჭოს „კავშირები გამოხატვის თავისუფლებასთან და ადამიანის სხვა უფლებებთან“, CDDH (2019), §§ 287 et seq. და 436, და CM/Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, §§ II.B.1 და II.B.6).

218. ამ მიზნით, ნევრმა სახელმწიფოებმა, სათანადო პერიოდულობით, უნდა განახორციელონ არსებული პოლიტიკისა და შესაბამისი ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების შეფასება, ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების აღრიცხვასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით.

219. მიზანშეწონილია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა სიძულვილის ენის მონიტორინგის და ანალიზის პროცესში, ასევე, გამოიყენონ და გაითვალისწინონ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების (მაგალითად, ევროპის საბჭოს, მათ შორის, ECRI-ის და ადამიანის უფლებათა კომისიის, OECD-ს, EUROSTAT-ის, FRA-ს და OSCE/ODHIR-ს მიგნებები), ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების, ინტერნეტ შუამავლების, სამოქალაქო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტებთან მომუშავე ორგანიზაციების მონაცემები და მიგნებები.

მე-60 პუნქტის შესახებ:

220. სამართალდამცავ სამსახურებს უნდა მიეცეთ ინსტრუქცია, აღრიცხონ ყველა საჩივარი სისხლის სამართლის კანონმდებლობით აკრძალული სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც ამ საჩივრების მიმართ განხორციელებული ქმედების შედეგები (დეტალებისთვის, იხ. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No. 15, სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, §§ 78-83).

221. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სიძულვილის ენის შესახებ დისაგრეგირებული მონაცემების აღრიცხვის სისტემა, რომელიც შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს, მისდიონ სიძულვილის ენის შესახებ საჩივრებს სასამართლო სისტემაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისი დაინტერესებული მხარეები მოიცავს პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, სტატისტიკის სამსახურებსა და მკვლევარებს.

61-ე პუნქტის შესახებ:

222. სიძულვილის ენისა და მასთან დაკავშირებული ტენდენციების ანალიზი და მონაცემები, რომელსაც აღრიცხავენ წევრი სახელმწიფოები, ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული, რათა სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ მისი გამოყენება სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციისთვის ეფექტური ზომების შემუშავებისა და განხორციელებისთვის. აღნიშნული დაინტერესებული მხარეები მოიცავენ ყველა იმ ორგანოს და ფიზიკურ პირს, რომელსაც კონკრეტული პასუხისმგებლობები აქვს სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის სფეროში და, ამავდროულად, პოლიტიკოსების, რელიგიურ და სათემო ლიდერებს და სხვა საჯარო პირებს და მედიას (იხ. ECRI GPR No. 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 86; ამ რეკომენდაციის მე-4 თავი; და კარგი და იმედისმომცემი პრაქტიკის სახელმძღვანელო გამოხატვის უფლებების სხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან დაბალანსების შესახებ, კერძოდ, კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში, CDDH (2019) R91 Addendum 6, §§ 288-293).

223. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, შექმნან მონაცემებზე წვდომის ჩარჩო დაინტერესებული მხარეებისთვის და მკვლევარებისთვის, რომელთაც შესაბამის მონაცემებზე წვდომის ლეგიტიმური ინტერესი აქვთ, მათ შორის, ონლაინ გარემოსთან მიმართებით. მონაცემთა დაცვის ეროვნულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიცეს ეს მონაცემები ევროპის საბჭოს 108+ კონვენციის და, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 (GDPR) შესაბამისად.

7. ეროვნული კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

62-ე პუნქტის შესახებ:

224. წინამდებარე რეკომენდაციის და სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით დანერგილი პოლიტიკის, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების თანმიმდევრულად იმპლემენტაცია საჭიროებს თანამშრომლობას და კოორდინაციას. ასეთი კოორდინაცია ხელს უწყობს შესაბამის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო აქტორებს შორის არსებობდეს თანხმობა. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ თანამშრომლობა და დიალოგი სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (იხ. განმარტებითი მემორანდუმის მე-10 პუნქტი). აღნიშნულმა თანამშრომლობამ უნდა უზრუნველყოს: მკაფიო წარმოდგენა სიძულვილის ენის სხვადასხვა მანიფესტაციების და მისი სიმძიმის შეფასების გზების

შესახებ; სიძულვილის ენის სამიზნე სუბიექტების მხარდაჭერა; არასამართლებრივი ზომების იმპლემენტაცია, განსაკუთრებით, განათლების სფეროში; და სიძულვილის ენის შემთხვევების ეფექტური იდენტიფიკაცია, მონიტორინგი და ანალიზი (ამ თვალსაზრისით, იხ. რეკომენდაციები CM/Rec(2016)3 და CM/Rec(2018)2, რაბათის სამოქმედო გეგმა და ECRI GPR No 15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, § 193, რომელიც შეეხება სიძულვილის ენის ტრანსსასაზღვრო გავრცელებას).

225. კოორდინაციის და თანამშრომლობის პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს სიძულვილის ენის სამიზნე პირთა საჭიროებებს და მოსაზრებებს, სიძულვილის ენაზე ყოველმხრივი და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

63-ე პუნქტის შესახებ:

226. რეკომენდაციის პირველი პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე მდგრადი თანამშრომლობა სიძულვილის ენასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელოვან განზომილებას წარმოადგენს. თავიდან უნდა იქნეს აცილებული მარეგულირებელი კანონმდებლობის ფრაგმენტაცია და წინააღმდეგობრივი კანონები, განსაკუთრებით, ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს და საჭიროებს თანმიმდევრულ ინტერაქციას ინტერნეტ შუამავლებთან (იხ. განმარტებითი მემორანდუმის § 82 და CM/Rec(2018)2 ინტერნეტ შუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ).

227. თანამშრომლობის კუთხით გაწეული ძალისხმევის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საერთაშორისო თანამშრომლობის არსებული მექანიზმები, როგორცაა, ექსტრადიცია და ორმხრივი სამართლებრივი დახმარება. ამ კონტექსტში, შესაბამისი ინსტრუმენტები მოიცავს, მათ შორის: ETS No. 30 კონვენციას სისხლის სამართლის საკითხებზე ორმხრივი დახმარების შესახებ და მის დამატებით ოქმებს, ETS No. 099 და ETS No. 182; საჭიროების შემთხვევაში, ETS No. 185 კონვენციას კიბერდანაშაულის შესახებ და მის დამატებით ოქმს ETS No. 189, რომელიც შეეხება კომპიუტერული სისტემების საშუალებით რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციას.

228. წევრმა სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო დონეზე, არამედ, ასევე, შესაბამისი დაინტერესებული მხარეები უნდა წაახალისონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ისეთ ფორუმებში, როგორიცაა გაეროს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი (IGF) და ინტერნეტ მმართველობის ევროპული დიალოგი (EuroDIG). მათ, ასევე, უნდა განიხილონ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო ფორუმებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

229. ასეთი თანამშრომლობა, შესაძლოა მოიცავდეს: (i) ორმხრივ და მრავალმხრივ გაცვლით ინიციატივებს წევრ სახელმწიფოებს შორის, რათა მოხდეს სიძულვილის ენასთან ბრძოლის და მასზე რეაგირების კარგი პრაქტიკის წაახალისება; აღნიშნული, ასევე, იძლევა თანასწორთა მიერ შეფასების ე.წ. peer review შეფასებების და/ან ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავების და შესაბამის სფეროში არსებული მეთოდოლოგიებისა და რესურსების შეფასების შესაძლებლობას; (ii) ცოდნის და რესურსების საცავების შექმნა; და (iii) შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების იმპლემენტაციის ხელშეწყობა, მათ შორის, იმ ინსტრუმენტებისა, რომელიც შეეხება სიძულვილის ენის გამოყენების გარკვეული შემთხვევების კრიმინალიზაციას და გამოძიებას (იხ. განმარტებითი მემორანდუმი, §§ 54 et seq.).

წინამდებარე რეკომენდაციის ამოსავალი წერტილია მოცემულობა, რომ სიძულვილის ენა ღრმად ფესვგადგმული, კომპლექსური და მრავალი განზომილების მქონე ფენომენია. იგი პირდაპირ საფრთხეს უქმნის დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს. სიძულვილის ენა მზარდია ონლაინ სივრცეში და მის გარეთ; იგი არა მხოლოდ ზიანს აყენებს ადამიანთა საბაზისო უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, არამედ, ასევე, ახდენს სამიზნე ჯგუფების და ინდივიდების დამცირებას და მარგინალიზებას.

წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილია სიძულვილის ენის განმარტების სამუშაო ვერსია, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევს სიძულვილის ენის სხვადასხვა დონეს, მისი სიმძიმის მიხედვით. რეკომენდაცია წევრ-სახელმწიფოებს მოუწოდებს, განახორციელონ სათანადოდ მორგებული და პროპორციული ზომები, მიიღონ ეფექტური სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, და შექმნან და განახორციელონ ალტერნატიული ზომები, მათ შორის: ცნობიერების ამაღლება, განათლება, საპირისპირო და ალტერნატიული ენის გამოყენება. რეკომენდაცია სახელმწიფოებს, ასევე, სთავაზობს, შექმნან მხარდაჭერის მექანიზმები, რათა დახმარება გაუწიონ სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფებს, ჩაატარონ მონიტორინგი და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობასა და კოორდინაციაში.

რეკომენდაცია, ასევე, შეიცავს ინსტრუქციებს სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომპლექსური სტრატეგიების განხორციელებაში, სიძულვილის ენის პრევენციისთვის და მასთან საბრძოლველად, მათ შორის: საჯარო მოხელეები, არჩეული ორგანოები და პოლიტიკური პარტიები, ინტერნეტ-შუამავლები, მედია და სამოქალაქო ორგანიზაციები.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.